

გორის სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული ფაკულტეტი



ლელა ძელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი
ჰროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა
სამეცნიერო კონფერენციის მასალები



გამომცემლობა „ანივარსიანი“
თბილისი 2011

UDC (უაკ) 378(479.22)(063)

გ – 716

კრებული ეძღვნება პროფესორ ლელა მელაძის ნათელ ხსოვნას და მოიცავს სსიპ–გორის სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიერ 2011 წლის 30 მაისს ჩატარებულ ლელა მელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალებს. კრებულში წარმოდგენილია აგრეთვე უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებელთა მოგონებები ლელა მელაძეზე.

რედაქტორი: ვიანორ ახალაია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

© გორის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარული ფაკულტეტი, 2011

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2011

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-421-6

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლელა მელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები

სექცია „ლიტერატურა“

გოგოლაძე თამარ – დრო და გალაკტიონი – 4

ვარდიშვილი ეთერ – *Время и судьбы (Александра Толстая)* – 8

ოქროპირიძე ზურაბ – XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან – 10

სიდამონიძე თამარ – დემონურის გააზრებისათვის მ. ლერმონტოვისა და გ. ტაბიძის პოეზიაში – 15

ტეტუნაშვილი ხატია, ლულუნაძე ციცილო – ყივჩაღის თემის ვარიაციები ქართულ ლიტერატურაში – 20

ქურთაული თეონა – *ოთარ ჩხეიძე - ერის მესტორიე და მისი რომანი „მორჩილი“* – 22

ღვინიაშვილი ეკატერინე – ხომლეღის (რომანოზ ფანცხავას) ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევიდან – 27

ჯირკველიშვილი ელენე – ილიას მრწამსის უკვდავება – 30

სექცია „ლინგვისტიკა“

ახალაია ვიანორ – უმწერლობა და სალიტერატურო მონათესავე ენათა ურთიერთობისათვის – 33

კობერიძე მარიამ – დიალექტის საკითხისათვის თეორიულ ენათმეცნიერებაში – 38

იორაშვილი ეკა – ქართული გვარების ჩამოყალიბება და ზოგიერთი გვარსახელის ისტორია – 40

ოთინაშვილი ნიკოლოზ – სახარებასა ამასა შინა ლაზარე ჰქცია – 43

ლულუნაძე ციცილო – ენისა და მეტყველების საკითხი ფერდინანდ დე სოსიურთან – 45

სექცია „ისტორია“

სოსიაშვილი გიორგი – შიდა ქართლის ისტორიიდან (სოფელი გერი და გერისთობის დღესასწაული) – 48

ჩოჩია ვაჟა – 1873 წელს „სამი იმპერატორის კავშირის“ შექმნის ისტორიისათვის – 55

ჯოღობორდი მამუკა, ლიპარტელიანი ნინო – ქართული მეწარმეობის ისტორიიდან (ჩაის კულტურა საქართველოში) – 58

ლელა მელაძის ხსოვნას

ახალაია ვიანორ – ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს – 61

გოგოლაძე თამარ – სიყვარულით ლელას – 62

მელაძე თამარ – ლელა მელაძის ტკივილიანი მონატრება – 63

ოთინაშვილი ნიკოლოზ – უმძიმესი დანაკლისი – 63

ოთინაშვილი ნიკოლოზ – ლელა მელაძის მოსაგონარი – 64

სიდამონიძე თამარ – იყავ ნათელში!.. – 65

სოსიაშვილი გიორგი – დროის საზომთა გარეშე – 65

ქურდაძე შოთა – დაუვიწყარი პროფესორი ლელა მელაძე – 67

ხოჯევანიშვილი ელენე – სიცოცხლე მხოლოდ წლებით არ იზომება – 69

ჩოჩიაშვილი დავით – მეგობრის გახსენება – 70

ჯანიაშვილი დარეჯანი – ტკივილით ჩამოვმარცვლავთ შენს სახელს „ლე ლა“ – 71

ლელა მელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები

სექცია „ლიტერატურა“

დრო და გალაკტიონი

თამარ გოგოლაძე, სრული პროფესორი

სრულყოფისაკენ სწრაფვა, გზა გენიოსისა უკვდავებისაკენ – ასე გასდევს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას დასაწყისიდან მოყოლებული... დასაწყისი კი საკმაოდ რთული იყო: მარტოობის განცდა, სულის თანაზიარის პოვნა, დაკარგვა, აღიარება და ეჭვი, მისი პოეზია ჭეშმარიტად რჩეულია თუ არა... ილიამ და აკაკიმ კარგად იცინან, თუ რისთვის გამოგზავნა „ქვეყნად ცამ“, გალაკტიონი ქვეშეცნეულად გრძნობს ამას, მაგრამ გაბედვით თქმა ჯერ უჭირს. ჯერ პოეტურ სტრიქონს ეჭიდება და აჩუქურთმებს... ესაა დასაწყისის, პოეტური გზის ათვლის ფორმულა, რომელსაც ჩვენ „გალაკტიონის დროით“ ათვლისათვის ვუწოდებთ. რამეთუ სრულყოფის გზა არის გალაკტიონის გენიოსად აღიარებისათვის თვითბრძოლის გზა. 1908 წლიდან მოყოლებული, პოეტი არაერთხელ წვაავს, ანადგურებს დაწერილს, აქვეყნებს, უსმენს აზრს მის პოეზიაზე, განიცდის წინამორბედ შემოქმედთა ერთგვარ გავლენას და ამავედროულად ისწრაფვის ახლის დამკვიდრებისათვის.

„სემინარიის ხანა გალაკტიონის ბუნებისა და ხასიათის მკაფიო გამოვლენის პერიოდი. მას აფეთქების წლებიც შეიძლება ვუწოდოთ. ის, რაც მანამდის სუსტად იჩენდა თავს, ახლა მთელი სიმღერით იწევს წინ. ამასთანავე თვალსაჩინოა შუქ-ჩრდილების ხშირი მონაცვლეობა. ზოგი რამ ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია პოეტს. იგრძნობა შინაგანი წინააღმდეგობაც, რაც სრულად ბუნებრივია მამიებელი სულისათვის.

არსებითი მაინც ორი გარემოებაა. 1. გალაკტიონის მგრძნობელობა უკიდურესად გამახვილებულია. ძალზე მთრთოლვარედ, ღრმად განიცდის მოვლენებს და სწრაფადაც ითვისებს მათ. დრამატიზმი ქარაფამდია მისული. პიროვნება ჭეშმარიტად ტრაგიკულია. 2. წინა პერიოდში საგნებსა და მოვლენებს ძირითადად სხვათა გავლენით აფასებდა, ახლა უფრო დამოუკიდებელია, საკუთარი კრიტერიუმებით უდგება ყველაფერს. ადრე თუ ოპტიმიზმი მძლავრობს, ახლა პესიმიზმი დომინირებს. საქმე გვაქვს ახალ პიროვნებასთან. იწყება დიდი გალაკტიონი“ (1, 196)

ამას მარტო სისხლით ნათესავი, მის გვერდით გაზრდილი კაცი, ბატონი ნოდარ ტაბიძე არ აღიარებს. ასეთია მისი დროის პოეტთა თუ კრიტიკოსთა, ზოგჯერ ბუნდოვანი, მაგრამ მაინც მომავალი შემოქმედის შეგრძნებით სავსე, თუნდაც ლაკონური სტრიქონებიც:

„ჩვენი პოეტის სიმღერა არ ჰგავს ადრინდელ რომანტიკოსთა მწუხრიან მელანქოლიას, მაგრამ მასში არც ბოდლერის გლადიატორის კვნესაა. იგი, რომ ის საშინელ სიტყვებს არ ამბობს, მაგრამ გრძნობ, რომ ეს პრელიუდიებია მომავალი დიდებული ორატორიებისა... (2,461)

„Молодые люди, которые своей новой песней нарушили покой Кутайских улиц, были начинающие поэты: Паоло Яшвили, Галактион Табидзе, Тициан Табидзе... Модернистический стиль жизнепереживания в строиных воплощениях художественного слова – вот что было новой скрижалью их завета...

В группе модернистов я отметил Галактиона Табидзе. Теперь известно, что этот уход чисто личного характера. От символизма по существу он уйти не может – разве только художественным самоубийством.“ (3, 46-51)

თვით პოეტის სტროფებიც ამ სულიერი ფორიაქის ნაღდი გამოხატულებაა:

„მინდა დავტოვო ამქვეყნიური
ყველა სიბილწე, შური და მტრობა
და იქ გავფრინდე, ვარსკვლავთ წრფელ ციმციმს
შევუთანაბრო მეც ჩემი გრძნობა.“ (4,47)

„რადგანაც
ცას ცრემლები სდის
ტირის მარადის
გული წაიღო ისევ ნაღველმა!..“ (4,48)

გარესამყაროში მხიარულებაა, თამაში, მუსიკით გართობა. წუთი დავიწყებია ყველას, ანუ დამდგარა დრო თავდავიწყებისა. ამ დროს კი პოეტი შესთხოვს მუზას:

„მე კი სულ სხვაფრივ შევსცქერი ყველას
და არც მიტაცებს მხიარულება
და შენც, ოჰ, მუზავ, გთხოვ, გევედრები,
არ გადაზღუდო შენი უფლება.“ (4,50)

რას ნიშნავს „უფლების „გადაზღუდვა“? იქნებ პოეტური აღმაფრენის შემოსაზღვრას? იქნებ იმის თქმას, რომ მუზას მეტი უფლება აღარ აქვს, იყოს პოეტთან?

ჩვენი აზრით, „გადაზღუდვა“ აქ უფრო თავისუფლების ფართო არეალს ნიშნავს, შეუზღუდავ თავისუფლებას.

შ. ბოდლერი სწორედ ურთიერთსაპირისპირო ცნებებად მიიჩნევს „თავისუფლებას“ და „ფატალურობას“: „თავისუფლება და ფატალურობა ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია. მაგრამ თუ შორიახლოდან დავაკვირდებით, გასაგები გახდება, რომ სწორედ მათი ურთიერთკავშირი აყალიბებს ნებისყოფას. ამიტომ არ არსებობს უიღბლობა. თუ უიღბლო ხართ, მაშასადამე, რაღაც გაკლიათ. შეისწავლეთ ეს რაღაც, მერე მიუსადაგეთ მას შესაბამისი ნებელობა და წრეხაზი ადვილად შეიცვლის ფორმას.“ (5,5)

ასევე ყალიბდება გალაკტიონის შემოქმედებით ნებელობაში თავისუფლება და ფატალურობა. პოეტმა იცის, რომ უკვდავებისაკენ მიმავალი გზა უნდა გაიაროს. ამიტომ შესთხოვს მუზას თავისუფლებას, თუმცა მარტოობის ფატუმი ზღუდავს მის ნებელობას.

სიყვარულის სურვილი დარიალებს პოეტის სულში, იქნებ შორეულის, მიუწვდომელის და იქნებ ახლობელისაც. ეს მარტოობიდან თავისდაღწევის ერთადერთი გზაა.

„დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,
ცრემლით აივსოს ზღვა საწყაული,
ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოღვა
და სიყვარულის დღესასწაული“
(„რაც უფრო შორს ხარ“) (4,57)

კვლავ იმედგაცრუება, თუნდაც ზმანებრივი და მაინც შეგრძნება მოსალოდნელი უკვდავებისა, რაც მიიღწევა მძიმე სულიერი ტანჯვით:

„ტალღა კვირობდა: რა შობს ამ გრძნობას,
უცნაურ ძალს რომ ესაბამება?!
და ყრმა ამაყად უპასუხებდა:
„ამგვარ გრძნობებს ქმნის მხოლოდ წამება!“
(„რაა ეს გრძნობა?“) (4,73)

ჰემმარიტი ხელოვნებისაკენ სწრაფვა შეიძლება მხოლოდ სწრაფვად დარჩეს, როგორც მიწაში დამარხული ოქრო ან ზღვის ფსკერზე მარგალიტის ძიება, ხოლო გზა „შავი წიგნის“ მსგავსია, სისხლიანი ასოებით დაწერილი, თუმცა წარმტაცი და უკიდურესად სანეტარო:

„არის წმინდა პოეზია და მუსიკა არის შორი,
მაგრამ ქვეყნად არ არსებობს – ის ალერსი, ის ამბორი“.
(„ხელოვნება“) (4,74)

ამიტომ მოდის ლექსები: „მუსიკა უცარი“, „ახალი ტალღა“, „შემოქმედება“, „მსახიობ ქალს“ – მათში ეჭვი პოეტისა, სწორი გზით მიდის თუ არა, ყოყმანობს, მყარდება. მხოლოდ ზღვასთან, ხელოვნებასთან შეხება შინაგანი დიალოგის წყარო ხდება და ასე მიდის პოეტი მუზასთან პირდაპირი შეხებისაკენ. ბრძოლა შეიძლება იყოს უშედეგო, სიკვდილი – გარდუვალი და მაშინ მხოლოდ მუზასდა ერგება მომაკვდავის ჩანგი („მუზა“).

მაგრამ ღირს კი ამდენი თავგანწირვა, უკვდავებისაკენ სწრაფვა? პოეტის სული მხოლოდ ერთ, შესახებ რეალობას აფიქსირებს; გენიოსის პიროვნება ზეკაცობის გამოხატულებაა:

„შენ, იეღოვავ, ცა გეკუთვნის, მე კი ქვეყანა!“
(„ქანდაკება“) (4,87)

გალაკტიონისათვის აშკარა ხდება, რომ რეალურ ცხოვრებაში უკვდავებისაკენ მიზანსწრაფული პოეტის შეყვარება, თანადგომა შეუძლებელია. ამიტომ იგი უკან აბრუნებს ერთგვარად კითხვას: თუ ეს ასეა, მაშ მის საფლავით გაციებულ გულს ვინ უსალბუნებს? პასუხიც ლექსში იბადება: „მხოლოდ ბუნება“.

„ღამეა... ცელქი ნიავი დაჰქრის,
მთვარე ღიმილით მესაუბრება:
– „შენ შეგითვისებს, სულით ობოლო,
მხოლოდ ბუნება, მხოლოდ ბუნება!“
რითმების გუნდი გარს მომხვევია,
ყვავილი წყნარად მეჩურჩულება:
– „სულით ობოლო, შენ შეგითვისებს
მხოლოდ ბუნება, მხოლოდ ბუნება!..“

(„მხოლოდ ბუნება“) (4,94-95)

და აი, სწორედ ამ წელს (1910წ.) იქმნება ლექსი „ფარვანა“. იგი პირველად ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა (#18, გვ. 2). ჟურნალში ორი ლექსი ყოფილა გამოქვეყნებული გ. ტაბიძისა, ერთი-მეორისაგან გამოყოფილი სტრიქონებით. პოეტის თხზულებათა კრებულის I ტომის შემდგენელებმა იგი გააერთიანეს, როგორც შინაარსობრივად ერთი ლექსის ნაწილები. ჩვენც ვეთანხმებით ამგვარ გაერთიანებას, რამდენადაც ლექსის პირველი ნაწილი ფარვანასა და სანთლის პოეზიას, მეორეში კი გახსნილია შედარების არსი ფარვანა – მუზა, სანთელი – ხელოვნების ტაძარი.

„ნათელს, აღზნებულს,
სხივით ანთებულს,
შეფერადებულს,
ჩემო ფარვანავ, თავზე ევლები,
მაგრამ ვინ იცის,
როდის დაიწვის
გზნება შენი ფრთის,
სანთელთან რომ თრთის...
როდის მოვკვდები, ან სად გავქრები?
მუზავ, შენც სულით,
ფრთაგანწირულით,
ნეტარ ჩურჩულით
ხელოვნებისას უღიმი ტაძარს,
მაგრამ ვინ იცის,
ტანჯვა სად გიცდის,
როდის ან რისთვის
სამსალა ძიმწრის
ეკლების გვირგვინს მოგიძღვნის საზარს?“ (4,95)

ფარვანა – სანთელი აღმოსავლური პოეზიიდან მოდის – („შამფარვანიანი“). იგი პირველად თეიმურაზ I გადმოუღია ქართულად და მასში წარმოუსახავს ფარვანას ტრფობა სანთლის მიმართ.

„შამი სპარსულად სანთელსა ჰქვიან მათისა ენითა, ფარვანა მისთვის მიჯნურად უთქვამს, გლახ ცრემლითა დენითა, ყოვლითა მიჯნურთა უსაწყლე, იგ სურვილითა ენითა, იგ გაულექსავთ ყურთათვის შაქრად და თაფლთა სმენითა.“ (6,18)

სანთელი – შამი უარს უცხადებს მასზე გამიჯნურებულ ფარვანას სიყვარულზე, რამდენადაც იგი საღმრთო დანიშნულებითაა შექმნილი, მისი ფუნქცია სხვაა, მიჯნურობა არ ეგება. მაგრამ ფარვანას ტრფობა იმდენად ძლიერია, თვით სიკვდილსაც არ უშინდება.

ამავე სახეს გამოიყენებს XIX საუკუნის დასაწყისში გრიგოლ ორბელიანიც თავის ლექსში „სალომეს ბეჟანა მკურნალის მაგიერ“, რამდენადმე ირონიით:

„შენ სანთელი, მე ფარვანა!
დაე დაიწოს ბეჟანა!“ (7,43)

გ. ტაბიძის ლექსის პირველი სტროფი გამოხატავს ავტორის შიშს, როდემდე გაუძლებს ფარვანა სანთელთან რიალს. იქნებ აქ მხოლოდ ფაქტის პოეტური კონსტატაცია, თუმცა, ქართული ლექსის ტრადიციის ძალით, მაინც ალეგორია, რასაც ხსნის სწორედ მეორე სტროფი: მუზა ხელოვნების ტაძარს ევლება გარშემო, თუმცა მისთვის გაუცნობიერებელია:

„როდის ან რისთვის
სამსალა ძიმწრის

კვლების გვირგვინს მოგიძღვნის საზარს?“ (4,95)

ვფიქრობთ, „გალაკტიონის დროით“ ათვლაც თავის ერთ საფეხურს ამ ლექსში აღწევს. ის, რაც ჭარბი პოეტური სახეებით ნათქვამია წინამორბედ ლექსებში, აქ ჰპოვებს ჩამოყალიბებულ სახეს. ფარვანა – პოეტური მუზა, სანთელი – ხელოვნების ტაძარი, გამიჯნურება, მაგრამ გარდაუვალი ტანჯვის აუცილებლობის წინასწარმეტყველებით.

აქ უკვე დროით შეზღუდულობაც, ვიდრე ფარვანა – მუზა გაუძღვება ანთებული ტაძრის გარშემო რიალს, მაგრამ პოეტს არ აკმაყოფილებს ეს შეზღუდვა, ამიტომ მოდის ახალი პოეტური ფრაზა:

„აზრი: დაფარვა ქარიშხლის ფიფქით,
ვით ყრუ ძახილი უკვდავებისა
დროთ საზღვარს იქით,
დროთ საზღვარს იქით.“

(„შემოდგომა“) (4,104)

„გ. ტაბიძე თავის ლექსებში კვლავ და კვლავ უბრუნდება ხოლმე ფიქრებს დროის, აწმყოს, წარსულისა და მომავლის, წამისა და მარადიულობის გამო. ზოგჯერ ყურადღება ეთმობა ჩვენი ეპოქის შეცნობას, ზოგჯერ კი საერთოდ დროის გააზრებას. დროსთან, ხანიერებასთან დაკავშირებული სიტყვები მისი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქმნილების განუყრელი ნაწილია. ადრეულ ლექსში „შემოდგომა“ (1910წ.) პოეტი ნატრობს გააღწიოს „დროთ საზღვარს იქით!“. ლექსში „შავი ყორანი“ თავს იჩენს ფორმულა დროის რაობის შესახებ: „ჟამი-ყველაფრის მქნელ გარდამქნელი“ (8,79) – აღნიშნავს მკვლევარი ი. კენჭოშვილი. ჩვენ კი ამასთან შენვიშნავდით, რომ აქაც მუზასთან მიმართებაშია დრო, რომელიც ხშირად იწვევს პოეტში საკუთარი თავისუფლების შეგრძნებას. ამ დროს იგი საკუთარ თავს ზეკაცად თვლის, რომელიც თვითვე ქმნის ბედისწერას. პოეტურ თავისუფლებას ემორჩილება ფატუმში. მაგრამ ეს მხოლოდ წუთით, ოღონდ წუთია თავად ბედისწერის შედეგების ამსახველი და მარადისობის მომტანიც.

„და, როდესაც მე ბედს ველი, გრიგალივით მოგუგუნეს –
ლოდინშიაც წუთს მივყვები და მივყვები საუკუნეს!“

(„წუთი“ – 1910 წ.) (4,108)

გალაკტიონისეული ფრაზით მეტყველებენ ლექსები: „დაფნა“, „გამონაკლისი“, „შავი ყორანი“, „პოეტის ქნართი“, „მონაზონ ქალს ოფელიას“, „შემოდგომის დღე“. უბედურების მომტანი არაა ყოველთვის დრო და თვით შემოდგომაც შეიძლება იყოს იმედიანი. გალაკტიონი ლექსით „შემოდგომის დღე“ უცნაურ ასოციაციებს აღძრავს მკითხველში. პოეტური განმეორება „შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე!“ ლექსის პირველ და ბოლო სტრიქონებში ზადებს შემოდგომისეულ ცვალებად განწყობას და მასთან მოსაუბრე იდუმალი ხმა, თუმცა იმედიან ნოტზე განაწყობს, რაღაც საიდუმლოს მაინც ტოვებს, რაღაც უთქმელს:

„წავიდა, გაჰქრა... ვერ შევეკითხე,
რისთვის გამშორდა, რისთვის წავიდა...
გამიქრა სულის ოცნება წმინდა
ილულება მზე, იძარცვება ტყე...
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე!“ (4,137)

1908-1912 წლების პოეზია, (რომლის ბევრი ნიმუში იქნებ სამართლიანადაც განადგურებული თავად პოეტის მიერ) სწორედ გენიოსური კვარცხლბეკისაკენ შემოქმედებითი სრულყოფისათვის წინსვლის გამოხატულებათა თავისი პერიპეტიებით, სინათლე-სიბნელის შუქ-ჩრდილებით, მუზასთან ნაზი შეხებითა და ლექსის ქარგულოსტატობით. სწორედ რომ იწყება ათვლა „გალაკტიონის დროით“.

ლიტერატურა:

1. ტაბიძე ნ., „გალაკტიონი“, თბ., 2000;
2. ტაბიძე ტ., ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, გამომცემლობა „მერანი“, თ., 1985;
3. Робакидзе Г. Грузинский модернизм. Ежемесячник ARS, I, 1918;
4. ტაბიძე გ., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1966;
5. ბოდლერი შ., „რომანტიკული ხელოვნება“. გამომცემლობა „ლომისი“, თბ., 1996;
6. თეიმურაზი I, „თხზულებათა სრული კრებული“ ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1934;
7. ორბელიანი გრ., „თხზულებათა სრული კრებული“, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1959;
8. კენჭოშვილი ი., „გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა“, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1974.

რეზიუმე

ლექსის სრულყოფისაკენ, უკვდავებისაკენ სწრაფვა გასდევს გენიოსი შემოქმედის გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას დასაწყისიდან ბოლომდე. მაგრამ საყურადღებოა სწორედ მისი შემოქმედების საწყისი პერიოდი (1908-1912 წ.წ.), რომელიც აღინიშნება რთული, პიროვნული თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით, ეჭვით, პოეტურ სიტყვასთან ჭიდილითა და, ტრადიციიდან გამომდინარე, ნოვატორობისაკენ სწრაფვით. ეს პროცესი, ანუ პოეტის ჩამოყალიბება გენიოსად, აისახება მის ლექსებშიც, რისი ანალიზის ცდაცაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში. სიყვარულისაკენ სწრაფვა, იმედგაცრუება, ზღვის ფსკერზე დამარხული ჭეშმარიტი პოეტური მარგალიტების ძიება, სამყაროში მიმდინარე მოვლენები და მისი პიროვნების ცვლელადობა. ასეთ ფონზე გ. ტაბიძე ქმნის ლექს „ფარვანა“ (პეპელა), რომელშიც ტრადიციული სიმბოლიკისაგან განსხვავებით (ფარვანა – პეპელა იწვის სიყვარულის სანთლის ალზე) გვთავაზობს ახალ სიმბოლიკას: ფარვანა – პოეტური მუზა – გარს ევლება სანთელს – ხელოვნების ტაძარს.

1908-1912 წლების პოეზია გამოხატულებია გ. ტაბიძის სწრაფვისა გენიოსობისაკენ თავისი წინააღმდეგობებით, ტრადიცია – ნოვატორობას შორის ჭერშმარიტი გზის ძიებით, საკუთარი ხმის ძიებით, სწორედაც აქედან იწყება ჭეშმარიტი გალაკტიონი.

THE BEGINNING OF GALAKTION'S CREATIVE ACTIVITY

Tamar Gogoladze, Full Professor

SUMMARY

Striving for perfection of the poems and immortality is the main idea of Galaktion Tabidze's the outstanding Georgian poet creative activity. But the beginning of his poetic career (1908-1912) which is considered very complicated in terms of social-political events and his personal development as a poet of genius was wonderfully depicted in his poems. In this work the process of his striving for perfection, love, disappointment, his searching for truth, the event, taking place in the world, his hesitation are shown. In his poem "Butterfly" he suggests quite new poetic symbols different from the old ones. For example butterfly – poetic muse (burning in the flame of the candle with love) and it darts around the candle (the cathedral of art).

The poetry of Galaktion Tabidze of 1908-12 is the reflection of his genius. That is where his real poetry begins.

ВРЕМЯ И СУДЬБЫ

(Александра Львовна Толстая)

Этер Вардишвили

ст.3 к. спец. русская филология гуман. ф-та
рук. проф. Натела Хинчагашвили

Есть люди, удел которых – находиться в чьей-то тени, служа этой стезе добровольно, отдавая этому делу жизнь. К таким людям относилась дочь Льва Толстого Александра. Автор представленной работы ставит цель дать резюме многообразной деятельности и главных этапов жизни дочери великого писателя, посветившей популяризации имени отца всю свою непростую жизнь.

В тот день, 18 (30 июня) 1884 года, когда Александра должна была появиться на свет, Лев Николаевич Толстой, измученный сомнениями о правильности собственной жизни, в первый раз попытался уйти из Ясной Поляны. Но вернулся с полпути: наступал срок родов жены. Это был их 12-й ребенок... Ежегодно 18 июня Яснополянская школа им. Л.Н. Толстого отмечает день рождения своего первого директора Александры Львовны Толстой, дочери знаменитого писателя. Известна как автор книг: «Отец», «Дочь», «Трагедия Толстого» и др. Вот что писал о ней внук Толстого, Сергей Михайлович: «Саша была девочкой с настоящими мальчишескими замашками. Она была страшная любительница лошадей, верховой езды, балалайки; совершала долги е прогулки в лес за ореха – ми и грибами... Зимой каталась на прудах, летом помогала крестьянам в полевых работах».

С 1901 г. начинается "служение" дочери писателю. Она делается его помощником: освоив машинопись и стенографию, берет на себя копирование его автографов, разбор почты, по его поручению отвечает на многочисленные письма. Сближение ее с отцом началось, когда она взялась переписывать его рукописи и вести переговоры с многочисленными корреспондентами. До старости Александра Львовна сохранила

привычку писать под музыку. Это была отцовская черта. И даже внешне она была похожа на отца: «...крепкого телосложения, плотная, мускулистая. Высокий лоб, толстый нос, большие серые глаза, пенсне...» Когда в осеннюю ночь 1910 года он вновь решил покинуть Ясную Поляну, Саша помогала ему в сборах. Именно она последние 7 дней и ночей провела у постели умирающего отца в Астапове...

После смерти матери Александра несколько раз встречается с М. Калининным и А. Луначарским, добиваясь принятия постановления ВЦИК о создании в Ясной Поляне музея-усадьбы. Дочь Л. Толстого назначают «комиссаром Ясной Поляны». Известно, что в 1921 году Александра Львовна становится хранителем музея-усадьбы, а потом и его директором. До отъезда из России она стала поистине организатором культурного центра в Ясной Поляне.

Открытие школы – памятник отцу – Александра Львовна стремится осуществить к 100-летию со дня его рождения. Только по инициативе Л. Толстого в окрестностях Ясной Поляны было открыто 20 небольших школ для крестьянских детей. До революции предводитель Крапивенского уезда уже отказал дочери Толстого в этой просьбе. Но и позже ее больше слушают с усмешкой. Как пишет Александра Львовна в своих воспоминаниях, сначала она вместе с крестьянами хотела приспособить в усадьбе часть здания под школу, которое называлось «скотным» (там ютились коровы, телята, свиньи и овцы), а потом оно было восстановлено и переименовано в дом Волконского. Для школы здание не годилось.

Но школа все-таки была построена на бывшей «Кабацкой горе», недалеко от въездных ворот усадьбы с башенками, благодаря усилиям Александры Львовны. Она позже напишет: «Хозяйство при музее-усадьбе по распоряжению ВЦИКа должно было обратиться в показательное: для крестьян, туристов и для школы (с огородами, скотоводством и другими отраслями сельского хозяйства). Весь доход должен был идти на содержание музея-усадьбы». Дочь писателя была возмущена таким отношением к музею. Но она еще успевает в Ясной Поляне открыть больницу, аптеку. А в Москве вместе с группой ученых создает товарищество по изучению творчества Л. Толстого. Однако в 1929 году Александра Львовна покидает Россию, чтобы уже никогда сюда не вернуться. Но об этом чуть позже.

Литературный музей в школе им. Л. Толстого неформально существовал с 60-х годов. По крупицам собирала материалы для музея учитель Г. Пирогова. Несколько лет она вела поиск школ им. Толстого. Их набралось 32. Они были в Москве, Ленинграде, на Украине, в Белоруссии. Встречи школ стали ежегодными. Теперь эту эстафетную палочку подхватили сотрудники музея-усадьбы. Официально началом открытия музея считался октябрь 1979 года. А месяцем раньше того же года в Америке умирала Александра Львовна Толстая. Два года она боролась за жизнь после инфаркта, но болезнь ее победила. На свой страх и риск учитель школы Галина Пирогова отправляет письмо в Америку (за четыре года до смерти А.Л. Толстой), ведь ее имя было под запретом. Всем хотелось вместе с дочерью писателя порадоваться успехам школы. Потянулось томительное время ожидания. Но ответ пришел. В нем Толстая благодарила учителей, учеников за память о ней, за последовательное продолжение толстовских идей по обучению детей. Переписка с Александрой Львовной продолжалась до тех пор, пока она была жива.

А теперь вернемся к более раннему времени в жизни Александры Львовны. Война, начавшаяся в 1914 году, многое изменила в её жизни. После окончания курсов она уходит сестрой милосердия на фронт. На Кавказе дочь Толстого помогает формировать передвижной госпиталь, санитарный отряд. В короткий срок Александра Львовна со своими помощницами организовали для детей сотни школ-столовых. За участие в войне она награждена тремя Георгиевскими крестами (из записей А.Л. Толстой) и удостоена звания полковника.

В Ясной Поляне, несмотря на разруху после войны, она горячо взялась за работу. В 1920 году дочь Толстого была арестована по делу политической организации «Тактический центр». Как потом вспоминала Александра Львовна, ее судили за то, что она «ставила самовар участникам «центра». Революционный трибунал приговорил ее к трем годам заключения. И лишь по ходатайству крестьян Ясной Поляны Александру Львовну выпускают на свободу. На свободу ли? Все ее желания создать в Ясной Поляне особый мир, чуждый насилию и «советчине», практически неосуществимы. Александру Львовну одолевают письма и статьи в газетах о бывшей графине, которая «окопалась» в Ясной Поляне. Одна за другой следуют проверки и ревизии. Допрашивают учителей, учеников, созывают бесчисленные собрания. Чиновники роются в ее бумагах и записях, требуют документы на строительство школы. Борьба становится неравной.

Вот что писала Александра Львовна, вспоминая то время: «Я оторвалась от родной земли, где прожила 45 лет своей жизни, оторвалась от родных, друзей, от всего, что было мне дорого, от родного отцовского гнезда, его могилы...» Она едет в Японию, где прожила 20 месяцев, после пяти арестов и тюремных заключений. В Японии, где она была радушно принята, выступает с лекциями об отце. Но уже вслед за ней приходит предписание явиться в Советское консульство для выяснения ее задержки в Японии. Александра Львовна отказывается возвращаться в Россию «из-за невозможности продолжать работу отца на Родине».

С помощью давних друзей она перебирается в Америку. Ей 47 лет. Приходится снова учиться жить. На скромные средства дочь Толстого вместе со своими помощниками открывает ферму, занимается сельским хозяйством. При участии известных российских деятелей (Б. Бахметьев, С. Рахманинов, С. Панина и др.) она основала Толстовский фонд. Люди, которым она оказала помощь в начале их новой жизни в этой стране, всегда будут помнить Александру Толстую. Однако создание фонда не прошло мимо внимания советского правительства. Осенью 1948 года на страницах советских газет развернулась

клеветническая кампания против дочери Толстого с грязными обвинениями в шпионаже, измене Родине. Толстовский фонд именовался «разбойничьим гнездом».

Когда 30 лет назад (1978 год) Александре Львовне было послано приглашение принять участие в праздновании 150-летия со дня рождения Л. Толстого, она была уже серьезно больна и от приглашения отказалась. Дочь писателя умерла в возрасте 95 лет, 26 сентября 1979 года. Похоронена она на кладбище Новодивеевского монастыря (США).

Официально А.Л. Толстая была реабилитирована только в 1994 году. И сразу же ее жизнь и творческая деятельность стали объектом изучения историков и литературоведов. Хотелось бы отметить наиболее основательные исследования современных литературоведов Ю.Хечинова и С.Пуймана, чьи работы мы использовали в процессе работы над статьей.

ЛИТЕРАТУРА:

1. Городецкий В. Расстрел в Ясной Поляне (О неизвестных страницах истории усадьбы.). М., 2000
2. Пуйман С.А. "Исход" Александры Львовны Толстой: Архивные находки и комментарии. М., 2009
3. Хечинов Ю.Е. Крутые дороги Александры Толстой. М., 2000
4. <http://www.tounb.ru>
5. <http://www.cossackdom.com>
6. <http://www.liveinternet.ru>

**დრო და ბედისწერა
(ალექსანდრა ლევის ასული ტოლსტაია)
ეთერ ვარდიშვილი**

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ნათელა ხინჩაგაშვილი, სრული პროფესორი

წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი მიზნად ისახავს რეზიუმე მისცეს ახლახანს რეაბილიტირებული, დიდი მწერლის უმცროსი ქალიშვილის ალექსანდრა ლევის ასული ტოლსტაიას მრავალმხრივ საქმიანობას და ცხოვრების მთავარ ეტაპებს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა მამის შემოქმედებას.

**TIME AND FATE
(Alexandra Tolstaia Patronymic Lev)
Eter Vardishvili, The Third Year Student of Bachelor's Degree, Faculty of Humanities
Instructor: Natela Khinchagashvili, Full professor**

The aim of author of presented work is to give the resume to multilateral activities and main life stages of recently rehabilitated great writer's younger daughter Alexandra Tolstaia patronymic Lev, who consecrated her whole life to her father's creation.

XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან

ზურაბ ოქროპირიძე, მოწვეული სპეციალისტი

მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა მიერ შექმნილ ლიტერატურულ ტიპთა გალერეაში გამორჩეული ადგილი უკავია მიხეილ ჯავახიშვილის გახმაურებული რომანის გმირს კვაჭი კვაჭანტირაძეს. საუკუნის დასაწყისში შექმნილმა ქაოსმა და ანარქიამ, რევოლუციებმა და სოციალურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ხელი შეუწყო ამგვარ თაღლითთა წარმოშობას. კვაჭები, დიდი თუ პატარა, მწერლის თქმით „ადრეც მოიპოვებოდნენ ჩვენს კურთხეულ სამშობლოში“, მაგრამ მათით

ნაკლებად იყო დაინტერესებული ქართული მწერლობა. დიდი ბელეტრისტი თავადაც გამხდარა თაღლითთა მსხვერპლი: მწერლის ქალიშვილის, ქეთევან ჯავახიშვილის თქმით, ვინმე მეგრელიშვილს მისთვის ფული გამოურთმევია და უკან აღარ დაუბრუნებია. იგი დიდი მასშტაბის მაქინატორი ყოფილა. ამიტომ წერდა ალბათ რომანის ავტორი: „კვაჭი მრავალჯერ შემხვედრია, ჩემთვისაც გაუკრავს მას კლანჭი, ის ნარევი ტიპია“ [4,148]. მწერლის გონებაში მომწიფდა ასეთი ადამიანის სახე. ვვამცნო რა მათი გამოჩენა საზოგადო ასპარეზზე, ერთგვარ ლიტერატურულ ნათლიადაც მოევიწყა მათ. ჯერ კიდევ 1923-24 წლებში მწერალმა ჟურნალში „დროშა“ გამოაქვეყნა მოთხრობათა ციკლი „კვაჭის ჭაბუკობა“, რასაც მოჰყვა რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ (1925) აღნიშნული სახელი ზედმიწევნით მიესადაგა თხზულების გმირის ბუნებას. კვაჭი დღესაც თაღლით-მატყუარათა აღმნიშვნელი ტერმინია.

უნდა ითქვას, რომ კვაჭის ტიპი თავისი მაცდუნებელი ხასიათით შესანიშნავ საკომედიო მასალას წარმოადგენდა. ამ ფაქტმაც განაპირობა, რომ 20-ნი წლების ქართულ დრამატურგიაში იგი არაერთგზის გვხვდება. თავად მწერალი დაინტერესებული ყოფილა თავისი რომანის გმირი კომედიაშიც ეჩვენებინა. 1925 წელს იგი წერს სცენარს „კვაჭი“, მაგრამ პიესა სცენას ვერ ნახულობს. კვაჭის ტიპით დაინტერესდა მწერალი შალვა დადიანიც. ავტორის ნებართვითა და მოსკოვის ერთ-ერთი თეატრის დაკვეთით მან რომანი გაასცენიურა და შექმნა პიესა „კვაჭი“. აღნიშნული თეატრის დახურვის გამო ვერც ამ პიესამ იხილა სცენა. მიხეილ ჯავახიშვილს „ჯაყოს ხიზნების“ პიესად გადაკეთებაც სურდა. 1926 წელს მწერალთან შეთანხმებით იგი გაუსცენიურებია იმ დროს მოსკოვში მყოფ ახალგაზრდა ქართველ ლიტერატორს შალვა სოსლანს. ამ უკანასკნელის წერილიდან ირკვევა, რომ პიესამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის დრამატულ წრეებში, მაგრამ დადგმა ვერ მოხერხდა. სცენარისტს პიესა ქუთაისის დასისთვის გამოუგზავნია. 1926 წლის სათეატრო სეზონის ბოლოს ქუთაისის დასმა პიესა რამდენჯერმე დადგა. ამ ფაქტით გახარებული მიხეილი შალვა სოსლანს წერს: „ჯაყო“ სამჯერ დაუდგამთ ქუთაისში. მითხრეს, სამივეჯერ თეატრი სავსე იყო და დიდი გამარჯვებაც ერგო. გადაწყვეტილი აქვთ წლებანდელ სეზონშიც დასდგან... შესაძლებელია, რუსთაველის თეატრშიც მივალდებინო“ [4,174]. მაინც რამ განაპირობა ცნობილი რომანისტის დაინტერესება დრამატურგით? ავტორს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული სცენის ძალა და ზემოქმედება მაყურებელზე. მისი სურვილი იყო კიდევ უფრო ცხადი გაეხადა ქართველი ხალხისთვის ბოლშევიკური რეჟიმის ანტიქართულობა, თავისი სიტყვით შეწეოდა ნორჩ ქართულ დრამატურგებს: „ახლა მეც გადავდივარ დრამაზე, წერს იმავე წერილში, იქნებ დავძლიო, საშინლად დატაკია ლიტერატურის ეს დარგი და მიწადა აქაც მივაშველო ჩემი კალამი“ [4,174]. ამ სიტყვებში ავტორი გულისხმობს პიესას „ივერიუმი“, რომელსაც იგი წერდა დიდი გატაცებით რუსთაველის თეატრის დაკვეთით.

კვაჭიმ, როგორც ლიტერატურულმა ტიპმა, დიდი დარტყმა მიიყენა ბოლშევიზმს. ხელისუფლება მაინც იმით იმშვიდებდა თავს, რომ რომანის გმირი არ მოქმედებდა საბჭოურ საქართველოში. თუმცა პიესა „ივერიუმი“ და ცნობილი დრამატურგის ნიკო შიუკაშვილის კომედიები „ამერიკელი ძია“ და „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“ არსებითად ცვლიან სიტუაციას. ამ პიესების მიხედვით კვაჭი კვლავ მწყობრშია, მეტიც- მათი რიგები უფრო ფართოვდება. ყალიბდება ახალი ტიპის კომბინატორი - კვაჭი ბოლშევიკი.

დავუბრუნდეთ შალვა დადიანის სცენარს „კვაჭი“. პიესა, როგორც აღვნიშნეთ, მოსკოვის ერთ-ერთ თეატრს უნდა დაედგა, მაგრამ რადგან ვერ მოხერხდა, შალვა დადიანმა იგი სანდრო ახმეტელს აჩვენა. რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელს მოეწონა კომედია და იგი შეიტანა 1927-28 წლების სათეატრო სეზონის რეპერტუარში („კვაჭის“ გარდა ამ სეზონში უნდა დაედგათ „მეფე ლირი“, „ივერიუმი“, „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“, დ. შენგელაიას პიესა „თეთრები“).

1927 წლის ზაფხულიდან ბორჯომში თეატრის დასმა „კვაჭის“ ინტენსიური რეპეტიციები დაიწყო. მწერალს აინტერესებდა მისი რომანის გმირი როგორ მოერგებოდა სცენას და რამდენად მისაღები იქნებოდა ქართული დრამისათვის ეს პიესა, მაგრამ მას უფრო „ივერიუმის“ ბედი აღელვებდა და სურდა ახმეტელთან გაერკვია შემდეგი: ხომ არ შეუშლიდა ხელს „ივერიუმის“ (რომელიც ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული ავტორს) დადგმას რუსთაველის თეატრში კვაჭის ტიპაჟით შექმნილი რომანის დადიანისეული ინსცენირება და ნიკო შიუკაშვილის კომედიები. ქეთევან ჯავახიშვილის თქმით, ალექსანდრე ახმეტელს დაუმშვიდებია იგი. მწერლის თხოვნით ამ საკითხზე გერონტი ქიქოძეს უსაუბრია შალვა დადიანთან და მისულან საერთო დასკვნამდე: „კვაჭის“ სცენარი ვერ შეუშლიდა ხელს „ივერიუმს“, რადგან იგი რომანის გაგრძელებას წარმოადგენდა და სულ სხვა სიუჟეტზე იყო აგებული. „კვაჭის“ რეჟისორი ბერიკების ნიღბებით დგამდა. ამ წარმოდგენით დიდ ხელოვანს სურდა თავისი დიდი ხნის ნატვრა აესრულებინა – თანამედროვე თეატრისათვის დაეკავშირებინა ძველი ქართული ხალხური წარმოდგენები, გაეცოცხლებინა მივიწყებული ნიღაბი. თუ ჩავიხედავთ „კვაჭის“ რეპეტიციების დღიურში, ვნახავთ იმ დიდ მონდომებასა და ენთუზიაზმს, რომელსაც თეატრის კოლექტივი იჩენდა აღნიშნული პიესისადმი. ამას ადასტურებს შალვა დადიანის წერილი მიხეილ ჯავახიშვილისადმი. ორი

დიდი მოღვაწე თანხმდება, რომ „ორივენი ძმურად გაიყოფენ „კვაჭის“ შემოსავალს. წერილის მიხედვით, ახმეტელს დიდი იმედი აქვს და ძალიანაც ფართიფურთობს ამ პიესის გარშემო, ვატყობ, რომ სასახელოდ დადგამს“ [2,143].

თითქმის ოთხთვიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ რეპეტიციები „კვაჭიზე“ შენელდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი მთლად შეწყდა (ბოლო რეპეტიცია ჩატარდა 1927 წლის 9 დეკემბერს). ეს მაშინ, როდესაც ძირითადი სამუშაო უკან იყო მოტოვებული. ამ ფაქტის გამო სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. ცნობილი მსახიობის, აკაკი ვასაძის გადმოცემით „მიხეილ ჯავახიშვილის მკვეთრად რეალისტურ სახეებზე მორგებული ნიღბები ხელოვნური აღმოჩნდა და ჰკარგავდა მნიშვნელობას“ [1,213]. „კვაჭის“ პარალელურად რეჟისორი რეპეტიციებს ატარებდა სხვა პიესებზეც. ამიტომ, პროფესორ ვ. კიკნაძის აზრით, იგი ისეთი ინტერესით ვეღარ მუშაობდა „კვაჭის“ დადგმაზე. ამავე დროს, რაც დრო გადიოდა, მას ეჭვი ეპარებოდა პიესის წარმატებაში. ჩვენის აზრით, ზემოთ მოტანილი არგუმენტები შეიცავენ სიმართლეს, მაგრამ პიესის შეჩერების მთავარ მიზეზად ვერ გამოდგებიან. მართალია, „კვაჭის“ სცენარის აკრძალვის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს, მაგრამ რეჟისორზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა პროლეტკრიტიკოსთა აშკარად ცილისმწამებლურ გამოხდომებს. ისინი ერეოდნენ თეატრის საქმეებში, მოხერხებულად იყენებდნენ ორი დიდი ხელოვანის - ახმეტელისა და მარჯანიშვილის პირად უთანხმოებას და თეატრის დასს, მსახიობებს ამხედრებდნენ ერთმანეთისა და მთავარი რეჟისორის წინააღმდეგ. ამის გამოძახილი უნდა იყოს ალ. ახმეტელის წერილი, რომელიც დაუწერია 4 აგვისტოს. იგი ითხოვს „კვაჭის“ რეპეტიციების შეჩერებას და საერთოდ, თეატრიდან წასვლას: „... მე, როგორც სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი, დღეიდან ვწყვეტ მუშაობას, ვხსნი რეპეტიციებს, შემაქვს, სადაც ჯერ არს, განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ“ [2,146]. ალ. ახმეტელს ბრალს სდებდნენ, თითქოს ის თეატრიდან დევნიდა კომუნისტებსა და კომკავშირელებს. ბოლშევიკური პრესა სისტემატურად ესხმოდა თავს თეატრის ხელმძღვანელს „კვაჭიზმითა“ და ბერიკაობით გატაცების გამო. მრავალთაგან სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ პლატონ ქიქოძის მეტად მკაცრი წერილი გაზეთ „კომუნისტში“ (11. 12. 1927 წ.) „რუსთაველის თეატრი მიდის უკან“: „... საქმე იმაშია, რომ თეატრი გვპირდება კვაჭის ნიღბის შექმნას და საერთოდ, „ნიღაბთა თეატრად“ გადაქცევას ლამობს. რა არის ნიღაბთა თეატრი? იგი ბურჟუაზიულ საზოგადოებაშია განმტკიცებული. რუსთაველის თეატრი არ ცდილობს ახალი ადამიანის ტიპის მოცემას“. ეს იყო ხელისუფლების ხმა. ასეთი დიქტატის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა პიესაზე მუშაობა.

„კვაჭის“ რეპეტიციები ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა მიხეილ ჯავახიშვილმა დაასრულა „ივერიუმი“ მუშაობა. სექტემბერში პიესა უკვე რუსთაველის თეატრში იყო. კომედიის ირგვლივ თავისი მოსაზრებები გამოთქვას გ. ქიქოძემ, ალ. ახმეტელმა, შ. დადიანმა, აკ. ფაღავამ, მ. ქორელიმა. პიესა ერთხმად იქნა მიღებული დასადგმელად. როგორც დიდი ბელეტრისტი ქალოშვილი წერს, „პიესის შესახებ გამოითქვა აზრი, რომ ის არის ლიტერატურულად და სცენურად გამართული“. გ. ქიქოძე 1927 წლის 10 სექტემბრით დათარიღებულ წერილში პიესის ავტორს შენიშნავდა: „საშა ახმეტელს შენი „ივერიუმი“ ძალიან მოსწონს. ამ ბოლო წლებში ასეთი პიესა არ დაწერილაო“ [9, 1968, N5]. აღტაცებულნი ყოფილან პიესით აკაკი ფაღავა და მიხეილ ქორელი. პირველი ბათუმის თეატრში აპირებდა კომედიის დადგმას, ქორელი კი – ქუთაისის აკადემიურ თეატრში. ცხადია, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა კომედიის დადგმას რუსთაველის თეატრში. მოკლედ, პიესისადმი ინტერესი დიდი იყო, რაც უპირატესად გამოწვეული იყო თემის აქტუალობით, შინაარსობრივ-სცენური დახვეწილობით, ღრმა კრიტიკული პათოსით. მწერლის აკაკი ფაღავასადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ „ივერიუმი“ იყო მწვავე სატირა, მიმართული რუსულ-ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც გროტესკულ ხაზებში იყო გადაწყვეტილი: „დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი!.. პიესა „ივერიუმი“ უკვე გავათავე... ერთ ცალს ბათუმში გავგზავნი. უცენზურო ადგილები მოიპოვება, მაგრამ არ მეშინიან... შინაარსი – სტამბოლიდან დაბრუნებული კვაჭი... ნამდვილი სატირაა. „რევიზორივით“ ყველასი და ყველაფრის გაბითურება...“ [9,1968,N5]. აქვე მწერალი კვაჭის როლის სირთულეზე მიუთითებს და სთხოვს რეჟისორს კარგი შემსრულებელი მოძებნოს. „ივერიუმთან“ ერთად ახმეტელი დასადგმელად ამზადებდა ნიკო შიუკაშვილის ახალ კომედიას „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“ (მისი პირველი ნაწილი „ამერიკელი ძია“ წინა სეზონში დაიდგა დიდი წარმატებით და ამ სეზონის რეპერტუარშიც შევიდა), რომლის მთავარი პერსონაჟიც ასევე კვაჭია. მიუხედავად ტიპის მსგავსებისა, შიუკაშვილის კვაჭი არ იმეორებს დიდი მწერლის პერსონაჟის არცერთ მოქმედებას. იგი სხვა კვაჭია, რასაც მიხეილ ჯავახიშვილი ადასტურებს დრამატურგისადმი მიწერილ წერილში. „ამერიკელი ძია“ გამოირჩევა უმძაფრესი კომიზმითა და ინტრიგათა ბუნებრივი განვითარებით. პიესის სიუჟეტი ქართული ხალხური სიტყვიერებიდანაა აღებული, სადაც ღარიბი მოჯამაგირე მოხერხებულად ატყუებს მდიდარ მეპატრონეს და მთელ ქონებას გამოაცლის ხელიდან. ავტორმა ფოლკლორული მოტივების გამოყენებით შესანიშნავი კომიკური სახეები შექმნა. პიესა 1926 წლის 2 დეკემბერს დაიდგა. მან ყველა რეკორდი მოხსნა მაყურებლის დასწრების

მხრივ. მოიარა საქართველოს თითქმის ყველა თეატრი. პიესის დადგმას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ტენდენციურად შეაფასა პიესა პროლეტარულმა კრიტიკამ, მათი აზრით, კომედია მიუღებელი იყო საბჭოთა იდეოლოგიისათვის. უკიდურესად ცალმხრივი იყო რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორი და ახმეტელთან მწვავედ დაპირისპირებული სერგო ამალღობელი: „პიესა მავნეა და დასაწყვავი... გათახსირებული და გამხრწნელი ზეგავლენა აუდიტორიის ახალ ფენებზე – მუშებზე და კომკავშირელებზე...“ [10,1927,N6]. დადებითად შეაფასეს პიესა ცნობილმა თეატრალმა იოსებ იმედაშვილმა, მწერალ-დრამატურგებმა შალვა დადიანმა და სანდრო შანშიაშვილმა. მათ მიანიშნეს კომედიის დიდ მნიშვნელობაზე, „ამერიკელ ძიას“ ისინი ახალი კომედიის დასაწყისად მიიჩნევდნენ.

ასეთი ურთიერთსაპირისპირო შეფასებების შემდეგ დრამატურგმა გადაწყვიტა კომედიის გაგრძელება. ყველას ეგონა, რომ ავტორი უკან დაიხევდა და პიესას კომუნისტურად მომართავდა. მაგრამ მოხდა პირიქით: მწერალმა გაამათრახა საბჭოთა ხელისუფლება. პიესის პერსონაჟებმა ერთადერთი ცვლილება განიცადეს – ყველა გასაბჭოვდა, თვისებრივად კი იგივენი დარჩნენ. კვაჭი-კომბინატორი, კომუნისტი გამხდარა. იგი აყალიბებს ახალ ცხოვრებას საკუთარი ფილოსოფიით: „დროებას შეფერება უნდა, თანამასავით უნდა იყო მოქნილი“. პიესის დადგმამ (8.12.1927 წ) სკანდალური ხასიათი მიიღო. აკაკი ვასაძე (რომელიც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა) თავის მოგონებებში წერს: „... აწ დადგმული „გასაბჭოვებული ძია“ ისეთ მწვავე პოლიტიკურ პასკვილში გადაიზარდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მოხსნეს რეპერტუარიდან. ამ წარმოდგენამ მისცა საბაზი კრიტიკას ახალი იერიშები მიეტანა მის ხელმძღვანელობაზე...“ [1,243]. დრამატურგსაც და რუსთაველის თეატრსაც დიდი რისხვა დაატყდათ თავს. ხელისუფლება დრამატურგს საბჭოთა სისტემის გამასხარავებაში სდებდა ბრალს. გაზეთი „მუშა“ (1927წ. N1515) წერდა: „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“ – გასაბჭოება კი არ არის, გასაბჭოების გამასხრება...“ დრამატურგის ბედი ბეწვზე დაეკიდა, როდესაც ფილიპე მახარაძემ „ჩვეული პატივით“ მოიხსენია ნაწარმოები: „... მე ერთხელ მქონდა შემთხვევა დავსწრებოდი „ამერიკელ ძიას“ და ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დააკმაყოფილოს ამან ხალხი, ეს პირდაპირ დანაშაულია... ნაციონალური საკითხი ხელოვნების საქმე არ არის... ეს სენი არის, რომელიც რევს საქმეს... [8, 1928, N4].

პირველი წარმოდგენის შემდეგ პიესის დადგმები შეაჩერეს. 1928 წლის 7 იანვარს სარეპერტუარო საბჭოს სხდომაზე, რომელიც ძირითადად ოფიციალურად გადაწყვეტილებას ახმოვანებდა, „ძიას გასაბჭოება“ ოფიციალურად იქნა მოხსნილი. პიესამ რომ ბევრი თავსატეხი გაუჩინა მაშინდელი იდეოლოგიის მამებს, ამ სხდომის ჩანაწერიდანაც ჩანს: „...საჭიროა ჩვენ გვექონდეს კონტროლი ყველა თეატრზე პროვინციაში... პიესას რომ მიეცეს ტანჯულობის იერი ეს სრულებით ზედმეტია. ჩვენ დავწერთ, რომ ის მოიხსნა მხატვრული მოსაზრებით, ან ცუდად არის დაწერილი...“ [2,280]. ამავე სხდომაზე მოიხსნა რეპერტუარიდან მიხეილ ჯავახიშვილის „ივერიუმი“. პიესის აკრძალვამ ავტორის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. იგი მწერლობიდან წასვლითაც კი დაიმუქრა. მისი აზრით, „ივერიუმი“ სარეპერტუარო სამხატვრო საბჭომ და თეატრის ხელმძღვანელობამ სათეატრო სეზონის ერთფეროვნების გამო აკრძალა, რადგან მათ არ სურდათ მთელი სეზონის აშენება კვაჭებზე. მიხეილ ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ თეატრი „ივერიუმის“ ხარჯზე კვაჭის თემაზე შექმნილ სხვა პიესებს დგამდა. იგი სთხოვდა შალვა დადიანსა და ნიკო შიუკაშვილს მცირე უპირატესობა მიეცათ „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ავტორისათვის: „პატივცემულო ძმაო ნიკო!.. წერდა იგი ნიკო შიუკაშვილს, მთავარმა სარეპერტუარო კომიტეტმა უარყო ჩემი პიესა... ორში ერთი: ან მე უნდა მოვინელო ზარალიც და დამცირებაც, ან თქვენ უნდა გამოუცვალოთ სახელი კვაჭის. მე ვერ გამოვცვლი ჩემს გმირს, რადგან ტიპის ავტორი მე ვარ...“ [9, 1968, N5]. ამ წერილის ბოლო სტრიქონი თითქოს სანდრო ახმეტელისადმი პასუხსაც შეიცავს. „ივერიუმით“ აღფრთოვანებულ რეჟისორს კვაჭის სახელის შეცვლა ურჩევია მწერლისათვის, რადგან იგი სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებიაო. რაც შეეხება ნიკო შიუკაშვილის პოზიციას, მიუხედავად იმისა, რომ მისი კვაჭი განსხვავდებოდა რომანის გმირისაგან, დიდსულოვნად დათანხმდა კვაჭის სახელის შეცვლას, მაგრამ რადგანაც დასადგმელად გამზადებული „ამერიკელი ძიას გასაბჭოების“ პირველი ნაწილის გმირი კვაჭის სახელით მოქმედებდა, თეატრის ხელმძღვანელობას შეუძლებლად მიუჩნევია მისთვის სახელის გამოცვლა. ეს გაუგებრობა მალევე ამოიწურა. „ივერიუმის“ გმირი კვაჭის სახელით შევიდა თეატრის რეპერტუარში. 1927 წლის 4 სექტემბერს ალექსანდრე ახმეტელი გაზეთ „ზარია ვოსტოკასთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ მწერალმა ჯავახიშვილმა უკვე დაწერა საბჭოთა პიესა „ივერიუმი“ და თეატრი უახლოეს დღეებში დაიწყებს მასზე მუშაობასო. მაშ რა მოხდა? ოფიციალურად იგი 1928 წელს იქნა მოხსნილი. სავარაუდოდ, ბოლშევიკურმა ცენზურამ ადრევე მოახდინა მისი ე. წ. ზეპირი აკრძალვა და ახმეტელი აიძულა „კვაჭის“ სცენარის მსგავსად შეეჩერებინა პიესის რეპეტიციები. მწერლის ქალიშვილიც მომხდარში ძირითადად მთავარ რეჟისორს ადანაშაულებს, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ „ეს ჩვენი მოსაზრებაა, სინამდვილეში შეიძლება სხვა ამბებმაც შეუშალეს ხელი პიესის დადგმასო“ [9,1968,N5].

ვფიქრობთ, პიესის რეპერტუარიდან ამოღება ახმეტელის ინიციატივა არ ყოფილა. როგორ მისცემდა იგი დასტურს თავისივე შეკვეთილი და მოწონებული პიესის მოხსნას? ჩვენ არ ვიცით „ივერიუმის“ შინაარსი, მაგრამ მწერლის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ იგი მკაცრი მხილება იყო ახალი სინამდვილისა. მისი შეჩერების მიზეზიც ეს უნდა ყოფილიყო. პიესის აკრძალვაში თეატრის ხელმძღვანელობა რომ ნაკლებ დამნაშავეა ამტკიცებს სარეპერტუარო სამხატვრო საბჭოს სხდომის ჩანაწერი: „ჩვენ ეს პიესა აკრძალეთ, ამბობს კრების თავმჯდომარე, ერთ-ერთ ორგანიზაციაში ის განხილულ იქნა. პიესა მოხსნა ამ ორგანომ... მეორე მონაწილე კი აგრძელებს – ვფიქრობთ, მოვხსნათ ეს საკითხი საზოგადოდ, რადგან არსებობს ორგანოს დადგენილება ამ პიესის აკრძალვის შესახებ... [2,281].

ამჟამად, რომ ზემდგომთ გადაწყვეტილი ჰქონდათ კვაჭის მონაწილეობით არცერთი პიესა არ გაეშვათ სცენაზე. გულდასაწყვეტია პიესა „ივერიუმის“ ბედი. მაშინდელი რეჟიმის წყალობით დიდმა ბელეტრისტმა სცენაზე ვერ ნახა თავისი რომანის გმირი. მისი დაბეჭდვაც შეუძლებელი შეიქმნა და ცნობილ ხელოვანთა მიერ აღიარებული ნაწარმოები დღემდე გაუჩინარებულია.

ზემოაღნიშნულმა პიესებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს გასული საუკუნის ქართულ დრამატურგიაში. ქართველმა მწერლებმა უმაღლეს მნიშვნელობას ახალი რეალობის ანტიეროვნული ხასიათი. კომედიების ღრმად კრიტიკულმა პათოსმა სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი ინტერესი გამოიწვია. იგი ზედმიწევნით თანაუგრძობდა ავტორებს საბჭოური ცხოვრების შეფასებაში. არ ვიცით, ეს უბრალოდ დამთხვევა იყო თუ არა, მაგრამ ფაქტია, დიდი რეჟისორი „კვაჭებით ხელდამშვენებული“ შეხვდა „დიადი“ რევოლუციის ათ წლისთავს. მან „ამერიკელი ძიას გასაბჭოების“ სკანდალურ წარმოდგენაზე ხელოვნურის ნაცვლად სცენაზე შემოაყვანიდა ცოცხალი ვირი, რამაც განარისხა ხელისუფლება. გაზეთმა „კომუნისტმა“ (13. 12. 1927წ) ამ ფაქტს აღმავლობით და „ოქტომბრის იუბილესთვის შეუფერებელი“ უწოდა. გენიალური რეჟისორისა და „კვაჭის“ ავტორის ირგვლივ რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. კიდევ ათი წლის შემდეგ „დიდმა“ ოქტომბერმა მათი და სხვა არაერთი მამულიშვილის სისხლით აღნიშნა ოცი წლისთავი.

ლიტერატურა:

1. აკაკი ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, წ. I, თბ., 1977;
2. ეთერ დავითაია, ალექსანდრე ახმეტელი, ტ. II, თბ., 1987;
3. ნიკო შიუკაშვილი, „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“, რუსთაველის თეატრის მუზეუმი, ინვ. N 649;
4. ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ., 1984;
5. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1974, N125;
6. „ზარია ვოსტოკა“, 1928. 01. 12;
7. „თეატრალური მოამბე“, 1975, N1;
8. „მნათობი“, 1928. N4, „მნათობი“, 1968, N5;
9. „საბჭოთა ხელოვნება“, 1927, N6.

რეზიუმე

კვაჭი, როგორც ლიტერატურული ტიპი გამორჩეულია მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში. 1923–24 წლებში მიხეილ ჯავახიშვილმა ჟურნალში „დროშა“ გამოაქვეყნა მოთხრობათა ციკლი „კვაჭის ჭაბუკობა“, რასაც მოჰყვა რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“. ეს ტიპი თავისი მაცდუნებელი ხასიათით შესანიშნავ საკომედიო მასალას წარმოადგენდა, ამიტომ იგი არაერთგზის გვხვდება გასული საუკუნის 20–იანი წლების ქართულ დრამატურგიაში. რომანის გამოქვეყნებისთანავე მწერალი წერს სცენარს „კვაჭი“, 1926 წელს კი – პიესას „ივერიუმი“. დიდი ბელეტრისტის სიტყვით, პიესა რომანის გაგრძელებაა, სადაც კვაჭი უკვე ბოლშევიკურ საქართველოში მოქმედებს. კომედიაში ავტორი მკაცრად ამხელს ახალ საბჭოურ რეალობას. პიესის მიხედვით ყალიბდება ახალი ტიპის თაღლითი, კვაჭი-ბოლშევიკი. კვაჭის ტიპით ინტერესდება მწერალი შალვა დადიანიც. მიხეილ ჯავახიშვილის რომანის საფუძველზე იგი წერს პიესას „კვაჭი“. კვაჭები ფიგურირებენ ცნობილი დრამატურგის ნიკო შიუკაშვილის გახმაურებულ კომედიებშიც: „ამერიკელი ძია“ და „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“ (1926–27 წწ.). აღნიშნული კომედიების ღრმად კრიტიკული პათოსისა და მხატვრული ღირსებების გამო ცნობილმა რეჟისორმა ალექსანდრე ახმეტელმა ისინი რუსთაველის თეატრის 1927–28 წლების სათეატრო სეზონის რეპერტუარში შეიტანა. შიუკაშვილის კომედიების დადგამა ოფიციალური რისხვა და ამ პიესების რეპერტუარიდან მოხსნა გამოიწვია. ასეთივე ბედი ეწიათ პიესებს „კვაჭისა“ და „ივერიუმს“. ხელოვანთა წრეებში საყოველთაოდ აღიარებული კომედია „ივერიუმი“ დღემდე დაკარგულია.

FROM THE HISTORY OF GEORGIAN DRAMA AND THEATRE IN THE 20S OF 20TH CENTURY

Zurab Okropiridze, Specialist by contract
RESUME

Kvachi, as a literature person is distinguished in XX century Georgian writing. In 1923-1924 Mikheil Javakhishvili published stories "Youth of Kvachi" in the journal "Drosha", which was followed by the novel "Kvachi Kvachantiradze". This person with its tempter character presented an excellent comedy material that is why we often meet such kind of person in the 20s years of the last century of Georgian dramaturgy. The writer writes scenario "Kvachi" simultaneously publishing the novel and in 1926—the play "Iveriumi". With the words of great belletrist the play is the continuing of the novel, where Kvachi is already acting in Bolshevik Georgia. In the comedy the author strictly expresses Soviet reality. According to the play a new type of swindler creating, Kvachi – Bolshevik. The writer Shalva Dadiani also interested in the type of Kvachi. He writes the play "Kvachi" on the base of Mikheil Javakhishvili's novel. Kvachebi are mentioned in the famous comedies of the known dramatist Niko Shiukashvili: "American uncle" and "Sovieting of the American uncle" (1926-27). Famous producer Aleksandre Akhmeteli brought these comedies in 1927-28 years theatrical season repertoire of Rustaveli Theatre because of their deep critical pathos and feature advantages. The staging of Shiukashvili's comedies caused anger of semi-official newspaper and removal of the plays from the repertoire. Such kind of fate had also plays "Kvachi" and "Iveriumi". The widely recognized comedy "Iveriumi" is lost up today.

დემონურის გააზრებისათვის მ. ლერმონტოვისა და გ. ტაბიძის პოეზიაში

თამარ სიღამონიძე, მოწვეული სპეციალისტი

გალაკტიონის მოგონებებიდან:

„კუნძული მეფისჭალა, რომელიც ჩვენს სახლს ეკვროდა, იყო ჩემი საყვარელი ადგილი. ეს ჭალა იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის მიერ (1789-1810) მიეცა ჩემს წინაპარს. ჩემზე გადმოვიდა შთამომავლობით. კუნძულს გარს უვლიდა რიონის ორი ტოტი, ერთი – ჩქარზე ჩქარი, მეორე – დინჯი, აუჩქარებელი. ორივე რიონი ძალიან მიყვარდა, განსაკუთრებით, ზაფხულობით. აქ ვკითხულობდი დიკენსს, ბაირონს, შელლის, მიუსეს, შატობრიანს, რუსოს, ტოლსტოის, პუშკინს, ლერმონტოვს, აკაკის და ილიას წიგნებს...“

XIX საუკუნის რუს პოეტთაგან გალაკტიონისთვის ყველაზე მეტად ახლობელია მ. ლერმონტოვის პოეზია, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის ადრეულ ლირიკაზე.

გალაკტიონისა და ლერმონტოვის პოეტური სახელების დაახლოება შეიძლება ცოტა უცნაურადაც კი მოგვეჩვენოს, რადგან მათ არა მხოლოდ მთელი ეპოქა აშორებთ, არამედ ერთმანეთისაგან განსხვავებული პოეტური ხედვა და შემოქმედებითი პრინციპები აქვთ.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1964 წლის 16 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა გ. გაჩეჩილაძის წერილი „მ. ლერმონტოვი და გ. ტაბიძე“, რომელიც საყურადღებო იყო იმ თვალსაზრისით, რომ წარმოადგენდა ერთ-ერთ პირველ ცდას გალაკტიონის შემოქმედების შესწავლისა შედარებითი ანალიზის გზით. ავტორი შეეცადა პარალელი გაეგლო გალაკტიონის „მზეო თიბათვისა“ და ლერმონტოვის „Молитва“-ს შორის.

ჩემი დაინტერესება მ. ლერმონტოვის პოეზიით განაპირობა იმ დიდმა ინტერესმა გალაკტიონის პოეზიისადმი და კვლევის ტიპოლოგიური მეთოდებისადმი, რომლებიც ძალზე აქტუალურია ლიტერატურათმცოდნეობაში.

ლიტერატურული ტიპოლოგიზმი ყველაზე თვალნათლივ ნაწარმოებთა სიუჟეტურ მსგავსებაში იჩენს თავს, მაგრამ მხოლოდ ამ გზით ლიტერატურათა ურთიერთმიმართების კვლევა მართებულად არ მიგვაჩნია. ამ მხრივ მეტად საინტერესოდ მეჩვენება ვ. ფედინის მოსაზრება: „საქმე იმაში როდია, რომ ლიტერატურაში არსებობენ მოხეტიალე სიუჟეტები, რომლებიც ერთი ნაციონალური მწერლობიდან მეორეში გადაინაცვლებენ, არამედ იმაში, რომ ცხოვრებისეული სინამდვილე, ყოფა, სოციალური ურთიერთობანი ერების ისტორიაში მეორედბოდნენ, მეორდებიან და კვლავაც განმეორდებიან ყველგან“ (11; 632).

გალაკტიონი ჩინებულად იცნობდა რუსულ პოეზიას და ხშირად გამოთქვამდა საკუთარ ვარაუდებს რუსული პოეზიისა თუ მწერლობის კორიფეთა მისამართით: „გადავიკითხე შემდეგი გვერდები წიგნისა „როგორ მუშაობდა ტოლსტოი“. იგი მუშაობდა, რა თქმა უნდა, გენიალურად. არა ისე, როგორც მე: ჩემი მუშაობის მეთოდები სულ სხვაგვარია. ტოლსტოი ბოლოსდაბოლოს ლიტერატორია. ბევრიც რომ იუაროს, არა გაუვა–რა... მაგრამ რა იყო ვერლენისთვის ლიტერატურა, ან ლერმონტოვისთვის, ან ჩემთვის რა არის იგი? ან ლერმონტოვს ვინ მისცემდა საშუალებას ემუშავა ისეთ პირობებში, როგორც ტოლსტოის?“

გალაკტიონის და ლერმონტოვის შემოქმედების ძირითადი მოტივები ხშირად ნახულობენ ურთიერთპარალელს, რაც, ჩემი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ ორივე პოეტი მეტად მტკივნეულად განიცდიდა თავისი სამშობლოსა და თაობის ბედს, მათი მწუხარება და პროტესტი გამოწვეული იყო მათი ქვეყნების საზოგადოებრივ–პოლიტიკური მდგომარეობით.

რუსი პოეტი საქართველოში შეიყვარეს, როგორც ჯალათების წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი. სხვა რუსი მწერლებისგან განსხვავებით, მან შეინარჩუნა „ამაყი რწმენა ხალხისადმი და სხვა ცხოვრებისადმი“ („Веру гордую в людей и в жизнь иную“).

ქართველ მკითხველს ლერმონტოვის პოეზია ალაგზნებდა მხურვალე პროტესტით ყოველგვარი ბოროტებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. ალბათ, მისმა პოეტურმა გენიამ თუ შთააგონა გალაკტიონს არა ერთი ლექსი. „ნიჭის სიღრმით, სიღინჯით და ფილოსოფიური აღმაფრენით ლერმონტოვი გაცილებით მაღლა დგას პუშკინზე, და სწორედ ამის ბრალია, რომ ლერმონტოვის პოეზია დღესაც ჰხიბლავს მკითხველს, დღესაც იზიდავს მის სულსა და გულს და თავის მიმზიდველობას ჯერ კიდევ დიდხანს არ დაჰკარგავს,“ – წერდა ჟურნალი „კვალი“ ჯერ კიდევ 1901 წელს (№30).

მ. ლერმონტოვის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევარები არაერთხელ აღნიშნავენ, რომ კავკასიაში მოგზაურობის დროს პოეტი დიდი ინტერესით ეცნობოდა ადგილობრივ თქმულებებსა და ლეგენდებს და რომ მან თავის ნაწარმოებებზე მუშაობის დროს გამოიყენა მრავალი ხალხური გადმოცემა. მიუხედავად ამისა, დიდი ხნის განმავლობაში მკვლევარების ეს დაკვირვება უგულებელყოფილი იყო ვრცელ ლიტერატურაში „დემონის“ წყაროების შესახებ.

1938 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შემსწავლელი კომისიის სხდომაზე ვ. შადურმა მოხსენებაში დიდი რუსი მწერლის „კავკასიური ნაწარმოებების“ წყაროების შესახებ, კვლავ დააყენა ეს პრობლემა და მიუთითა, რომ პოემა „დემონის“ ერთ–ერთი ძირითადი წყარო არის ხალხური თქმულება მთის სულის ღუდას შესახებ.

ამ მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. 1939 წელს პროფესორმა ბ. ეიხენბაუმმა „ლიტერატურაში გაზეტაში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომელშიც აღნიშნა, რომ თუ დღემდე მეცნიერები „დემონს“ დასავლეთევროპულ წყაროებს უკავშირებდნენ, ამიერიდან უნდა აღიარონ, რომ მისი წყაროები კავკასიის ფოლკლორის მასალებში უნდა ვეძიოთ. ამით მან გაიზიარა ვ. შადურის მოსაზრება (1; 167).

ახალგაზრდა ლერმონტოვს პოემა „დემონის“ დაწერა ჯერ კიდევ 1829 წელს განუზრახავს. მაგრამ პირველი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მას ძირფესვიანად გადაუკეთებია თავისი ქმნილება.

ს. დანელიას მტკიცებით (5; 97), მ. ლერმონტოვი დემონის სახეს რომ ქმნიდა, ცდილობდა მოეცა ერთგვარი სინთეზი რუსულ და ევროპულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული მხატვრული ტიპისა. მისი აზრით, ლერმონტოვმა ყურადღებით შეისწავლა და ღრმად ჩასწვდა ჰამლეტების, ვერთერების, ადოლფების, ჩაილდ–ჰაროლდების, ჩაკვებისა და ონეგინების სახეს, ყველა ამ გმირს ერთი საერთო თვისება უპოვა – დემონიზმი, და შექმნა თავისი დემონი, როგორც სინთეზი XVIII-XIX საუკუნეების რუსულ და ევროპულ ლიტერატურაში გავრცელებული ლიტერატურული ტიპისა. როგორც ბელინსკი წერდა, – ლერმონტოვის დემონი არის ტიპთა ტიპი.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, დემონი ხან კეთილი, ხან კი ბოროტი ღვთაებაა. გ. ტაბიძე აფართოებს ამ ცნების საზღვრებს, ცდილობს შეავსოს იგი ახალი ნიუანსებით.

გალაკტიონის ლირიკაში სიმბოლისტური ტრადიციიდან შემოდის დემონის, გაორების მოტივი და ამ გზით – შინაგანი მთლიანობის დაშლისა თუ სარკის თემა, რაც ბოლომდე გასდევს პოეტის შემოქმედებას. ლექსში „ისევ ეფემერა“ დემონურობა განცდის სიმძაფრეში ვლინდება (9; 76), სულიერი დაძაბულობა ზღვარს აღწევს, რასაც უნდა მოჰყვეს ვნებების გადმოღვრა:

„მაგრამ უეცრად ქართველივით
მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი.
დემონიური არეგ–დარევით
ყოველი მხრიდან ავარდა ალი.
სულში დაჰქროდა ქალი ქარივით

და შეშლილივით კიოდა ქალი.“

ქალი გალაკტიონთან დემონური მშვენიერების ცისფერი ქალია. 1916 წელს დაწერილ ლექსში „ვინ არის ეს ქალი?“ სიმბოლოსტური ათინათი დასთამაშებს ამ ჰაეროვან, უხორცო არაამქვეყნიურ არსებას.

დემონის მრავალმნიშვნელოვან გააზრებას დიდი ადგილი ეთმობა გალაკტიონის პოეზიაში. გ. ტაბიძის „სულის თვალთა წინაშე“ ხშირად გადაიშლება „ქვეყანა ბნელი დემონებისა“. მის პოეტურ წარმოსახვას ყოველთვის თან ახლავს „ვიღაც მესამე“, რომელიც ორთა შორის ჩნდება. პოეტს აწუხებს მისი ვინაობა:

„... მაგრამ უეცრად ვიღაც მესამე,
ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის.
და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი:
საცაა, მოვა სიკვდილის წამი!
ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი
და მივდიოდით ტაძრისკენ სამი“.

გალაკტიონი მას ხან მეფისტოფელს უწოდებს, ხან ლუციფერს, ხანაც ბელზებელს. „ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორიო“, – წერდა გალაკტიონი. ის ერთიც და მეორეც თვითონ იყო... ის მესამეც თვითონაა. თუ მაინცდამაინც ცალ–ცალკე წარმოვიდგინოთ, ერთი – გენიალური პოეტია, მეორე – ძალად აქტიური ჰამლეტი, მესამე – დაიმონი, რომელიც მის სულში მძვინვარებს (8; 455).

დემონი რომ გალაკტიონის სულის ბინადარია, მისი ჩანაწერიც ადასტურებს: „როგორ მწყურია სიკვდილი... ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით, ჩემი სხეული დაიღალა სიცოცხლით. იდეა სიკვდილის, რომელიც განადგურებას ნიშნავს, ჩემთვის ტკიბილია. მე მიხარია, რომ ჩემი საკუთარი ნებით შემიძლია შევაჩერო ეს მოუსვენარი გულისცემა, ეს აღელვებული და მხურვალე სისხლი, ეს მტანჯველი ტკივილები ნერვების. მე ვერაფერს ვხედავ, ჩემი დემონის ცეცხლოვანი თვალების გარდა“.

გალაკტიონი შეჰყურებს „ყრუ დედამიწას“ და თითქოს თვითონაც უერთდება „დემონების კორიანტელს“:

„ზღვას, უდაბნოს და დემონებს, ჩემი ბედისწერა
შეეჩვია და სიმღერა მხოლოდ მასთან მჯერა...“

გ. ტაბიძე, ისევე როგორც მ. ლერმონტოვი, ზოგჯერ მეფისტოფელს უსამართლოდ დასჯილ სულად თვლის და რამდენადმე სენტიმენტალურად წარმოადგენს მის სახეს (7; 107).

ამკარადაა გამოვლენილი დემონთან კავშირი გალაკტიონის შემოქმედებაში. „ჩვენ სისხლით დავდეთ ხელშეკრულება“, – წერს პოეტი. „იდუმალი მეორე“, „მხილების სახე“, „წამების ღმერთი“, „ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი“, „ცოდვილი სული“, „მუადამის ბნელი სტუმარი“, „სატანა“ ხელს უშლიდნენ გალაკტიონს შინაგანი სამყაროს გამთლიანებაში. „მავ დემონს მივე ფრთა მოტივტივე“, – ამბობს პოეტი ლექსში „სხვა ყველაფერი“.

მიუხედავად იმისა, რომ მ. ლერმონტოვის დემონი გონების გამასხივოსნებელი და სრულყოფის მომნიჭებელი ძალაა, შფოთვისა და მოუსვენრობის სათავე, თავად რუსი პოეტი თავის თავს „ბოროტების რჩეულად“ თვლის. ალბათ, ამიტომაც აკავშირებს რ. ბურჟულაძე გალაკტიონის დემონს ლერმონტოვის დემონთან (3; 85). რევაზ თვარაძე კი მწიგნობრული გავლენით ხსნის გალაკტიონის დემონს (6; 116).

გოეთე პოეზიას დემონოლოგიად თვლიდა. ცნობილია გალაკტიონის ერთი გამონათქვამი უნიჭო პოეტის მისამართით: „სულში დემონი არ უზისო“. ლ. სორდიას აზრით, გალაკტიონი განასხვავებს დემონს და ლუციფერს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლექსი „ვარ გენია რიმანელი“, რომელშიც დემონი შემოქმედებითი ძლიერებაა, ლუციფერი – დამარცხებული ბოროტება (10; 68).

მკვლევარი მ. კვესელავა არ ეთანხმება რ. თვარაძეს იმაში, რომ დემონური გალაკტიონთან მწიგნობრული ხასიათისაა. დემონური ისე ორგანულადაა „ჩამჯდარი“ გალაკტიონის პოეზიაში, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება „მწიგნობრული“ ეწოდოს: „სხვა რომ არა იყოს რა, ეს არ ეთანხმება ქართული მწერლობის ტრადიციებს. მთელი ჩვენი ხალხური შემოქმედება და სიტყვაკაზმული მწერლობა მდიდარია დემონურის მოტივებით. გალაკტიონიც არ ღალატობს ამ ტრადიციას და ისე ავითარებს დემონურის გაგებას, როგორც მისი დიდი წინაპრები, პირველ რიგში კი ნ. ბარათაშვილი“ (7; 104).

ყურადღებას იმსახურებს კრიტიკოს რ. მიშველამის აზრი, რომლის მტკიცებით გალაკტიონის პოემა „სატანა“ დაწერილი 1915 წელს, წარმოადგენს მ. ლერმონტოვის „დემონის“ თარგმანს.

აი, რას წერს ამ საკითხთან მიმართებაში ნ. ცხოვრებოვი:

„Когда разговор переносится в сферу типологических связей, генезиса, то делается необходимым анализ сравнительных явлений, в противном случае общие декларативные заявления могут расцениваться лишь как гипотеза, требующая соответствующего научного обоснования. Поэму «Сатана» нельзя подвести ни к одной форме перевода, даже вольного, так как она разнится от поэмы «Демон» не только в определенной части сюжета, но даже именами действующих лиц; ясно, что классифицировать поэму «Сатана» как перевод

лермонтовской поэмы было бы неверным. Напротив, тут имеем дело со своеобразной и оригинальной трактовкой лермонтовской поэмы, перенесенной на национальную почву“ (12; 124-125).

დავამატებდი, რომ ეთნიკურ–ეროვნულ საზღვრებში ჩაკეტვას და განვითარებისათვის საჭირო იმპულსების მხოლოდ საკუთარ თავში ძიებას არასოდეს დადებითი შედეგი არ მოუტანია. კაცობრიობის ისტორიამ ამის უამრავი მაგალითი იცის. ცნობილია, რომ მ. ლერმონტოვის პოეზიას მის სიცოცხლეშივე ხშირად ანათესავებდნენ ბაირონის პოეზიასთან, რის გამოც დაიწერა მისი ერთ–ერთი აღსარება–ლექსი:

„Нет, я не Байрон, я другой,
Ещё неведомый избранник,
Как он гонимый миром странник,
Но только с русскою душой“.

დემონთან კავშირის მრავალგვარი სახე იყო ცნობილი გ. ტაბიძემდე. დემონთან დამეგობრების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ გოეთეს ფაუსტის კავშირი დემონურთან.

ფაუსტი მეცნიერების მონაპოვრებით ვერ კმაყოფილდებოდა და ადამიანის გონებისათვის შეუცნობელს ესწრაფვოდა მუდამ, ჭეშმარიტების ძიებას და ბუნების კანონზომიერების შეცნობას, ადამიანური გონების შეზღუდულობის დაძლევის დემონური გზით ცდილობდა.

ქართველი რომანტიკოსი პოეტები „შინაგან დემონებს“ ერკინებოდნენ. ნ. ბარათაშვილმა „ბედის საზღვრის“ გადასალახავად ბოროტი სული კი არა, საკუთარი მღელვარე გონების დემონური მერანი აირჩია და გაიმარჯვა კიდევ მასთან ჭიდილში.

დემონურობა მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების გადალახვად მიაჩნდა კონსტანტინე გამსახურდიას. და მართლაც, გენიალურია, დემონური ძალა, რომელიც უტყვეს აამეტყველებს, ლანდს სულს ჩაუდგამს, არარსებულს არსებულებით წარმოგვიდგენს, გაქანებაა, რომელმაც ააშენა სვეტიცხოველი, გელათი, ვარძია, ნიკორწმინდა; ძლიერებაა, გამბედაობაა, რომელიც მოყმეს ვეფხვთან არკინებს; დემონურია პიროვნების განვითარებაში დათქმული და დაწესებული „ერთგვარი სამანის“ გადალახვის უნარი (4; 42).

გალაკტიონის ინტერპრეტაციით, დემონი მრავალგვარი ძალაა, დადებითიც, უარყოფითიც, რომელიც პროგრესსა და რეგრესს შორის ბრძოლას წარმართავს. ბოროტი დემონის სახეა ლექსში „მაგრამ მე რა ვქნა“:

„მე დემონები ქროლვით მარადით
მომაგონებდნენ დაფარულ შხამით,
რომ უიმედოდ მივქროდი ღამით
გატეხილ შუბით და მუხარადით...“

რეაქციის პერიოდის სინამდვილეც ხელს უშლიდა გალაკტიონს შინაგანი სამყაროს გამთლიანებაში, მაგრამ ის ყოველთვის ახერხებდა სიბრძნესთან, გენიასთან, დიდ სიყვარულთან, სილამაზესთან და მუსიკასთან დამშობილებას. აკი რჩებოდა კიდევ მუდამ მშვენიერების აპოლოგეტად:

„ნუ კვდება რაც უბრძნესია,
ნუ კვდება, რაც ლამაზია.“

გურამ ბენაშვილი თავის წერილში „არტისტული ყვავილების „პარადიგმები“, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა, აღნიშნავს: „ნონსენსი იქნებოდა, გალაკტიონის ინდივიდუალობა, მისი თამამი და უწარმტაცესი სააზროვნო სივრცე სხვა უპოპულარულეს პოეტურ სისტემათა, თუნდაც „უნებლიე“ მიზამკვად წარმოგვედგინა. ჩვენ წინაშე არა უცხო იდეებისა და ფორმების მექანიკური შეთვისება, არამედ მათი პოეტური ასიმილაციისა და სულიერი ტრანსფორმირების უნიკალური გამოვლინებები... ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ცნობიერად თუ სრულიად უნებლიედ, ქართული სიმბოლიზმი (უპირველეს ყოვლისა, გალაკტიონი) იდენტური თუ არაა, ყოველ შემთხვევაში ყველაზე მეტად უახლოვდება ევროპულ, კერძოდ, ფრანგულ სიმბოლიზმს და არა რუსული სიმბოლიზმის მისტიკურ–ეზოთერულ ნაირსახეობას“ (2; 10).

ამრიგად:

1. დემონის მრავალმნიშვნელოვან გააზრებას დიდი ადგილი ეთმობა როგორც მ. ლერმონტოვის პოეზიაში, ასევე გალაკტიონის ლირიკაში. ქართველი პოეტი „დემონური სულის ლტოლვით“ ცდილობს დაძლიოს „ეკლიანი გზის სიძნელე“. გ. ტაბიძე განავრცობს ამ ცნების ფარგლებს. სრულყოფს მას ახალი ნიუანსებით.

2. გალაკტიონის შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის მონაპოვარს ეფუძნება. ქართველმა პოეტმა გაითავისა როგორც ეროვნული, ასევე ევროპული, უპირატესად ფრანგულ–რუსული, მწერლობის მიღწევები.

3. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მ. ლერმონტოვის პოეზიასთან ტიპოლოგიური თანხვედრების მოძიებაზე და მათ გავლენაზე გალაკტიონის ლირიკაზე.

4. გალაკტიონის პოეტურ წარმოსახვას ყოველთვის თან ახლავს „ვიღაც მესამე“, რომელიც ხელს უშლის მას შინაგანი სამყაროს გამთლიანებაში. მას ხან მეფისტოფელს უწოდებს, ხან ლიუციფერს, ხან ბელზებელს, ხან სატანას, ხანაც შუალამის ბნელ სტუმარს.

5. ვფიქრობ, როგორც ლერმონტოვის დემონი, გალაკტიონის დემონიც გაორებული სახეა: ის მგზნებარე და უსაზღვრო პროტესტს გამოთქვამს დამონების წინააღმდეგ და, მეორე, ერთგვარად ზავშეკრულია ბოროტ სულთან, სატანასთან, რის გამოც ხშირად სწორედ ამ სახელებით მოიხსენიება ორივე პოეტის შემოქმედებაში.

ლიტერატურა:

1. ბარამიძე მ., მ. ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკასა და თარგმანებში, თბ., 1973 წ., გვ. 167.
2. ბენაშვილი გ., „არტისტული ყვავილების“ პარადიგმები“, „ლიტერატურული საქართველო“, 2000, 17-23 მარტი, გვ. 10.
3. ბურჭულაძე რ., მხოლოდ ინტეგრალები, თბ., 1980 წ., გვ. 85.
4. გამსახურდია კ., კრიტიკა, ტ. III, თბ., 1959, გვ. 42.
5. დანელია ს., მ. ლერმონტოვი. ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1960 წ., გვ. 97.
6. თვარაძე რ., გალაკტიონი, თბ., 1972 წ., გვ. 116.
7. კვესელავა მ., პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977 წ., გვ. 107; 104.
8. კუცია ნ., XX საუკუნის ქართველი მწერლები, თბ., 2009, გვ. 455.
9. სარია ზ., გალაკტიონ ტაბიძის ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო-პუბლიცისტური ლირიკა, თბ., 2003 წ., გვ. 76.
10. სორდია ლ., გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, თბ., 1991 წ., გვ. 68.
11. Федин К. А., Из литературных бесед, Собр., Сочинений, т. 9, М., 1962, с. 632.
12. Цховрезов Н. Д., Проблемы сравнительно-типологического изучения грузинской поэзии XX века, Тб., 1983, с. 124-125.

რეზიუმე

სტატია ეხება მ. ლერმონტოვისა და გ. ტაბიძის მხატვრული შემოქმედების ურთიერთმიმართების საკითხებს. კერძოდ, დემონურის პრობლემის გააზრებასა და ტიპოლოგიური თანხვედრების მოძიებას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ როგორც ლერმონტოვის დემონი, გალაკტიონის დემონიც გაორებული სახეა: ის მგზნებარე და უსაზღვრო პროტესტს გამოთქვამს დამონების წინააღმდეგ, ამასთან ერთად ერთგვარად ზავშეკრულია ბოროტ სულთან, სატანასთან, რის გამოც ხშირად სწორედ ამ სახელებით მოიხსენიება ორივე პოეტის შემოქმედებაში.

FOR UNDERSTANDING THE DEMON IN M. LERMONTOV AND G. TABIDZE'S POETRIES

Tamar Sidamonidze, Specialist by contract

RESUME

The article deals with the issues about the relation between M. Lermontov and G. Tabidze works. Namely, realizing demon problem and searching typological coincidence. There is an idea that the demon of Lermontov as the demon of Galaktioni is an ambivalent image: it expresses flaming and boundless protest against enslavement. Herewith, it is linked to the evil, Satan, that's why it often is called the same name in the works of the both poets.

ყივჩალის თემის ვარიაციები ქართულ ლიტერატურაში

ციცინო ღულუნაძე, ხატია ტეტუნაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: მარინა ცერცვაძე, სრული პროფესორი

გიორგი ლეონიძის პოეტური ხილვებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია მისეული ინტიმური ლირიკის შედევრი „ყივჩალის პაემანი“.

„ყივჩალის პაემანის“ უპირველესი პათოსი გმირულ საწყისებზე აღმოცენებული მარადიული სიყვარულის განცდაადრო და სამანები აქ ისე დარღვეული, როგორც ნისლიანი მზერა სასიკვდილოდ დაჭრილი რაინდისა. თვითონ მოძალადე ყივჩალის თემაც, რომელიც გამოძახილს ქართულ ეროვნულ ბალადაში ჰპოვებს, უსაზღვროდ აფართოებს მოქმედების არეს და საუკუნეთა სიღრმეში იძირება. ტრაგიკულის განცდა ფიქსირებულია პოეტური ფრაზით:

„მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად“.

ხოლო დაუძლეველი მეტოქეობის გრძნობა სასურველი ქალისადმი ლტოლვითაა გამოხატული:

„ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლენე ტამრები კელაპტრიანი!“ (1,270)

სარგის ცაიშვილი აღნიშნავს, პოეტურ სურათებს აცხოველებს მხოლოდ და მხოლოდ ლეონიძისადმი დამახასიათებელი მოულოდნელი სახეები გაჟენთილი მიწიერი სურნელით: „როგორც სამროხე ქვას ოშხივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები.“ გრანდიოზული პოეტური სურათის ფონზე აქ ხელშესახებად იგრძნობა სისხლისაგან დაცლილი რაინდის უკანასკნელი ამოსუნთქვა და განშორების დიდი გულისტკივილი. კრიტიკოსი აღნიშნავს ასევე, რომ ლექსში ორიგინალურადაა მოხმობილი რუსთველური ფრაზები, მაგრამ მათი ფუნქცია მეტია, ვიდრე სამკაული ან მხოლოდ სტილისტური ხერხი. იგი ზუსტ ასიციაციებს აღმრავს და ამლიერებს განცდას სიყვარულის უკვდავებაზე, რომელიც რუსთველური სიყვარულის სახელითაა აღბეჭდილი ჩვენს ცხოვრებაში და საუკუნეებს სწვდება. (1,272)

ელიზბარ ჯაველიძე თავის წერილში „ერთი ლექსის საიდუმლოება“ ყივჩაღური თემის შესახებ წერს: „ამ ლექსის ფეთქებადი ენერგია საოცრად ესადაგება ქართულ ხასიათს და იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართული სულის ფენომენის, მისი დაუდგრომლობის თუ გარინდების, მისი აღმფრენის თუ „დამიწების“, მისი სიყვარულის თუ სიძულვილის გამომხატველი და ამსახველი.“ (2,75)

როგორც საქართველოს ისტორიიდან ვიცით, დავით აღმაშენებელმა ჩამოსახლა ყივჩაღები საქართველოში, რაც უთუოდ დიდი რისკი იყო და ქართველთა გამძლეობას საჭიროებდა. ხალხური ლექსისა არ იყოს, ქართველს ყივჩაღი შემოეყარა. არჩევანის უფლება არცერთს არ დაუტოვეს, სურდათ თუ არა, ამ ორ ხალხს ერთ ჭერქვეშ უნდა ეცხოვრა, ორივენი ერთი სახელმწიფოს მოქალაქენი გამხდარიყვნენ, ჭირი და ლხინი გაეზიარებინათ, მაგრამ ისინი ქვეყნის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში როდი თამაშობდნენ ერთგვაროვან როლს. მათდამი ქართველთა დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყივჩაღთა დამკვიდრება საქართველოში უკონფლიქტოდ არ მოხდებოდა. კონფლიქტის მიზეზი ართუ იშვიათად ქალიც ყოფილა. უცხო ელემენტის თავხედური და კადნიერი საქციელი, სხვის სახლში გაბატონების სურვილი და მოძლადეობა აღიზიანებდა ქართველ კაცს. ხალხური პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო შედევრი „შემომეყარა ყივჩაღი“ ერთგვარად ასახავს იმ ისტორიულად რეალურ ვითარებას, ქართველის დიდბუნებოვნებას, სტუმართმოყვარეობას, ყივჩაღის თავხედობასა და ძალადმაცხოვნებას.

„შემომეყარა ყივჩაღი“ სწორედ იმ დამაბულობას, იმ ტკივილიან შეხლა-შემოხლას ასახავს, რაც ქართველთა და ყივჩაღთა თანაცხოვრებას მოჰყვა.

გიორგი ლეონიძის „ცივჩაღის პაემანი“ ხალხურ ლექსს ეყრდნობა და ეპასუხება კიდევ. პოეტს შეუწარმუნებია „შემომეყარა ცივჩაღის“ დრო და ადგილი. ორივე ლექსში მოქმედება მუხრანის საზღვართან ხდება, თავთუხების, ხობობის, ბადაგის ჟამს, მიწურვილ ზაფხულსა და ადრიან შემოდგომაზე.

მაია ჯალიაშვილის წერილში „ცივჩაღის პაემანი... კარმენტან“ აღნიშნულია, რომ გიორგი ლეონიძე პოეზიის მასკარადზე ხშირად ცივჩაღის ნიღბით ცხადდებოდა. საუკუნეთა სიღრმიდან გამოხმობილი გადამთიელის სახე უცნაური ძალით იზიდავდა, ხიბლავდა, ატყვევებდა, აჯადოვებდა. ეს ნიღაბი უხდებოდა კიდევაც საუკეთესოდ გამოხატავდა მის არსებაში ჩაბუდებულ სტიქიურ, ველურ, დაუმორჩილებელ ძალას.

პოეტი ახალგაზრდობიდან მოყოლებილი სიბერემდე ვერ შეეღია ამ სახეს და ასაკოვანიც ისევე ერგებოდა ამ ნიღაბს, როგორც ყმაწვილობისას, რადგან ცივჩაღი მისი სულის ორეული იყო სულისა, რომლისთვისაც უცხოა დროის ცვალებადობა.(1,73)

გიორგი ლეონიძეს „ცივჩაღის პაემანი“ სიჭაბუკეში დაუწერია. უკვე ჭარმაგმა პოეტმა, ახალგაზრდობაში შექმნილი ლექსების ბრწყინვალე რკალს თავად „ცივჩაღის ლირიკა“ უწოდა.

ცივჩაღური თემა ფართოა ლეონიძესთან, თემა არის, მაგრამ ჩვენ საუკეთესოს განვიხილავთ.

ზოგადად კი ცივჩაღის თემა აქტუალური ყოფილა ქართულ ლიტერატურაში, ამას ისიც მოწმობს, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი ვარიანტი.

ამ თემას ეხმაურება გოდერძი ჩოხელის „ლექსი მე და ცივჩაღი“. იგი არის აბსოლუტურად თვითმყოფადი მწერალი, მას შეუძლია წეროს იმ თემაზე, რაზეც დიდ ვაჟას უწერია და დაწეროს უკეთესადაც კი.

მას შეუძლია იმ ქვეყანაში, სადაც ასე ძალიან უყვართ და თითქმის ზეპირად იციან ხალხური ლექსი „შემომეყარა ცივჩაღი“ და ასე, შესანიშნავად დაწერილი „ცივჩაღის პაემანი“, დაწეროს ამავე თემაზე და თითქმის ორივე ლექზე უკეთესად.

გოდერძი ჩოხელის ლექსიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, ქართველ ვაჟკაცს ცივჩაღთან შებრძოლება ეამყება, მისთვის სასახელო იქნება თუ დაამარცხებს მას. ჩანს, რომ ცივჩაღთან შებმა არცთუ ისე ადვილი ყოფილა, თითქოს ვერ ბედავს მარტო შებმას და მშველელად ღმერთი და პაპები დაუსახავს: „იმედი მრჩება ღმერთისა, თან ჩემი პაპებისა.“

თითქოს ცივჩაღის უპირატესობა უკვე აშკარაა, დაუმთავრებელი ბრძოლის შედეგი და ბედი უკვე გადაწყვეტილია. შეეშინდა კიდევ გოდერძი ჩოხელის პერსონაჟს – ვაითუ მამული მას დარჩესო და თავად საძრახისი გახდეს, მაგრამ აშკარაა, რომ მოსწონს ცივჩაღი, მოსწონს თავისი ვაჟკაცური ბუნების გამო. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აქ ბრძოლა მიმდინარეობს არა ქალის, არამედ მამულის გამო. აქ ვაჟკაცობის აპოლოგიაა ნაჩვენები, იქმნება შთაბეჭდილება და ასეცაა, რომ ცოლი უფრო ადვილი დასათმობია, ვიდრე მამული.(3,57)

სიტყვა ცივჩაღის სემანტიკა ჟინშეპრობილი, ვნებით გახელებული კაცის გაგებასაც იძენს, რაც უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული გრიგოლ რობაქიძის პოეზიასთან. გავიხსენოთ ერთი ადგილი მისი შესანიშნავი ქმნილებიდან:

„ცივჩაღეთს იყო
ქალი მოვიტაცე
ცხენზე შემოვიგდე დედალი ავაზა
ტანი დაყურსული გავმხვართე უნაგირზე
თეთრი თეძოების ვიხილე გახელება
ხტოდნენ ატეხილი ავხორცი მუხლები
და თვითონ ნადირი გავხდი მე ნადირი...“

მოხმობილი ლექსის მომდევნო პწკარედიც დაუოკებელი ჟინის და დაუცხრომელი ვნების თავაშვებული ღაღადია.(5)

სულ სხვაა ქალის თვალთ დაწახული ცივჩაღი. ვაჟკაცს მოსწონს იგი, მისი შემართება და რა გასაკვირია ქალს რომ მოეწონოს. აქ მანანა ჩიტიშვილის ლექსს „ცივჩაღის გახსენებას“ ვგულისხმობთ. აშკარად მოსწონს და მოხიბლულია ავტორი ცივჩაღით, თან თუ დავაკვირდებით როგორ ამთავრებას იგი ამ გახსენებას:

„საუკუნენი მიჰქროდნენ გვერდით
და ჩვენს სიმღერას სხვებიც ამბობდნენ.“

ეს ნიშნავს იმას, რომ ქალმა აბსოლუტურად უპასუხა, გაიზიარა ცივჩაღის სურვილი და ვნება მის მიმართ, თითქოს ბედნიერია, კმაყოფილია მისი ბედის თანაზიარი რომ გამხდარა. იმდენადაა მოხიბლული ცივჩაღით, რომ ქმარს თითქმის წყენით იხსენიებს და ერთგვარი საყვედურია სტრიქონებში: „სხვის გაზრდილობით ვერ დამთმო ქმარმა.“

სტრიქონები: „თვითონაც დაილეწება, დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად“ პოეტის შეხედულება იმ ისტორიული განაჩენის შესახებ, რაც დრომ გამოუტანა ყივჩაღებს.

ლიტერატურა:

1. ვასაძე თ, მოსაშვილი ნ, ჩუბინიძე ნ, ქართული 12, მოსწავლის წიგნი, თბ., 2008;
2. ლეონიძე გ, თბ., 2001;
3. ლეონიძე გ, ერთტომეული, თბ.1954;
4. ჯალიაშვილი მ, სიცოცხლის საიდუმლო, თბ., 2006.

რეზიუმე

გიორგი ლეონიძის პოეტური ხილვებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია მისეული ინტიმური ლირიკის შედევი „ყივჩაღის პაემანი.“

ზოგადად კი ყივჩაღის თემა აქტუალური ყოფილა ქართულ ლიტერატურაში, ამას ისიც მოწმობს, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი ვარიაცია.

როგორც საქართველოს ისტორიიდან ვიცით, დავით აღმაშენებელმა ჩამოასახლა ყივჩაღები საქართველოში, რაც უთუოდ დიდი რისკი იყო და ქართველთა გამძლეობას საჭიროებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყივჩაღთა დამკვიდრება საქართველოში უკონფლიქტოდ არ მოხდებოდა. კონფლიქტის მიზეზი ართუ იშვიათად ქალიც ყოფილა.

მათ „შემომტვერეს“ ქართლ-კახეთის მიწა, მაგრამ დაილეწნენ ქართველთა ხმლებსა და სულებზე, გაქრნენ, გაქართველდნენ. ქართველი კაცი კი „მუზარადიანი,“ ანუ უფლისაგან დალოცვილი და ამით ძლიერი აღმოჩნდა „თავი შუაზე გადაუჩეხა“ ყივჩაღს...

KIVCHAGHI THEME VARIATIONS IN GEORGIAN LITERATURE

Khatia Tetunashvili, Tsitsino Ghughunadze, The Third Year Students of Bachelor's Degree, Faculty of Humanities

Instructor: **Marina Tsertsvadze**, Full Professor

RESUME

For George Leonidze's poetic vision the most characteristic is the masterpiece of his intimate lyrics "Kivchaghi's Date".

Generally, the theme of Kivchaghi has been actual in Georgian Literature; the existence of numerous variations connected to the above mentioned theme also confirms it.

As we know from the Georgian history, David the Builder settled Kivchaghis in Georgia which was surely a great risk and needed great endurance from Georgian people. As it was expected, the settlement of Kivchaghis wouldn't be without any conflict. Very often the reason of the conflict was women.

They came to Kartli and Kakheti but were excelled by Georgian swords and souls. Georgian men were stronger, so they defeated Kivchaghis.

ოთარ ჩხეიძე – ერის მებისტორიე და მისი რომანი „მორჩილი“

თეონა ქურთაული

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის

სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე**, სრული პროფესორი

რომანი „მორჩილი“ დღევანდლობაზეა, მაგრამ მარადიულზეც, რადგან იგი უხსოვარი დროიდან მომავალი ხალხის ისტორიის კიდევ ერთი, მთლად ცინცხალი ფურცელია. ხალხისა, რომლის ცხოვრების თანამედროვე მოვლენები ლოგიკური გაგრძელება და შედეგია მისივე წარსულისა.

ავტორი ამ რომანშიც ერთგული რჩება ყველა იმ პრინციპისა, რომელიც მან თავისი შემოქმედების დასაწყისშივე აირჩია და რომელთა ერთგულებამ განსაღვრა კიდევ მისი ადგილი დიდ ლიტერატურაში.

„აქ და ახლა“ არის ის აუცილებლობა, რასაც დაუმორჩილებელი მწერალი ყოველთვის ემორჩილება და რამაც იგი ერის მეისტორიედ აქცია.

რომანში ოთარ ჩხეიძის მთელი გულისყური კვლავ თავისი ხალხისკენაა მიბყრობილი. საზოგადოებისკენ, რომლის გამოფხიზლება-გამძლიერება ესახება მას ქვეყნის ფეხზე წამოდგომის წინა პირობად და არა ხელისუფალთა ცვლა.

„მორჩილი“ ქართველების ჩვენებაა, „ვარდების რევოლუციის ფონზე“. მწერლის მიერ ისე ოსტატურად დახატულზე, რომ ყველა და ყველაფერი ცხადად ჩანს. მტერიც, მოყვარეც, ძველებიც თავს ახლებურად რომ წარმოგვიდგენდნენ და ახლები, ძველებისაგან არაფრით რომ განსხვავდებიან.

„ის ტკივილები ისევ ისეა გაშიშვლებული, ოთარ ჩხეიძე რასაც შეჰყურებდა.

ის დამოკლეს მახვილი ისევ ისე ჰკიდია ჩვენს თავზე. ის სახელმწიფოც ისევ ისეა დასადგენი, ისევ ისე აქვს მოსაპოვებელი თავისი ადგილი მსოფლიო საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში, როგორც მწერლის სიცოცხლის უკანასკნელ ხანაში, სახელმწიფოს ამოგების პრობლემა რომ აგვიხდებოდა, მაგრამ ის ოცნება ჯერაც ასახდენია-რუსეთის ერთხელ და სამუდამოდ განდევნა ჩვენი მიწა-წყლიდან.

ოთარ ჩხეიძის მხატვრული სამყარო-მთელი თავისი მრავალფეროვნებით-გზამკვლევა XX საუკუნის ტრაგიზმის შესაცნობად და უკეთესი გზების მოსასინჯად და მისაგნებადაც სახელმწიფოებრივი მოღონიერებისაკენ სწრაფვისას.

...ძნელი სათქმელია, რაოდენ სრულყოფილადაა გამოკვეთილი ეს გზამკვლევა ამ ჩანაწერებში, მიუხედავად მათი სიუხვისა.

ჩემი რჩევაა, რაც ძალიან, ძალიან გტკივთ და გაწუხებთ, იმაზე ნურაფერს დაწერთ. რაც არ გტკივთ და არ გაწუხებთ, იმაზე ხომ არ უნდა მოცდეთ და არა.

საერთოდ კი... წერა რა გამოსაგონებელი იყო, ეს გამაგებინა და სხვა აღარც არაფერი მინდა”. [2;7]

„ლიტერატურა ხელოვნებაა, ამბავიც არის და ხელოვნებაც“. [8;246] მაგრამ რამდენჯერ და რამდენი სიკვდილ-სიცოცხლის განცდა უნდა და კიდევ მხატვრის უტყუარი თავი, სიტყვებს ფერებად რომ აღიქვამს მაშინაც კი, როცა ამ სიტყვებმა მწარე რეალობა, ნაცრისფერი ყოფა უნდა გადმოსცენ, რომ ამბავი ხელოვნებად აქციეს. მით უფრო, როცა მწერალს არჩევანი დიდიხნის გაკეთებული აქვს. იგი „გეოპოლიტიკულ ჯვარზე გაკრული საქართველოს“ [8;369] ბედისწერას წერს: „რახან შეტოპე უნდა უწიო, მეორე ნაპირსა, მა რად შეტოპე?! ტალღა თუ აგიტაცებს და წაგიღებს. ჯანდაბას, შენისთანები წაუღია! ან რა ტალღაა აქ ასეთი ამბავია ქურდბაცაცების, კაცის მკვლელების. მე შენ გეტყვი რომ ვითომ თავგადასავლებია ტარიელებისა, ავთანდილებისა, ნესტანებისა, ასმათებისა, ელგუჯებიც არა, მათიებიც არა და არა-ბევრად დაბლაა დაქანებული. დრონი რბინო რბიან და რბოდნენ“ [8;65]

ამ დაქანებასა და დროის სრბოლაში, დროისა, რომლებსაც ქართველისათვის თვალებდითი შავი ყორანი არ მოსცილებია, რომლის საზოგადოებას არა თუ ტარიელ-ავთანდილები, ელგუჯა-მათიებიც აღარა ჰყავთ, ხალხს უჭირს. ძალიან უჭირს, ხალხის გჭირვება კი მწერლის აზრით, არის პრობლემათა სათავე, რადგან „გაჭირვებული ადამიანი ხალხიც აღარ არის. საითაც გინდა იქით წაიყვან, შენ ოღონდ დაჰპირდი, რომ მდიდარს წაართმევ. შენ ოღონდ აღუთქვი, რომ საკუთრად მას არგუნებ“. [8;425]

რომანში ისევ ის ხალხია ნაჩვენები, ვისთვისაც არაფერი შეცვლილა იგივე საზღვრებმორღვეული ქვეყანა, უმუშევრობა, უფულობა, უშუქობა, უგზოობა და უიდეობა. დაპირებები და დაპირებები. მდგომარეობა იმას უფრო დაუმძიმებია, რომ ვინც პოლიტიკაში ჩართულა, თავისი ცხოვრება გაუმჯობესებია და იოლი ცხოვრების მსურველნიც პოლიტიკას მისტანებია. აქ კი პოლიტიკოსებს და ხალხს შორის კიდევ უფრო დიდი უფსკრული გაუჩენია „მთლად საქართველოს - ვერ იტყვი რომ გაპოლიტიკოსდა-ნახევარს იტყვით მაინც უთუოდ. სხვა დანარჩენი როკ მომღერლობენ, ცეკვავენ, ხატავენ უამრავ უსაქმურობასა. იდუმალებითა უამრავითა. პოლიტიკოსი რად უნდა ამ ჯურის ხალხსა არც ამდენი და სულაც არ უნდა. ცოტადა შრომობს შრომა რო ჰქვია. შრომაი ჭეშმარიტი - არც იმათ უნდათ პოლიტიკოსი. შრომას არ უნდა. არა. პოლიტიკა ხო ის ხელობაა, შრომა რო მოიტაცოს. ნაშრომი რომ მოიტაცოს. მერე და რამდენმა? „განათუ რამდენამა მოიტაცოს მცირეი? „როგოლა გასწვდება მცირეი უამრავს? „ამასაც თავისი პოლიტიკა უნდა,“ [8;31] უცვლელია ხელისუფლების დამოკიდებულება ხალხისადმი, მისთვის „იღწვიან“, მისთვის „შრომობენ“ ქვეყნის ქონების ყიდვა - გაყიდვასაც ხალხის სახელით წარმართავენ, კარგად მცოდნენი იმისა, „ვერც ვერაფერს მიაღწევ, ხალხი თუ ვერ აქციე ბრბოდა“. [8;175]

მწერალი მხატვრულობით და სიზუსტით აღწერს ყველაფერს, რაც ხდება. დაპირისპირებას ხელისუფლებას და მის მოწინააღმდეგეებს შორის, ვიღაცისთვის პოლიტიკა რომაა, გონიერი ქართველისათვის კი ბრძოლა ხელისუფლებაში მოსვლისათვის. გვაგრძნობინებს, როგორ აკვირდება უჩინარი თვალი გაღიზიანებულ, მოთმინება დალეულ ხალხს და როგორ ამზადებს რევოლუციას.

„აბა ამ ორომტრიალში ვიღას შეიძლება ახსოვდეს ტაშირი, ჰერეთი, ეგრისი, ქართლი მიმოხლეჩილი“, [9;116] მაგრამ „მორჩილშიც“ ისევე როგორც ოთარ ჩხეიძის სხვა რომანებში, ხალხის

გარდა არის კიდევ მეორე მთავარი გმირი. მარტოკაცი, რომელიც ქართველი ხალხის ყველა საუკეთესო თვისების მატარებელია და ამის გამო, ყველა დროში უმრავლესობას დაპორისპირებული, ერთდროულად მებრძოლიცაა და მსხვერპლიც. დიდი გვარების შთამომავალი ეს მარტოკაცები ყველგან და ყოველთვის არიან, „მარად ქართველები. მაინც ქართველები. რა ხელისუფლებაც არ უნდა გაბატონებულიყო“.[8:74] „მორჩილში“ ჯამბაკურ ბარათაშვილია,ვისაც გვარის სიმძიმე და პასუხისმგებლობა უტვირთია. თავისი უბედო ქვეყნის ბედნიერების მსურველს, ყველაფრის მიუხედავად, რაც ძალუმს და ევალეზა, როგორც გვარიშვილსა და მამულიშვილს, იმას აკეთებს. თავისი ნებით საქვეყნო უღელს რომ შეებმია, ეწევა და მიდის.

ოთარ ჩხეიძის სხვა რომანების მსგავსად „მორჩილის“ ეპიგრაფშიც იკითხება ნაწარმოების მთავარი იდეა: „და ცნობა გზავდა მისავალა, რამეთუ მას ჟამსა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი და მირაივიდეს... ფრიად უხაროდა პოვნაი დიდდებულისა მის ადგილისაი, რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინის საცემელი სულიერი და ხორციელი“ წერს გიორგი მერჩულე.

„გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ სულიერად და ხორციელად ნუგეშის საცემელი დიდებული ადგილი დაქცეული იშხანია. უფლის ნებით გრიგოლმა და საბამ რომ უნდა აღადგინ აღორძინონ მომავალი ერთიანი საქართველოსთვის. „მორჩილში“ კი-საბარათიანო. მოწინავე სადროშო, სადაც „მიწის პატრონი აღარ იყო პატრონი მიწისა“ [8:140]

ყოველივე ამას თავისი ცნობილი მიზეზები აქვს,მაგრამ მწერალი დაჟინებით კვლავ გვახსენებს იმას,რამაც მიწას პატრონი დაუკარგა. ერს - ხელისუფალი, ქართველ ხალხს - სულიერი წყობა. ქვეყნის პოლიტიკურ და ზნეობრივი დაცემის სათავედ კი იმას თვლის, რაც წლების განმავლობაში ბრძნულ პოლიტიკად იწოდებოდა. „დარუბანდის კარი შეაბეს და გულდინჯად იყვნენ. ვიდრე პეტრემ არ მოარყია. გვარი არ იცოდა და ჯილაგი აქეთ ეწეოდა... ქართველი 32-მდე კიდევ ქართველობდა. 32-მა მოულო ბოლო. ძალი წაიღო შემართებისა. დასცა. დათრგუნა. დააჩიავა. ხსნად მორჩილება დაუწესა. ხსნას მოეჭიდა. შურვილმა ხსნისა დააკნინა. უარესად დაშალა. დააღავა. ყველა მოუფრთხილდა ტყავსა თავისასა. გამცემად აქცია ყველა ცალ-ცალკე.ხოლო ერთობლივად-დამაქცევრად საკუთარი ქვეყნისა. კავკასიონიც თან მიაყოლა. მთლად მთაგრეხილი მოშალა. მოფუტკნა. ჩინმედლებისათვის გაიმეტა ხალხი გაჭირვებული. მთებს შეყუჟული. კლდეებს მიკრული. კიდევ რიხი რამ თუ შერჩენოდა შამილს შეაღია. გასწირა ყველაფერი. მონობამ დასცა. დაუშრიტა სულის სიმდიდრე და მკერდგაღელილი დაეფინა დალურსმულ ჩექმებს. იქამდე დაეცა-უმანკოებაც რო დაუგო ქვეშა . დაუგო და გაასრესინა მის იმპერატორობით უდიდებულესობასა.“[9:110]

ჯამბაკური თავად არის შთამომავალი ხსნად მორჩილებისა ამღიარებელი ქართველების. რუსეთის არმიის გენერლებისა, „სადაც რუსი წესრიგს ამყარებდა იქ რომ იყვნენ. ელუპებოდათ მამული საკუთარი და სხვას ასწავლიდნენ მორჩილებას რუსთა“. მან იცის, თავისი ქვეყნის უბედურების ყველა მიზეზი, რომელთაგან ერთ-ერთ უმთავრესად ქართველისაგან მიწის გაუცხოება მიუჩნევია.

ოთარ ჩხეიძისათვის არა მარტო მისაღები, არამედ აუცილებელი სახელმწიფო სამეფო მონარქისტულია. ხელისუფლება-პარლამენტურ სამეფო. ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება-განმტკიცება, ისტორიისა და ენის გაფრთხილება-გაძლიერება უნდა იყოს ის იარაღიც და ფარიც, რითაც ქვეყანამ თავიც უნდა დაიცვას და საჭიროების დროს შეუტოს კიდევ, თუ უნდა იმ შორიდან მობერილი ქარისგან დაიცვას თავი, „სხვა გვარად რომ უბერავს, გვარებს რომ დაშლის, ოჯახებს რომ დაანგრევს, მით უფრო ჩვენც მოგვრღვევია კლდენი მოსაფრენი“.[9:135]

ოთარ ჩხეიძე, როგორც ბაგრატიონთა საქართველოს მოქალაქედ თავის ჩამთვლელი, ისტორიის გაგრძელებად და ქვეყნის უბედობისგან თავის დაღწევის გზად ოჯახებით გაცოცხლებული წარსულის აწმყოს მიიჩნევს, სადაც ყველა იმას დასჯერდება, რა დანიშნულების შემსრულებლადაც უზენაესს იგი შეუქმნია. ჯამბაკურისათვის (ესე იგი მწერლისათვის) ამიტომამა მიუღებელი წარსულის, ისტორიის დავიწყების ფასად ეკონომიკური კეთილდღეობის დამპირებელი ყველა თეორია. „დიდი ერების დიდი ნააზრევი უბედურებაა პატარა ერისათვის. პატარა ნააზრევი რაღა იქნება? რო თავს გვადგანან დიდთა რწმუნებულნი. გვეფერებიან. გვაქებენ. რომ აღარ გვახსოვს მართლა დიდი დანაბარები. ბრძნული. მხსნელი. გადამრჩენელი: მოყვარე მტერი ყოვლის მტრისაგან უფრო მტერიაო. რომ აღარ გვახსოვს?!“ [9:150]

ჯამბაკური და მისთანები, რომელთათვისაც მოქმედება შეფასების საზომად მუდამ რჩება რაინდების დაუწერელ კანონთა კოდექსი, ქართველი ხალხის სულისა და გულის სიღრმეს წარმოადგენენ. დაფარულს, ზერელე თვალისათვის შეუმჩნეველს. დაუფარავი და ყველასათვის ხილული კი ისაა, რაც ბედის უკუღმართობის გამო საკოსიკოების დროდ ქცეულა. რაც გულს უკლავს ჭეშმარიტ ჭირისუფალს და ახარებს მტერს. „იქ ყველაფერი შეიძლება. პარლამენტშია. აღარც ზრდილობაო, აღარც ნამუსიო. თავშეკავება ხო აღარა და აღარა. მუშტი. გინება. გაწევ-გამოწევა. არც თვითონ არ უკვირდათ. არც მაცქერალსა. ვისაც ეცალა. ვისაც გართობა მოუნდებოდა.“ [9:150]

მწერლისათვის ცხადია, ყველა ქართველისათვის სანატრელად, მოსაგონარ დროსაც არ იქნებოდა იდეალური. მისთვის მხოლოდ ისაა მისაღები, რაც ბუნებრივად მოსახდენია ერის ცხოვრებაში, თავს მოუხვეველი, რისი მიღება-გადამუშავება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც თავისი თავი ეკუთვნის და ვისი ხელისუფლების ძალისხმევა ხალხის ხალხობის შენარჩუნებისკენაა მიმართული.

მწერლისათვის (ესე იგი ჯამბაკურისათვის) რევოლუციები მარტო იმისთვის კი არ არის მიუღებელი, რომ „რევოლუციები მონაგონია ტრამალების მცხოვრებლებისა. არც აღმართები არა აქვთ იმათა. არც დაღმართები. მიდიან. მიდიან. ვერც მიულწევიათ ვერაფრისთვისა. წინ ჰორიზონტია და მირაჟი. მეტი არაფერი. უკანაც არარაი სხვა არ დარჩენიათ. ჰორიზონტით და მირაჟით. მიულწევლობა და ლანდებია ტრამალებისა. რას მოეჭიდონ აღარ იციან. საით წავიდნენ არ გაეგებათ. გაბრუებულან. მოთენთილან. ცვივიან რევოლუციებში და მოფოფხავენ რევოლუციებიდანა. ფრიალოებიც ეს არის იმათი. აღმართებიცა. თვლემაც ესაა იმათი. გამოფხიზლებაცა. შენ რო ვერ ჩათვლემ და არც ჩავთვლემია არასოდეს შენი ბუნებრივი გარემოს გამო. რაღად შეგიტხზეს ეგ ტვირთი ზედმეტი. ეს დამლუპველი. დამაქცევარი ესაა?..ვის ასდევ?.. რად ასდევ?.. რა ეშმაკად გინდა?.. უფრო იმიტომ, „ხალხი რო აღარც არის ხალხი. როცა შეიშლება. აირევა გადაირევა. დევოლუციას რო დაირქმევს ბრბოა. აღარც ალალია. აღარც ჭკუა მოეკითხება.“ [9; 220]

ერთი თითქმის ასი წლის წინანდელი რევოლუციის დატოვებული მემკვიდრეობიდან, ხალხი ჯერაც არ განთავისუფლებულა, ამიტომ უწოდებს ჯამბაკური მეოცე საუკუნის ისტორიას „ბრბოდ გადაქცეული ხალხის ისტორიას და სკეპტიკურად უცქერის ქვეყანაში მომხდარ ვარდების რევოლუციას.“ მით უფრო, მისთვის ცხადია, ვინ და რისთვის მართავს ცხოვრების გაუსაძლისი პირობებით თავმოებურებულ, ხელისუფლებისადმი სიძულვილით განწყობილ ადამიანებს.

ყველაფერი, რასაც უკეთესი ცხოვრების მოიმედე ქართველისათვის „ვარდების რევოლუცია“ ჰქვია, მომწყობ-დამფინანსებლისათვის „წარმატებული ექსპერიმენტი“.

„მორჩილში“ მხატვრულად აღწერილი ასე გამოიყურება: „მმართველიც აგრეთვე იმართებოდა. როგორაც რო თეატრში გაბრიაძისა. მარიონეტების თეატრში... ღრუბლების შეკვრა ცაი თბილისისა. ჟინჯლავდა გაუთავებლად. და ცეკვავდნენ მარიონეტები. დაულალავდა. დაუქანცველად. ჭკვიანი ხალხი იჯდა დარბაზში. გაბრიაძის დარბაზში. გულდამძარებული იჯდა. და შეჰყურებდა თუ როგორ არბევდნენ მარიონეტები. კიდევ ერთხელა და მიუთვალჯერა. უბედურ სამშობლოსა. საკუთარსა. რაღა თქმა უნდა იმათ არ იცოდნენ თუ რასაც ჩადიოდნენ.. ვერ შეისმენდნენ ვერასდროს“. [9; 527]

რევოლუციებს ვერ იღებს ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი ჯამბაკურის სახით. რევოლუციები ვერც ერთ ეპოქაში ვერ იღებენ ჯამბაკურისნაირებს.

„ფრთხილად საქართველო, ფრთხილად საცოდავო, შე საცოდაო“. მერამდენედ ხმამაღლა თუ უხმოდ ივედრება მწერალი. პირველ რიგში მთქმელი ქართველი საზოგადოების „საერთო ჭირისა“.

შემდგარა მიწებშემოფლეთილი, ომებში დამარცხებული, პარტიებად დაყოფილი, „ვარდების რევოლუციის“ მომსწრე „მორჩილი“ საქართველო, უკვე იმის შიშშეპარული: „იმან იკითხოს, ვისაც იმედი გააჩნია სიკეთისაო“.

ახალი ათასწლეულის დასაწყისთან, მისთვის უჩვეულო მტრის წინაშე ქართული ზღაპრის ბედნიერების მაძიებელი გმირივით, გზაჯვარედინის წარწერიან ლოდთან, ერთ მხრივ, სიცოცხლის გზას რომ აჩვენებს, მეორეთი კი - სიკვდილისას. შემდგარა და ჩაფიქრებულა. იმ ხმას მიენდოს, რომ ეუბნება: „რისი მაქნისია. აგიღია ამხელა ტვირთი. მიათრევ და ვეღარც მიათრევ. ამისგანაა რო ჩამორჩენილხარ. ვერც რას ეწევი. ვერც მიეწევი. აგერა შტატები. როგორ მიჰქრის და რა მსუბუქადა!. უკან არ ეწევა არც არაფერი. არც რა დარჩენია. არც ისტორია უძველესი. არც კულტურა. არც დამწერლობა. ენაც ჰო არა! შენ რა-ენასაც შეაკლავ თავსა?! მიენდოს, გადააგდოს ტვირთი და ამსუბუქებული დაეწიოს შორს მიმავლებს, ვისთანაც პური, ფქვილი, შუქი, კეთილდღეობაა, თუ კარგად ჩაკვირდეს მოყვარედ მოსულს და ყურად იღოს მწერლის გაფრთხილება: „განა შენთვის რა შეიცვალა?!. ამათაც არ ვუღივართ არაფრად. გზად თუ ხიდად თუ გამოვადგებით. მოძველებულ გზადა და ხიდადა. შეგვაკეთებენ სახელდახელოდა. თავიანთი მასალითა. თავიანთი ხელობითა. გადაგვივლიან და გადმოგვივლიან. გაგვასწორებენ. არაფრად გვაქცევენ. არარადა. დიდი-დიდი ერთი რამ ხელობა ჩაგვაბარონ: გზები შევუკეთოთ, რო არ დაბრვოდნენ. რო იქროლონ. იქროლონ და იქროლონ.“

ერთხელ კიდევ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. ისევ უნდა გაგრძელდეს ბრძოლა კეთილისა და ბოროტისა, იმის იმედით, რომ ამჯერად მაინც სიკეთე იხვიემებს, ეს კი, მწერლის აზრით, მაშინ მოხდება, როცა ხალხობა დაბრუნებული ქართველობა თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობის აუცილებლობას ჰაერივით დაიჭირვებს. „აუცილებლობა მიიყვანს ადამიანს მოთხოვნებამდისა. მოთხოვნა შეგნებაა. აუცილებლობაც შეგნება. შეგნება საწყისია გონიერებისა. უმაღლესი გონება ღმერთია ცხადია. და სწორედაც შეგნებაა გზაი იგი უმაღლესი გონებისაკენ“. [13; 55]

„ღმერთს დაბრუნებული, თავისუფალი ნება აღდგენილი ქართველები კი უკეთესი მომავლისათვის რევოლუციებს აღარ დაიჭირებენ“. [13;125]

ლიტერატურა:

1. დვალისძე ლ., „ფიქრები ოთარ ჩხეიძის რომანზე“, „ჩვენი მწერლობა“, №3, 2002;
2. კუხიანიძე ლ., - „საქართველო არის ესე, ანუ მომავალი ჩვენია?!“, „ჩვენი მწერლობა“, №19 2003;
3. კუხიანიძე ლ., - მწერალი და საზოგადოება, ქუთაისი, 2005;
4. კუხიანიძე ლ., „2001 წელი“ ანუ ჩვენ უნდა ვსდიოთ ისევ იმ ვარსკვლავს, „ჩვენი მწერლობა“, №13, 2003;
5. კუხიანიძე ლ., - „საუკუნის მემატანე „2001 წელი“, „ჩვენი მწერლობა“, № 15, 2003;
6. სიგუა ს., „ტრაგიკული ათწლეული“, „ჩვენი მწერლობა“ №10, 2001;
7. ჩხეიძე ო., „მორჩილი“, ქუთაისი, 2004;
8. ჩხეიძე ო., „რომანი გაზეთში“, „ჩვენი მწერლობა“, № 35, 2002;
9. ჩხეიძე ო., „რა გადაარჩენს საქართველოს“, „ჩვენი მწერლობა“, № 19, 2001;
10. ჩხეიძე ო., „ლაზერმოუ“, ქუთაისი, 2005.

რეზიუმე

რომანი „მორჩილი“ დღევანდლობაზეა, მაგრამ მარადიულზეც, რადგან იგი უხსოვარი დროიდან მომავალი ხალხის ისტორიის კიდევ ერთი, მთლად ცინცხალი ფურცელია. ხალხისა, რომლის ცხოვრების თანამედროვე მოვლენები ლიგიკური გაგრძელება და შედეგია მისივე წარსულისა.

„მორჩილი“ ქართველების ჩვენებაა, „ვარდების რევოლუციის ფონზე“. მწერლის მიერ ისე ოსტატურად დახატულზე, რომ ყველა და ყველაფერი ცხადად ჩანს, მტერიც, მოყვარეც, ძველებიც თავს ახლებურად რომ წარმოგვიდგენდნენ და ახლები, ძველებისაგან არაფრით რომ განსხვავდებიან.

„ის ტკივილები ისევ ისეა გაშიშვლებული, ოთარ ჩხეიძე რასაც შეჰყურებდა.

ის დამოკლეს მახვილი ისევ ისე ჰკიდია ჩვენს თავზე. ის სახელმწიფოც ისევ ისეა დასადგენი, ისევ ისე აქვს მოსაპოვებელი თავისი ადგილი მსოფლიო საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში, როგორც მწერლის სიცოცხლის უკანასკნელ ხანაში, სახელმწიფოს ამოგების პრობლემა რომ აგვიხდებოდა, მაგრამ ის ოცნება ჯერაც ასახდენია - რუსეთის ერთხელ და სამუდამოდ განდევნა ჩვენი მიწა-წყლიდან.

ოთარ ჩხეიძის მხატვრული სამყარო-მთელი თავისი მრავალფეროვნებით-გზამკვლევა XX საუკუნის ტრაგიზმის შესაცნობად და უკეთესი გზების მოსასინჯად და მისაგნებადაც სახელმწიფოებრივი მოღონიერებისაკენ სწრაფვისას.

OTAR CHKHEIDZE-PEOPLE'S HISTORIAN AND HIS ROMAN „THE OBEDIENT”

Teona Kurtauli, The First Year Student of Master's Degree, Faculty of Humanities

Instructor: **Marina Tsertsvadze**, Full Professor

RESUME

The roman „The obedient” isn't only about today's life, but it is also about an eternal's one. It's a new sheet of future people's historg living in an ancient period. The people, whose live in main modern events are continued and are the results of their past.

According the background of the „Rose Revolution”, the roman „Obedient” shows Gorgian people.

The writer has written so skilfully, that everything seems very clearly. An enemy, a friend, things and people that were as before are performed as in a new manner, and dissimilarity from as usual.

„The pains are as bare as Otar chkhaidze was looking at. It is shortened. The sword is also hanging over our head. The govern met is also stated. It will have to sited it's place in a social-cultural space of the world. But we have got one wish which has noy been fullfilled yet. To banish Russia from our land forever.

The artistic universe of Otar chkhaidze-with all his varioues are the main way of the XX stcentury and it's main goal is to strengthen the state.

ხომლელის (რომანოზ ფანცხავას) ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევიდან

ეკატერინე ღვინიაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის

სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ლელა მელამე, სრული პროფესორი**

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, ცნობილ პუბლიცისტსა და კრიტიკოსს - ხომლელს (რომანოზ ფანცხავას), როგორც ლიტერატურულ მკვლევარს და საზოგადო მოღვაწეს. მართალია იგი თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში ცდილობდა გაეტარებინა მარქსისტული შეხედულებები საზოგადოებასა და ლიტერატურაზე, რადგან იმ ეპოქის წარმომადგენელი იყო, როდესაც მარქსიზმი მკვიდრდებოდა ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში, მაგრამ ამის მიუხედავად, მთელი მისი მოღვაწეობა ლიტერატურული კრიტიკის სფეროში საგრძნობლად ეხმაურებოდა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის შედგომ განვითარებას.

რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავა (ხომლელი), დაიბადა 1861 წლის 14 ოქტომბერს სოფელ ხომლში (ქუთაისის გუბერნია), განათლებული საეკლესიო მოღვაწისა და პედაგოგის ოჯახში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იგი აარსებს საიდუმლო წრეს, რედაქტორობს ამ წრის მიერ გამოშვებულ ხელნაწერ ჟურნალს და თვითგანვითარების მიზნით, გატაცებით კითხულობს აკრძალულ არალეგალურ წიგნებს. ამავე დროს, აქტიურ კავშირს ამყარებს მუშებთან, უკითხავს მათ აკრძალულ არალეგალურ წიგნებს და სხვ. ყოველივე ამისათვის, იგი 1883 წელს ე.წ. „მგლის ბილეთით“ გარიცხეს სემინარიიდან. 1885 წელს, იგი ახერხებს ოდესის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად შესვლას.

1887 წელს, ოდესაში მომხდარ რევოლუციურ არეულობაში მონაწილეობისათვის მას მიუსაჯეს პოლიციის ზედამხედველობაში ყოფნა, თხუთმეტი წლის ვადით. ამის შემდეგ, იგი ბრუნდება სამშობლოში და მთელი გატაცებით ებმება ამ პერიოდის საქართველოს ლიტერატურულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში: „ივერიაში“, „თეატრში“, „კვალში“, „აკაკის თვითურ კრებულში“ (ხომლელი მონაწილეობს აგრეთვე ქალაქ ზესტაფონში ე. ნინოშვილის ინიციატივით მოწვეულ საიდუმლო თათბირში) [1, 186].

ექვსი წელი (1893-1898) ხომლელი განაგებდა კვალის კრიტიკის განყოფილებას. ამ პერიოდში გამოაქვეყნა მან ბევრი საყურადღებო კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატია. ამასთან, გარკვეულ მიმართულებას აძლევდა „კვალის“ მთელ კრიტიკულ საქმიანობას, რომელიც ამ პერიოდში უაღრესად საინტერესოა.

პირველი საყურადღებო კრიტიკული სტატია ხომლელმა ი, დავითაშვილის შემოქმედებას მიუძღვნა. წერილის მიზანია სრულად წარმოადგინოს პოეტის შემოქმედების იდეურ-მხატვრული ღირებულება და ამის საფუძველზე, ნათელყოს იმდროინდელ კრიტიკაში გაბატონებული შეხედულების მცდარობა. სტატიის წაკითხვისთანავე იგრძნობა, რომ კრიტიკოსი მკაცრად იყო განწყობილი ი. დავითაშვილისადმი, რაც გამოწვეულია ამ უკანასკნელის ხალხოსნური მიმართულებით.

ი. დავითაშვილის პოეზიაზე მსჯელობის დაწყებამდე, ხომლელი ჩერდება ლირიკული ჟანრის მნიშვნელობაზე მწერლობაში და ქართული ლირიკის თავისებურებებზე. ლირიკა, მისი შეხედულებით იმითაა შესანიშნავი, რომ ერის ტანჯვა-წუხილის და ბედნიერების გამომხატველია; იგი სხვა ჟანრებთან შედარებით, უფრო უშუალოდ და პირდაპირ გადმოსცემს ადამიანთა განცდებს, ხალხის ჭირ-ვარამს. ამ მხრივ, კიდევ უფრო განსაკუთრებული როლი შეასრულა ლირიკამ ქართულ მწერლობაში.

ახალი ქართული მწერლობის ამ უპირატეს ჟანრს - ხომლელის მართებული შეფასებით, ჰყავს ორი უდიდესი წარმომადგენელი: ნ. ბარათაშვილი და აკ. წერეთელი, რომელთა შემოქმედებაში ახალი ქართული ლირიკის უმთავრესი ღირსება-თავისებურებანი ღებულობენ თავის მაღალ და სრულყოფილ გამოხატულებას.

ნ. ბარათაშვილისა და აკ. წერეთლის ლირიკული მემკვიდრეობა ხომლელისათვის, პირველ ყოვლისა, იმითაა გამორჩეული და უბადლო, რომ მათში ორგანულადაა შერწყმული „მაღალი ფორმა და მდიდარი შინაარსი“, ავტორთა პირადი გრძნობა-ფიქრები და მშობლიური ხალხის სულიერი განცდები. მათ სახელთანაა დაკავშირებული განვითარება ახალი ქართული ლირიკისა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება წინა პერიოდის ლირიკულ მემკვიდრეობისაგან.

ლირიკის მთავარი ღირსება, ხომლეღის შეხედულებით, პირველ ყოვლისა, იმაში ვლინდება, თუ რამდენად ჰარმონიულადაა მასში შერწყმული შინაარსი და ფორმა - „მხოლოდ ასეთი ჰარმონიით ჩამოსხმულ ლექსის ლირიზმს შეუძლია შეატოკოს და დაიმორჩილოს მკითხველის გული“ [2,75]. გამომდინარე აქედან, ხომლეღი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო პოეტის ბუნებრივ ნიჭს, რომლის გარეშე შეუძლებელია შემოქმედად გახდომა, არამედ მის „გონებრივ და ზნეობრივ უპირატესობასაც“ (რასაც თავის დროზე ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხომლეღმა, როგორც კრიტიკოსმა პირველი სერიოზული მარცხი ილ. ჭავჭავაძის შეფასებისას განიცადა. ჩვენი კრიტიკოსი ილიას სწამებს რუსული მწერლობის ბრმა მიმბადველობას და დამოუკიდებელი პოეტური კრედოს უქონლობას. მისი შეხედულებით, ილია, როგორც პოეტი, ბაძავს ნ. ბარათაშვილს და პლემჩევს, ხოლო როგორც პროზაიკოსი - გოგოლის დიდ გავლენას განიცდის. კერძოდ, „კაცია-ადამიანი?!“, მისი თქმით, გოგოლის „ძველი დროის მემამულეების“ მიბადვითაა შექმნილი და ამ ნაწარმოებმა თუ მაინც დაიმსახურა მოწონება, ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ილია, ბავშვობიდანვე იცნობდა იმ წრეს, რომელიც აღწერილია მოთხრობაში.

ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინა ხომლეღმა წერილების სერიაში - „ნ. ბარათაშვილი და მისი დრო“, რომელიც წარმოადგენს დიდი ქართველი რომანტიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დაწერილ სერიოზულ გამოკვლევას, იმდენად, რომ დღესაც თავისუფლად შეუძლია ისარგებლოს ნ. ბარათაშვილით დაინტერესებულმა მკვლევარმა.

აღნიშნულ წერილებში ხომლეღი, პირველ ყოვლისა, მიუთითებს იმაზე, რომ ნ. ბარათაშვილის გამოჩენა არ ყოფილა მოულოდნელი მოვლენა. ქართული პოეზიის განვითარების იმდროინდელ დონეს, თამამად შეეძლო წარმოეშვა ისეთი ნიჭის პოეტი, როგორც ბარათაშვილი იყო. არც ის არის საკვირველი, რომ ბარათაშვილმა, როგორც გენიოსმა პოეტმა, თავისი დიდი შესაძლებლობა ლირიკის სფეროში გამოავლინა. ქართული ლირიკის მდიდარი ტრადიციები, მას ამის სრულ შესაძლებლობას უქმნიდა.

მართალია კრიტიკულ ლიტერატურაში, ნ. ბარათაშვილის შესახებ უკვე არსებობდა გარკვეული შეხედულებები, მაგრამ შესწავლილი და დასაზუსტებელი ჯერ კიდევ იყო. ხომლეღმა, გაბედულად დააყენა ქართული ლიტერატურის ისტორიაში ნ. ბარათაშვილის ადგილისა და მნიშვნელობის შეფასების საკითხი და, რაც მთავარია, თავისი მოსაზრებები მწერლის მხატვრული მემკვიდრეობის კონკრეტულ ანალიზზე დაამყარა.

ხომლეღი, დასაწყისშივე მიუთითებს, რომ ბარათაშვილი იყო ახალი ეპოქის დამწყები ქართულ ლიტერატურაში და იგი იმით განსხვავდებოდა რომანტიზმის სხვა წარმომადგენლებისაგან, რომ მის შემოქმედებაში უფრო დიდი დოზით გამოჩნდა საჭირობოროტო საკითხები, ერის სულიერი განცდები და სხვა. მართალია, კრიტიკოსის თქმით, ნ. ბარათაშვილი რომანტიკოსი იყო და მას ვერ მოვთხოვთ სინამდვილის წმინდა რეალისტურ ასახვას, მაგრამ მან გენიოსი მოაზროვნის ძალით გვაგრძნობინა ეპოქის სულიერი ტკივილები და მშობლიური ხალხის ეროვნული ზრახვები.

ნ. ბარათაშვილი, ხომლეღის შეხედულებით, თანამედროვე პოეტებზე ამაღლდა იმ დროს საყოველთაოდ გაატონებული მოტივის - სიყვარულის გრძნობის სიდიადის გაგებაშიც, რაც მან, ბარათაშვილის თითოეული ლექსის განხილვით დაასაბუთა კიდევ. არანაკლები შთაბეჭდილება დაუტოვებია კრიტიკოსზე ბუნების მხატვრულ წარმოსახვას ბარათაშვილის შემოქმედებაში. იგი მოხიბლულია ლექსით „შემოღამება მთაწმინდაზე“, რომელშიც პოეტს მომაჯადოებელი ძალით აქვს წარმოდგენილი ბუნების მშვენიერების რომანტიკული განცდა.

ნ. ბარათაშვილის - პოეტისა და მოქალაქის ბუნება, აზრი და გრძნობა, ხომლეღის თქმით, არის ღრმა გულწრფელობა და პატიოსნება. მის პირად ცხოვრებაში, კერძო მიმოწერასა თუ პოეტურ შემოქმედებაში ვერ შეხვდებით ცრუსა და ყალბს, განზრახ ნათქვამსა და გამოგონილს, „ყოველივე ღრმა და დაუფარავი სიმართლის გამომხატველია, წმინდა მიმზიდველი ცხოვრების მაჩვენებელია“. ამიტომაც, ბარათაშვილის პოეზიას დიდი აღმზრდელობით მნიშვნელობაც აქვს.

კრიტიკოსის შეფასებით ნ. ბარათაშვილი არა მარტო დიდი და ორიგინალური ტალანტის მქონე შემოქმედი, არამედ ერთადერთი მე-19 საუკუნის I ნახევრის პოეტაგან, რომელმაც თავისი პოეზია ღრმად განმსჭვალა „თანამედროვე დიდი ეპოქის ცოცხალი მოტივებით“.

1898 წელს, ბ. ბელინსკის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, ხომლეღმა გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო სტატია „ორმოცდაათი წელი ბესარიონ გიორგის ძე ბელინსკის გარდაცვალების შემდეგ“, რომელსაც არ შეიძლება ფართო მკითხველის ყურადღება არ მიეპყრო.

ბელინსკის სახელი არც მანამდე იყო უცხო ქართველი მკითხველისათვის. დიდი რუსი კრიტიკოსის დამსახურებაზე და მის მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ გამოჩენილმა 60-იანელებმა მიუთითეს, ჩვეულებრივ ტრადიციად იყო მიღებული ბელინსკის ავტორიტეტის დამოწმება და შესაფერისი ადგილების მოშველიებაც მისი ნაწარმოებიდან, მაგრამ საგანგებო სტატია ამ ნიჭიერი კრიტიკოსის

შემოქმედებითი ევოლუციისა და კრიტიკული მემკვიდრეობის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, მანამდე არავის გამოუქვეყნებია.

ხომლელის სტატია დაწერილია როგორც ბელინსკის ნაწერების, ასევე მის შესახებ რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული შეხედულებების კარგი ცოდნით. შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკოსმა შეძლო ქართველი მკითხველისათვის სწორად და დამაჯერებლად წარედგინა ბელინსკის დამსახურება და მისი სახე, როგორც რუსულ, ასევე ქართულ მწერლობაში.

მიუხედავად ზოგიერთი გადახვევებისა, ხომლელს, მაინც დიდი დამსახურება აქვს ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში. იგი ერთ-ერთი პირველი მიესალმა დ. კლდიაშვილის გაბედულ გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე; გამოაქვეყნა ვრცელი კრიტიკული სტატია, რომელშიც არა მარტო მართებული შეფასება მისცა მწერლის ბელეტრისტულ და დრამატურგიულ დებიუტებს, არამედ სწორად შეიცნო ავტორის მხატვრული სტილის თავისებურებანი, დიდი ნიჭის სიდიადე. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მის რადიკალიზმს, ნაზ იუმორს, რისი საშუალებითაც მისი ნაწერების გაცნობის შემდეგ, კმაყოფილი რჩება მკითხველი. კრიტიკოსი ახალგაზრდა ბელეტრისტს უწონებს ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში გადმოცემას. ამ კუთხით აფასებს ხომლელი „სოლომონ მორბელაძის“ და „სამანიშვილის დედინაცვალს“, რომლებშიც მწერალმა, ხომლელის თქმით, დახატა საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობის ტიპები [3; 160, 161, 171, 172, 175].

როგორც ვხედავთ, ხომლელის შემოქმედებითი თვალსაწიერი საკმაოდ ფართოა, რადგან მისი შესწავლის ობიექტი არაერთი მწერალი გამხდარა. იგი ზოგადად მსჯელობს ლიტერატურისა და კრიტიკის არსზე. თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ მიმოხილვაში „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“ ხომლელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლიტერატურა თავის საზრდოს უნდა იღებდეს მეცნიერებისა, საზოგადო ლიტერატურისა და რეალური ცხოვრებისაგან, რათა საზოგადოებას „გული გაუხსნას“ და „ჭკუა-გონების მარგებელი საზრდო მიაწოდოს“. ხომლელის აზრით, ლიტერატურა, რომელიც მოკლებულია სიცოცხლის ნიშან-წყალს და არ ჰყავს მომზადებული მოღვაწე, „უძლურია და მიმკვდარებული... არ ძალუძს გულწრფელად და გაბედვით იქადაგოს ადამიანის ღირსებისა და კაცთა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა“.

ხომლელის კრიტიკული წერილების მახვილი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ისეთ კრიტიკოსთა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ კრიტიკულ წერილებში ყალბად წარმოგვიდგენენ ცხოვრების სინამდვილეს, ტენდენციურნი არიან. იგი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ „კრიტიკოსმა ან უნდა უექველად ამაგოს, ან უექველად ადიდოს მწერალი“, მისი აზრით, თუ სალიტერატურო კრიტიკა მოწოდების სიმალეზე დგას, იგი მიუდგომელი უნდა იყოს და ყოველ მოვლენას დამაჯერებლობით და რეალური ფაქტებით გადმოსცემდეს“ [4; 42].

მიუხედავად საგრძნობი გადახვევებისა, ხომლელმა, როგორც კრიტიკოსმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ამიტომაც, რომ მისი პუბლიცისტურ-კრიტიკული მემკვიდრეობა ინტერესისა და მეცნიერული შესწავლის საგნად რჩება. საგულისხმოა ისიც, რომ ხომლელს, ქართული კრიტიკის ასპარეზზე მოღვაწეობა უხდებოდა ისეთი გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსების შემდეგ და მხარდამხარ, როგორებიც იყვნენ ნ. ნიკოლაძე, კ. აბაშიძე და სხვ. მიუხედავად ამისა, მის მოღვაწეობას ორიგინალურობა არ დაუკარგავს. მან შეძლო თავისი სიტყვა ეთქვა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

ლიტერატურა:

1. კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, თბ., 1962;
2. ხომლელი, „თხზულებანი“, თბ., 1975;
3. დ. გამეზარდაშვილი, „ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, ტ. III, თბ., 1975;
4. ჟურნალი „კვალი“, 1899, №13.

რეზიუმე

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, ცნობილ პუბლიცისტსა და კრიტიკოსს - ხომლელს (რომანოზ ფანცხავა).

ხომლელის შემოქმედებითი თვალსაწიერი საკმაოდ ფართოა, რადგან მისი შესწავლის ობიექტი არაერთი მწერალი გამხდარა. ამიტომაც, მისი პუბლიცისტურ-კრიტიკული მემკვიდრეობა ამაყმადაც ინტერესისა და მეცნიერული შესწავლის საგნად რჩება.

FROM THE LITERARY-CRITICAL PRINCIPLES OF KHOMLELI (ROMANOZ PANTSKHAVA)

Ekaterine Gviniashvili, The Second Year Student of Master's Degree, Faculty of Humanities

Instructor: Lela Meladze, Full Professor

RESUME

The well-known publicist and critic – Khomleli (Romanoz Pantskhava) is one of the prominent representatives of the 1890-ies in the history of Georgian literature.

Khomleli's creative viewpoint is quite broad, because many writers are the objects of his studies. That is why his publicist-critical works deserve a great interest and have a scientific value even nowadays.

ილიას მრწამსის უკვდავება

ელენე ჯირკველიშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: მარინა ცერცვაძე, სრული პროფესორი

იმასთან დაკავშირებით, რაც ადამიანს უცხოვრია, ადამიანის სიცოცხლე ისეთი ხანმოკლეა, როგორც წვეთი ზღვაში. შვილი მამას ცვლის, ძველს ახალი თაობა და ყოველ თაობას ერის და კაცობრიობის ცხოვრებაში შეაქვს პროგრესი. რაც ერთი თაობისთვის მისაღებია და დამაკმაყოფილებელია, შემდეგი თაობისთვის ჩარჩოები ვიწროა, იგი ვეღარ ეტევა შინ და ცდილობს მის გაფართოებას, ანდა სულ განგრევასაც კი. ყოველთვის ხდება ხოლმე დაპირისპირება თაობებს შორის და, როგორც წესი ძველი და ახალი თაობების ბრძოლა, ახალი თაობის გამარჯვებით გვირგვინდება ხოლმე ტრადიციების ფარგლებში.

მაგრამ არის საუკუნეთა სენი, ეს სენია შური და მტრობა, ბატონობის დაუოკებელი სურვილი; ერის, სარწმუნოების, ოჯახისა და ტრადიციების უარყოფა. როცა ეს სენი ფართოდ ვრცელდება ამა თუ იმ ერში, მაშინ იწყება მისი დაკნინების ხანა და ზოგჯერ - სიკვდილიც.

მეოცე საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში ცივილიზებული კაცობრიობა სწორედ ამგვარი სენით იყო დაავადებული. საუბედუროდ ეს სენი, რომელსაც სოციალიზმი ჰქვია, ჩვენმა მამებმა შემოიტანეს რუსეთიდან და ახალგაზრდული გატაცებით ფართოდ გაავრცელეს ჩვენში.

ისმის კითხვა: ნუთუ სოციალიზმს არ ჰყავდა ღირსეული მოპირდაპირე ჩვენში? დიახ, ჰყავდა და ის იყო ილია ჭავჭავაძე. ილიამ ამ მოძრაობაში თავიდანვე დაინახა საქართველოს დაღუპვის ნიშნები და მთელი თავისი ძალით აღდგა მის წინააღმდეგ, იცავდა საქართველოს მეობას, ქართველი ხალხის ერთობის იდეას, სარწმუნოებას, ოჯახსა და ტრადიციებს. [4. გვ. 149]

მეცნიერი აკაკი გაწერელია განაგრძობს: „ახალი სალიტერატურო ენის მშენებელი, პოეტი და ბელეტრისტი, მთარგმნელი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ღრმა პოლიტიკური მოაზროვნე, ეკონომისტი და ფინანსისტი, საზოგადოებრივ საქმიანობათა მოთავე, ასეთია მოკლე სია ილიას მოღვაწეობის სფეროებისა“ –ო. კიდევ მეტი – ილია ჭავჭავაძე არის ჩვენთვის ღმრთის წყალობა. იგი ზეცით მოვლენილია – მზით რომ ათბობს ქართულ ეროვნულ სულს. “მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა”. აკი წარუძღვა კიდევცა! ერის წამების ჯვარი გოლგოთაზე აიტანა და დაეცა ერის საკურთხეველზე. [5. გვ. 65]

მწერლობა ღმერთთან საუბარია. ღმერთთან საუბარს კი მხოლოდ მართალი ადამიანი შეძლებს. „მოვალენი ვართ სიმართლისა“, – ალექსანდრე ორბელიანის ეს მწერლური კრედო ილიასათვის, აკაკისათვის, მათი თანამოსაქმეებისათვისაც მისაღები იყო და მათი სულიერი მემკვიდრის - ოთარ ჩხეიძისათვისაც. მწერალს ტოტალიტარული სიცრუის ეპოქაში მოუხდა ცხოვრება. ისეთ დროს, როცა სიმართლის თქმა დიდ გმირობას ნიშნავდა, ხოლო სიმართლისათვის გვერდის ავლა-ერის, საკუთარი თავისა და ღვთის დალატი იქნებოდა. ასე სწამდა, ასე სჯეროდა ოთარ ჩხეიძეს.

ოთარ ჩხეიძის მრწამსი: მამული-თავისუფლება ილიას მრწამსის - მამული, ენა, სარწმუნოება – გამომდახილია. ილიას მსგავსად ოთარ ჩხეიძეც საკუთარი მისიის თავიდანვე გაცნობიერებული და თავისი ერის უკეთეს მომავალში დარწმუნებული მწერალია. [2. გვ. 85]

ილიასა და სხვა დიდი სამოციანელების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა როგორ ხასიათს მიიღებდა, როგორი ხარისხი იქნებოდა, თუ არა წინამორბედი დიდი ქართველი პატრიოტების პირველი ეროვნული შეთქმულება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ - 1832 წლის შეთქმულება. სწორედ ამ შეთქმულებამ დაუბრუნა საქართველოს და მის ისტორიას ელიზბარ ერისთავი.

ელიზბარ ერისთავმა და მისმა თანამებრძოლებმა სამშობლოს წინაშე თავისი ვალი ადასრულეს. ადასრულეს გულწრფელად, დიდი რისკის, საშიშროებისა და სასჯელის ფასად. [3. გვ. 314]

ქართველ ხალხს უფალმა ილია ჭავჭავაძე ჭეშმარიტ წინამძღოლად, მხსნელად და მეოხად მოუვლინა, რომლის წყალობითაც მითვლემილ ქართულ სულს ახალი სიცოცხლე მიანიჭა. “საქართველოს ილია მოველინა, როგორც წინასწარმეტყველი და მქადაგებელი, როგორც “ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა”, სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, რათა ბიბლიურ მოსესავით აელო ტვირთი ერის წინამძღვრისა. მისი გენია, მისი საოცარი ნებისყოფა მბრძოლებულია და შინაგანად მომზადებული აღმოჩნდა ამ ისტორიული მისიისათვის” (სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II).

უკიდურესად შეჭირვებულ, სულიერი კატასტროფის საშიშროების წინაშე მყოფ ერს იგი მოველინა, ვითარცა გოლიათი, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გონიერებისა თავის ძლიერი მკლავით გადასწვდება ხოლმე მთელი ცხოვრების მოსავალსა, შეაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია, თავის გამჭრიახ თვალთა თავიდან ბოლომდინ განსჭვრეტავს იმ შემოგროვილსა, გაანათლებს თავის ჭკვის სხივებითა, ყოველ ცხოვრების კითხვას მისცემს თავის შესაფერ პასუხსა, ყოველ ფაქტს – კუთვნილ გზასა და ღონისძიებასა, ერთის სიტყვით, ახსნის და ცნობაში მოიყვანს იმას, რაც იმის მოსვლამდინ გაუგებარი და უცნობი იყო.“

დაქსაქსულ ეროვნულ ძალთა შემოკრების ყველაზე უტყუარ საშუალებად ილიას ლიტერატურა მიაჩნია. მისი აზრით, მწერლობა იყო ერთადერთი იარაღი, რომელსაც ერის გადარჩენა ხელეწიფებოდა. ქართული სიტყვა, ქართული აზროვნება, ქართული სულისკვეთება ქართველის სულში სწორედ ლიტერატურას უნდა ჩაენერგა. [1. გვ. 4]

ასეთ გარემოებაში ილიამ, ერთმა მარტოხელა ჯერ უცნობმა, მაგრამ ქვეყნის სიყვარულით ანთებულმა ახალგაზრდა მამულიშვილმა, გაბედა და შეძლო ადვილ, მაგრამ დაბლა უფსკრულისაკენ მიმავალ გზას დამდგარი ქვეყანა, ძნელად სავალ, მაგრამ ხსნისაკენ მიმავალ აღმართზე მიებრუნებინა. საბედნიეროდ ილიას მარტოობა იმ ღირსეულ და თავდადებულ მამულიშვილთა ილიას გვერდით ამოდგომამ შეცვალა, რომელთაც „თერგდალეულებს“ ვუწოდებთ. მათმა გამირულმა, ტიტანურმა მოღვაწეობამ დიდი ნაყოფიც გამოიღო – ქართული შეგნება კვლავ აღორძინდა. საქართველო გადარჩენილი იყო. ყოველ შემთხვევაში ასეთი პირი უჩანდა გამოცოცხლებისაკენ შემობრუნებულ ქვეყანას.

მაგრამ საქვეყნო საქმე რომ წარმატებით გაგრძელდეს, შემცვლელმა თაობამ ხომ უნდა განაგრძოს იგი. საუბედუროდ ასე არ მოხდა. ახალმა შემცვლელმა თაობამ, ახალი ეპოქის გავლენით შეძენილი იდეალები ძველ, ძირითად მძიმე სამუშაოზე კი არ დაამყნო, არამედ ახალმა თაობამ ძველს მთლიანად ზურგი აქცია. [6. გვ. 175]

ილია ჭავჭავაძის იდეალია შინაგანად გაწმენდილი, კრისტალურად სპეტაკი საზოგადოება, რომლისთვისაც უცხოა ბოროტისათვის ბოროტის მიგება და დღემუდამ მხოლოდ ამაღლებული მრწამსით სულდგმულობს.

ქრისტესმთავარი სიყვარული, რომელიც ნანატრი საზოგადოების ცხოვრებას წარმართავს, მტრის სიძულვილისაც კი გამოირიცხავს. ამ სიყვარულის მაღლი ცხოვრების ჭეშმარიტ არსს აზიარებს ადამიანს და ისიც, უფლის წინაშე მუხლმოდრეკილი, სიმდიდრეს ან დიდებას კი არ შესთხოვს განგებას, არამედ ზეციურ ნიჭს მოყვასის სიყვარულისას, რომელიც უარს ათქმევინებს შურისძიების დამაკნინებელ გრძნობაზე და გულსა ლახვარის მკვრელთა ლოცვასაც კი წარმოათქმევინებს:

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!

მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენს წინა;

არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,

არ მინდა ამით შეურეცხვყო მე ლოცვა წმინდა...

არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,

შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენტოს გული,

რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,

გთხოვდე: „მეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“ [1. გვ. 33]

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობას მსჭვალავს გმირის ძიების თემა, “მაგრამ მამულო სად არის გმირი“. . . ნამდვილი და არა ხელოვნური გმირი საქმეხარი იყო მე-20 საუკუნეშიც. მწერალი

იმაში ეხმარება მკითხველს, რომ განასხვავოს ყალბი და ნამდვილი, ხელოვნურად შექმნილი და ჭეშმარიტი. მას შემდეგ, რაც მოხდა „გონების აღრევაი ხალხისა“.

ილია რომ მოჰკლეს და საქართველო ზედ მიაყოლეს – წერდა ოთარ ჩხეიძე, გმირად დასახეს გამცემი, ამაწიოკებელი, დამარბეველი, დამლუპველი და არა გადამრჩენელი.

ქართველი ყოველთვის მღეროდა, მღერის და იმღერებს გმირზე, მამულისათვის თავშეწირულ ვაჟკაცზე.

“და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება,
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება”

[3. გვ. 121]

ილია მოჰკლეს და მოსჭრეს ის მუხა, რომელსაც ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული ქართველი ხალხის გულში.

ილია ჭავჭავაძე მაშინ მოველინა ერს წინამძღოლად, როცა „ხანდაცემული და მიმქრალი, ხან აღდგომილი“ საქართველო გულდაგულ ელოდა მხსნელს, აღმადგინებელს, ვინც ეროვნულ სულს რწმენით ადავსებდა და ახალ სიცოცხლეს მიანიჭებდა.

ილია საზოგადოების გამოფხიზლებასა და გაჯანსაღებაზე ფიქრობდა და ამისათვის დაულაღავად შრომობდა, ცდილობდა ხალხი წყვიდადიდან დღის სინათლეზე გამოეყვანა, მაგრამ არაკეთილმა მოსურნეებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს.

ილია მოჰკლეს, მაგრამ მისი სული ცოცხალია, ქართველი ხალხი მის ხსოვნას ატარებს უკუნითი უკუნისამდე.

ილიას საფლავის წინაშე ათასობით ადამიანმა მოიყარა მუხლი და ერთხმად შეჰლადა; “მეო ქართველთა ერისაო, ერისათვის წამებულო, წმიდო ილია მართალო, ყოვლად დიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, შეწყალებად სულთა ჩვენთათვის”. [1. გვ. 142]

ლიტერატურა:

1. როზა დევდარიანი, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, ქუთაისი, 2005;
2. ნინო ვახანია, ერთი ყლოუპი ჰაერი, თბილისი, 2009;
3. როსტომ ჩხეიძე, მდინარესა ზედა ქსნისასა, ტბილისი, 2008;
4. ილია ემიგრანტთა თვალთ, ტ. I, მიხეილ თარაშვილი – „ილია არ შემცდარა“, თბ., 1996;
5. ილია ემიგრანტთა თვალთ, მინდია ლაშაური – „ქართველი ერის დიდი განმანათლებელი“, თბილისი, 1996;
6. ილია ემიგრანტთა თვალთ, მიხეილ ქავთარაძე – „ილია – საქართველოა!“, თბ., 1996.

რეზიუმე

მეოცე საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში ცივილიზებული კაცობრიობა სენით იყო დაავადებული, ამ სენს სოციალიზმი ერქვა. ჩვენმა მამებმა სოციალიზმი შემოიტანეს რუსეთიდან და ფართოდ გაავრცელეს ჩვენში. სწორედ სოციალიზმის ღირსეული მოპირდაპირე იყო ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძე იცავდა საქართველოს ინტერესებს, სარწმუნოებას, ოჯახსა და ტრადიციებს. მაგრამ ილია მარტოდმარტო დარჩა და მოჰკლეს. ილია მოჰკლეს, მაგრამ მისი სული ცოცხალია. ქართველი ხალხი მის ხსოვნას არ დაივიწყებს.

IMMORTALITY OF ILIA'S CREED

Elene Jirkvelishvili, the Third Year Student Year of Bachelor's Degree, Faculty of Humanities

Instructor: Marina Tsertsvadze, Full Professor

RESUME

At the end of 20th. century civil people were deseaded by taint, this taint was Socialism. That taint bring our fathers from Russia and spreaded in our population, but Iliа Chavchavadze was exactly against about it. Iliа steadfastly defended Georgia's Religion, family, traditions and about other things, but some other group people can't agreed to Iliа and they killed him. Iliа was killed but his soul and hurt are alive for Georgian peiple and not only for Georgians. Our people can't oblivion his memory.

სექცია „ლინგვისტიკა“

უმწერლობა და სალიტერატურო მონათესავე ენათა ურთიერთობისათვის

ვიანორ ახალაია, სრული პროფესორი

ენათა ნათესაობის თეორია ამოდის ერთი ფუძე ენის არსებობის შესაძლებლობიდან, რომლის დიფერენციაციის საფუძველზე ყალიბდება სხვადასხვა ენა. „მონათესავე ენებად იწოდება ისეთი ენები, რომელნიც ერთი ენიდან მომდინარეობენ, ამ ენის დიალექტთა განვითარების პროდუქტს წარმოადგენენ“ (არნ. ჩიქობავა). ენათა ნათესაობა კი დგინდება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით.

მონათესავე ენათა შესწავლა ვარაუდობს: ა) მონათესავე ენათა გენეტური ურთიერთმიმართების გარკვევას; ბ) მონათესავე ენებისათვის ამოსავალი ვითარების რეკონსტრუქციას როგორც ფონემატური, ასევე გრამატიკული და სემანტიკური თვალსაზრისით; გ) მონათესავე ენებში მომხდარ ცვლილებათა აბსოლუტური და ფარდობითი ქრონოლოგიის დადგენას; დ) მონათესავე ენათა შემდგომში დიფერენციაციის საკუთრივ ენობრივი მიზეზების გამოკვლევას, რაც, რასაკვირველია, ითვალისწინებს არაენობრივ (გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, კულტურულ, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ) მონაცემებსაც (მ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 80).

ჩვენს რეგიონში წარმოდგენილია იბერიულ-კავკასიური, ინდოევროპული და თურქული ენები. იბერიულ-კავკასიური ენათაგან: ქართველური ჯგუფი (ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური), აფხაზურ-ადიღეური (აფხაზური, აბაზური, ყაბარდოულ-ჩერქეზული, ადიღეური), ნახური (ჩაჩნური, ინგუშური, ლეზგიური, ლაკური, დარგუული...).

ინდოევროპულ ენათაგან: სომხური, ოსური.

თურქულ ენათაგან: აზერბაიჯანული, ბალყარული, ყარაჩაული.

ქართული ენის დასავლურ დიალექტთა რიგი თავისებურებებისა მეგრულ-ჭანურთან და სვანურთან ხანგრძლივი კონტაქტის შედეგადაა წარმოქმნილი. თავის მხრივ, ჭანურის დაცილება მეგრულთან შეაპირობა ჭანურზე თურქული ენის ზეგავლენამ. თვით მეგრულში თავს იჩენს აფხაზურიდან მომდინარე მოვლენები, აფხაზურს მეგრული მეტყველების ზეგავლენა ეტყობა; ჩერქეზულ-ყაბარდოულის კვალი შეიგრძნობა სვანურში. სვანურის გავლენა დასტოვია დასავლეთ საქართველოს ჩრდილო რეგიონში გავრცელებულ ქართული ენის დიალექტებს...

რა თქმა უნდა, მონათესავე და არამონათესავე, მით უმეტეს მომმე (ქართული, სვანური, მეგრულ-ჭანური) ენების ზეგავლენა ერთნაირი ინტენსივობით არ ვლინდება და შედეგებიც ნაირსახოვანია. მონათესავე ენა გაცილებით უფრო შეღწევადაა, ვინემ ამ თვალსაზრისით საკმაოდ შორს მდგომი ენა (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 73).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისტორიულად მონათესავე ენები დროთა განმავლობაში, ურთიერთდაცილების შემდგომ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებიან და იძენენ იმ რიგის თვისებებს, რომელიც საერთოობის პერიოდში მათ არ მოეპოვებოდათ.

ხშირად ეთნიკურ-პოლიტიკური ვითარება განსაზღვრავს, რომ ენა, რომელიც ენათმეცნიერულად დიალექტია, პოლიტიკურად იძენს ენის სტატუსს. რუსული, უკრაინული და ბელორუსული ერთმანეთის მიმართ დიალექტებია. ეთნიკურმა და პოლიტიკურმა მიზეზებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ეს დიალექტური დღეს დამოუკიდებელი ენებია. ამის საწინააღმდეგო მოვლენების მოყვანაც შეიძლებოდა გერმანული ენის დიალექტთა ზემოგერმანულისა და ქვემოგერმანულის შეპირობების მაგალითზე, რომელიც მხოლოდ ისტორიული ვითარების გამო არ განვითარდა დამოუკიდებელ ენებად და განიხილება როგორც გერმანული ენის დიალექტი, თუმცა იმავდროულად მან შემოინახა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაირსახეობანი ფონეტიკაში, გრამატიკასა და ლექსიკურ წყობაში (ვ. ჟირმუნსკი). გამოდის, რომ არათუ უბრალო მოქალაქეს, არამედ ენათმეცნიერსაც კი არ ესმის კუთხური მეტყველება ბავარიელისა, ზემოგერმანიელისა, ბადენელისა. ანალოგიური ვითარებაა საბერძნეთშიც, სადაც დღესაც მიმდინარეობს ერთიანი სალიტერატურო-სახალხო ენის შექმნის პროცესი.

ენათმეცნიერული თვალსაზრისით მეგრულ-ჭანური და სვანური ქართულის მომმე ენებია, მაგრამ ეთნიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს; ანუ ფუნქციონირებენ საზოგადოების იმავე სფეროში, სადაც, ჩვეულებრივ, გამოიყენება დიალექტური მეტყველება (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 36).

მეტყველება, რომელიც არ ემსახურება სახელმწიფოებრივ გაერთიანებას როგორც ურთიერთობის სპეციალური საშუალება, არაა სამწიგნობრო; მაშინ ის დიალექტია; მაგრამ წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით გაუმართლებლად გვეჩვენება მეგრულის, ლაზურის, სვანურის-ერთი მხრივ, და ქართლურის, კახურის, იმერულის, აჭარულის, ხევსურულის, ფშაურის... მეორე მხრივ, ერთი ტერმინით-დიალექტით სახელდება (მ. ნაჭყებია, 2009, გვ. 28).

ენათმეცნიერთა მიდგომა ქართველური ენობრივი სამყარო ლინგვისტური სტატუსისადმი ორგვარია: პირველი, ტრადიციული, სადაც ტერმინში „ქართველური ენები“ ივარაუდება სამი ან ოთხი ენა და მეორე, ტერმინი „ქართველური ენები“ შეიცვალა „ქართველური დიალექტებით“. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი თვალსაზრისი სხვა დროს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ძველი წყარო საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთშიც (სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი) მიგვანიშნებს საეკლესიო, სალიტერატურო და სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის მხოლოდ ერთი ენის გამოყენებაზე, როგორც საერთო-სახალხო/ზოგად ეროვნულ ენაზე. ამ ენაზე ითარგმნა IV-V საუკუნეებში წმ. წერილი; სავარაუდებელია, რომ იმდროინდელი ენა (ძველი ქართული ენა) ერთნაირად გასაგები იყო ყველა ქართული ტომისათვის; წინააღმდეგ შემთხვევაში ლაზ-ეგრისელი მრავალი დიდი საეკლესიო მოღვაწე (იოანე ლაზიდან ჭყონდიდელების ჩათვლით) უთუოდ შეძლებდნენ წმ. წერილის თარგმნას თავიანთი მრევლისათვის, მაგრამ მათ უკეთ უწყოდნენ თითოეული ქართველური ტომის ღვაწლი საეკლესიო-სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბების საქმეში (მ. ნაჭყებია, 2009, გვ. 27).

ქართველურ ენათაგან სამწერლობო მხოლოდ ქართულია. სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთობის საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია.

თავის დროზე მ. მიულერი უმწერლობო ენათა შესწავლას დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა: „დიალექტები, რომელთაც არასოდეს შეუქმნიათ ლიტერატურული ნაწარმოები, ველურ ტომთა ჟარგონები, ჰოტენტოტების ტკაცუნა მეტყველება და ხმოვანთა გარდასვლანი ინდო-ევროპელებთან ისევე მნიშვნელოვანია, ხოლო გარკვეულ პრობლემათა თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ჰომეროსის პოეზია ან ციცერონის პროზაო“ (მოყვანილია წიგნიდან: არნ. ჩიქობავა, 1983, გვ. 48)¹

მ. მიულერი გამოთქმაში „... ველურ ტომთა ჟარგონები, ჰოტენტოტების ტკაცუნა მეტყველება“, რა თქმა უნდა, უმწერლობო ენებს გულისხმობდა.

თითქმის მ. მიულის ზემოთ ციტირებულის გამოძახილია ვ. დონდუას გამონათქვამი მეგრულ-ჭანურისა (ზანურისა) და სვანურის შესახებ: “მართალია სვანური ენა, როგორც მეგრულ-ჭანური, არაა წარმოდგენილი პერგამენტზე, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას, არც მეგრულს ჭანურით, შეინარჩუნოს უძველესი თვისებები, რომლებიც, ოდესღაც შესაძლოა, საერთო იყო მოცემული ჯგუფის ყველა წარმომადგენლისათვის, მაგრამ სრულიად ვერ პოვა გამოხატულება ქართული წერილობით ენაში”. (ვ. დონდუა, ინკლუზივის კარეგორიისათვის..., გვ. 284; ვ. დონდუა, 1967).

უმწერლობო ენა ეს ფაქტობრივ ოდენ ზეპირი (სასაუბრო) მეტყველებაა, როცა სამწერლობო ენაში გვაქვს ზეპირი (სასაუბრო) და წერილი მეტყველებაც.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფრანცისკო-მარია მაჯოს „ქართული ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამატიკული წესები“- „პირველი გრამატიკა ქართული ენისა იმავე დროს წარმოადგენს პირველ გრამატიკას საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა სამყაროში“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 53, დაყოფა ავტორისა - ვ. ა.). არნ ჩიქობავას აზრით, ჩანს, რომ მაჯო „ქართულ წერილობით მეგლებ ეცნობოდა; ზეპირ, სასაუბრო მეტყველებას აკვირდებოდა (ამ უკანასკნელს მისიონერის ამოცანები მოითხოვდა და არა ფილოლოგიური გრამატიკა)“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 54; დაყოფა ჩვენი-ვ.ა.).

მართლაც, მისიონერთათვის განკუთვნილ ინსტრუქციაში, რომელიც 1630 წ. 7 სექტემბერსაა შედგენილი, IX მუხლში საგანგებოდაა ნათქვამი, რომ მისიონერმა „საჭიროა ისწავლოს წერა-კითხვა ამ სამეფოში გავრცელებულ ენაზე. განსაკუთრებით ყურადღება მიაქციონ გამოთქმებს ... შეიტყონ, ასევე, აქვს თუ არა ამ ხალხს ლექსიკონები და გრამატიკები იმ ენებისა, რომელზედაც ლაპარაკობენ“ (ჯ. ვათეიშვილი, ქართული ბეჭდვითი ..., გვ. 20-21; ჯ. ვათეიშვილი, არნ. ჩიქობავა, 1983).

„განსაკუთრებით ყურადღება მიაქციონ გამოთქმებსო“, - ინსტრუქცია რომ ითხოვს, ჩანს, როგორც ზემოთ ითქვა, ამას სრულად პასუხობდა მაჯოსეული გრამატიკა, რაც სათაურშივეა გაცხადებული- „ქართული ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამატიკული წესები“.

¹ თვით არნ. ჩიქობავა ასეთ შეფასებას აძლევს მ. მიულის ამ გამონათქვამს: “გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დიალექტთა მნიშვნელობის ასეთი მკვეთრი და სრული დახასიათება მანამდე ენათმეცნიერებაში არავის მოუცია; არ მოუციათ შემდეგაც იმ ნეოგრამატიკოსებსაც, რომელთა ღვაწლადაც არის მიჩნეული დიალექტთა საენათმეცნიერო ღირებულების ჩვენება” (არნ. ჩიქობავა, 1983, გვ. 61; ხაზგასმა ავტორისა-ვ.ა.).

ამიტომაცაა, მაგალითად, რომ, როგორც ამაზე სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, მაჯოს ნაშრომის მიხედვით, „მრავალი ცნობის მიღება შეგვიძლია ისტორიული დიალექტოლოგიისათვისაც, კერძოდ, გურული დიალექტისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენაზე მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში“² (თ. უთურგაიძე, 1990, გვ. 146). მართლაც, ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ „მაჯოს ძირითადად გურუასა და სამეგრელოში უხდებოდა ცხოვრება“ (ჯ. ვათეიშვილი, ქართული ბეჭდვითი ... გვ. 23; წგ-ში: არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, 1983). თვით მაჯოს სიტყვებით: “შემდეგ მიბრძანეს (1737 წ. - ვ.ა.) რომ ბატონ ანტონ ჯარდინას ... ნაცვლად ... მე წავსულიყავი გურიაში ... ამ დროს კოლხეთში გამომიძახეს, რათა მესწავლებინა ზოგიერთი ჩვენთაგანისათვის ქართული ენა, რომელიც მე უკვე ავითვისე” (ჯ. ვათეიშვილი, ქართული ბეჭდვითი ..., გვ. 24; წგ-ში: არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, 1983).

ამიტომაც ის, რასაც მაჯოს თანამედროვე კათოლიკე მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი საქართველოდან რომში გაგზავნილ ერთ-ერთ თავის რელაციაში აღნიშნავდა: “მეგრულში მართლმადიდებლური ქრისტიანები არიან და იცავენ ბერძნული ღვთისმსახურების წესებს. თუმცა მეგრული ცალკე ენას წარმოადგენს და ყველა დანარჩენთაგან განსხვავდება, მაგრამ საღმრთო და საერთო წიგნებს ქართულად კითხულობენ და წირვასაც ქართულ ენაზე ასრულებენ, ისე, როგორც ევროპელები საეკლესიო ენად ლათინურს მიიჩნევენ, ამასთანავე, მთავრის კარზე და დიდებულნიც ქართულ ენას ხმარობენ უფრო ლამაზსა და პატივცემულსაო” ((ჯ. ვათეიშვილი, ქართული ბეჭდვითი ..., გვ. 24; წგ-ში: არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, 1983). რა თქმა უნდა, მაჯომაც მშვენივრად იცოდა. კოლხეთს დაბრუნებულმა მაჯომ აითვისა თუ არა მეგრული³, ეს არსად ჩანს, თუმცა კათოლიკე მისიონერებს კი იგი უკვე ქართულის შესწავლა-ათვისებაში ეხმარებოდა.

მაჯოს “გრამატიკის” მიხედვით, სინტაქსი “არის, როგორც გვასწავლიან გრამატიკოსები, ჯეროვანი შეხამება მეტყველების ნაწილთა ერთმანეთთან” (ამის შესახებ: არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 47), გამოყოფილია სინტაქსის ორი ნაწილი: შეთანხმება და კონსტრუქცია ანუ მართვა (იქვე). რთული წინადადების სინტაქსზე არაფერი თქმულა.

მაჯოს რომ ხელი მოეკიდა მეგრულის შესწავლისათვის, იგი, ბუნებრივია, ოდენ სასაუბრო მეგრულით შემოიფარგლებოდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ მეგრელები, სხვა ქართველურ ტომთა წარმომადგენლებთან ერთად, იმთავითვე “საღმრთო და საერო წიგნებს ქართულად კითხულობდნენ და წირვასაც ქართულ ენაზე ასრულებდნენ” (ჯ. ვათეიშვილი, ქართული ბეჭდვითი ..., გვ. 24; წგ-ში: არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, 1983). მართალია, საზოგადოდ, იმ შემთხვევაში, როცა ენას არ გააჩნია დამწერლობა, სალიტერატურო ენაც სასაუბროს ეყრდნობა, მაგრამ მაინც განსხვავდება მისგან. სასაუბრო ენა უფრო ტევადია და მრავალფეროვანი, ვიდრე სალიტერატურო ენა. ეს უკანასკნელი გარკვეულად ნორმირებულია და, ამდენად, კონსერვატიულიც. დღეს მას ემატება სპეციალური სამსახურები).

სასაუბრო ენა საზოგადოდ თავისი შინაგანი კანონების მიხედვით ვითარდება. მართალია, სალიტერატურო ენა აქაც შეზღუდულია იმ შესაძლებლობებით, რაც მეტწილად ცოცხალ მეტყველებაში მქადავდება, მაგრამ “სალიტერატურო ენა აუმჯობესებს თავის გამომხატველობითს საშუალებებს და ამ გზით ინარჩუნებს ხალხურ ბუნებას” (ზ. ჭუმბურიძე, 1956, გვ. 9)

ეს არ ნიშნავს, რომ სალიტერატურო ენის ნორმები შეუცვლელია. იგი დროთა განმავლობაში იცვლება იმის მიხედვით, „თუ კი ესა თუ ის მორფოლოგიური ან სინტაქსური მოვლენა გზას იკაფავს მთელი ხალხის სასაუბრო მეტყველებაში“ (ზ. ჭუმბურიძე, 1956, გვ. 64).

სალიტერატურო ენა თუ მოსწყდება ცოცხალ, ზეპირ მეტყველებას, საფიქრებელია, დროთა განმავლობასი ასეთმა ენამ გაიზიაროს ხალხური ლათინურის ბედი; სალიტერატურო ქართული ამ თვალსაზრისით დაცულია, რადგან „ქართული სალიტერატურო ენა თავისი ისტორიის მანძილზე თითქმის არასოდეს მოსწყვეტილა ცოცხალ მეტყველებას, რაც მისი სიცოცხლის უნარიანობის გადამწყვეტი ფაქტორია“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 24).⁴

² ამის ნიმუშად მოყავთ ფორმები „მოვლიან,,“, იმათ მოთხ. ბრუნვის ფორმად მრავლობით რიცხვში; იქვეა: იმან მოვა (თ. უთურგაიძე, 1990, გვ. 136). ამ ფორმებისათვის შეიძლება დაგვემატებინა მაჯოს „გრამატიკაში“ დადასტურებული ნიმუშები კაი ბიჩი, კაი გოგო, კაი მონა... (მაჯო, ქართული გრამატიკა..., გვ. 514; წგ-ში: არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, 1983).

³ მართალია, მაჯო მეგრულს უწოდებს ენას, მაგრამ ჩანს, მეგრული მისთვის ცალკე ენაა ქართულთან მიმართებაში, თორემ ჭანურთან მიმართების საკითხი მასთან არც დასმულა.

⁴ ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მკვლევარის მიერ იქვე დამოწმებული მ. ჯავახიშვილისეული გამონათქვამი: „ჩვენდა საბედნიეროდ, ნამდვილი ქართული ლიტერატურა და ხალხური სალაპარაკო ენა ღვიძლი ძმები არიან, დღევანდელ ქართველს კარგად ესმის მეხუთე საუკუნის ქართული, ფრანგული და გერმანული კი მეთხუთმეტე საუკუნის თავიანთ მწერლობას უცხო ენასავით სწავლობენ“. (ციტირება ამოღებულია მ. ჯავახიშვილის „თხზულებანი“ VI ტომიდან. თბ., 1964, გვ. 328).

ტერმინები „ცოცხალი მეტყველება“, „ზეპირი მეტყველება“, „სასაუბრო ენა“, „ხალხური მეტყველება“ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სინონიმურ ერთეულებად მიაჩნიათ და გარკვეული დიფერენციალური მიდგომაც აქვთ მათ მიმართ. მაგალითად, ქართული საენათმეცნიერო ტრადიცია მხარს უჭერს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, „ზეპირ მეტყველებას“ ჩვენ უფრო ფართო გაგებით ვხმარობთ, ეს არის არსებითად ხალხური მეტყველება“ (ლ. კვანტალიანი, 1990, გვ. 5; ამ თვალსაზრისით ვატარებთ ჩვენც წინამდებარე ნაშრომში). ან კიდევ რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული: მეტყველების ზეპირ ფორმაში შედის სრულიად საპირისპირო ფორმები, მაგალითად, აქაა ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველებაც და, ვთქვათ, ლექცია, მოხსენება ... (კ. დოლინინი) და სხვა (ამ და სხვა რუს ავტორთა თვალსაზრისის შესახებ იხ. კიზირია, გვ. 64).

ზანური (მასში შემავალი მეგრული და ჭანური დიალექტებით, როგორც ეს ცნობილია, უდამწერლობო ენაა, მსგავსად სვანურისა; სანაცვლოდ ქართველურ ენათაგან ქართულია ძველი დამწერლობის ენა, სალიტერატურო ენა კი, საზოგადოდ „... ხალხური თავის წარმოშობით, აგებულებითაც, განვითარების კანონებითაც“ (ზ. ჭუმბურიძე, 1956, გვ. 4; დაყოფა ავტორისა-ვ.ა.).

მით უფრო ეს ითქმის ზანურსა და სვანურზე, უდამწერლობო ენაში უფრო ფართოა ასპარეზი ენის შინაგანი განვითარებისა, თუმცა ისიც განიცდის გავლენას ამა თუ იმ მონათესავე თუ არამონათესავე,⁵ უდამწერლობო თუ სალიტერატურო ენებისა.

უდამწერლობო ენა, ფაქტობრივ, ხალხური ზეპირსიტყვიერების სახითაა წარმოდგენილი პროზისა და პოემის სახით. „ხალხურ პროზას განსხვავებული სინტაქსი შეეფერება, ვიდრე ხალხურ პოეზიას. პოეტური სინტაქსი არ ნიშნავს პროზაულ სინტაქსს. პოეზია და პროზა - ორი უძველესი სახე ხალხური შემოქმედებისა - თავიანთ სპეციფიკურ ნიშნებს ენის საშუალებით ავლენენ“, მართებულადაა შენიშნული (ალ. დლონტი, 1975, გვ. 4).

ჯერ კიდევ ნ. მარი სვანურის გაცნობასთან დაკავშირებით შენიშნავდა, „სვანური ლიტერატურა უმწიგნობროდ ... სუფევს სვანურ ენაზე და არა ცალკეულ დიალექტებზე ან ცალკე კილოზე. სუფევს სვანური სალიტერატურო ენა სვანური ზეპირი ლიტერატურის წყალობით“ (ნ. მარი, 1937, გვ. 316). იქვე ნ. მარი შენიშნავს პროზაული და პოეტური მასალის არაიდენტურობაზე, “მე ლექსებს ვეძებდი ადგილობრივ წმინდად დაცულ კილოზე და ვერ ვპოულობდი. ვიფიქრე, ეს ლექსების ბრაღია, მელექსეს გაჭირვებია ლექსის თხზვა მარტო დედა კილოთიო... თურმე სუფევს განსაკუთრებული ენის მოთხოვნილება გალექსილი და გაულექსავი თხზულებებისათვის.⁶ზღაპარი, გინდა ლეგენდა, გინდა სიმღერა, სუფევს ძველი სიტყვები, რომელნიც ამ ზეპირ ლიტერატურაში იხმარება⁷ (იქვე). ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ ხმოვნის სიგრძე-სიმოკლით დაპირისპირება სვანურის ზოგ დიალექტს რომ გასდევს, სვანურის ლექსის ენაში არაა დაცული: “სვანურში გრძელი ხმოვნები ლექსებში ისევე არა გვაქვს, როგორც არ ისმის გრძელი ხმოვნები მთიულურ ლექსში” (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 51) ან კიდევ: „გრძელი ხმოვნები ბალსზემოურსა და ლაშხურში დასტურდება... სვანური გრძელი ხმოვნები მაინც ძველი არ შეიძლება იყოს. სვანურ ლექსებში სადა და გრძელი ხმოვნები გარჩეული არაა; სვანურ სიმღერებს ბევრი არქაიზმი დაუცავთ. გრძელი ხმოვნები სვანურმა ხალხურმა პოეზიამ არ იცის (ძველ ბერძნულსა და ლათინურში გრძელი ხმოვნები რომ გვაქვს, ისინი ლექსებში არ იკარგება, პირიქით, ხმოვანთა სიგრძე-

⁵ მაგალითად, ზანურში ფართოდ იძებნება საერთო ელემენტები სომხურთან (ნ. მარი), რაც ხალხთა უძველესი კონტაქტების შედეგია. სომეხი მეცნიერი გრ. ლაფანციანი ასეთი მასალის ანალიზის შემდეგ ვრცელ დასკვნას აკეთებს: „ჩემს მიერ მოყვანილი ორ ათეულზე მეტი საერთო ფუძეები (ძირები) სომხურსა და ლაზურ-მეგრულში დადებითად წყვეტს საკითხს მათ შორის არსებული ისტორიული და გენეტიკური კავშირისა“ (გრ. ლაფანციანი, 1952, გვ. 33). მართალია, აქ საუბარი ლექსიკურ მასალას ეხება, მაგრამ სხვა ნაშრომში, მაგალითად, სხვა მკვლევარი შენიშნავს, რომ სომხური ენის ზოგი დიალექტის - ნა კავშირ-ნაწილაკი წარმოადგენს ზანური ენის ჭანური დიალექტის სუბსტრატს (ი. შილაკაძე, 1951) და სხვა.

⁶ ეს იგივეა, რასაც დღეს პროზისა და პოეზიის სინტაქსზე, მთლიანად ენაზე ამბობენ ხოლმე. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ენის განსხვავებული ლექსიკა და მისი სტრუქტურა (მორფოლოგია, სინტაქსის). ეს ძირითადად ერთი და იგივეა, სხვაობას ქმნიან გამოხატვის მხატვრული საშუალებანი. ეს უკვე შევა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის სათანადო მონაკვეთებში. ასე რომ, განსხვავებული სინტაქსის, (პროზის სინტაქსის, პოეზიის სინტაქსის) მიება ექსპრესიული სინტაქსის კვლევის უპირველესი საგანია. ამიტომაც ტრადიციული სინტაქსი, ბუნებრივია, მოითხოვს ამ თვალსაზრისით მიებას და შედეგების გათვალისწინებას.

⁷ სვანურის (resp. უდამწერლობო ენის) ეს თავისებურება ნ. მარს ავარაუდებინებდა, „რომ ძველი ქართული მწიგნობრობა თავიდანვე უკვე უძველეს ნაშთებში, წინ გვიშლის განვითარებულს სალიტერატურო ენას. ცხადია, საეკლესიო მწიგნობრობას არ შეუქმნია იგი. სალიტერატურო ქართული ენა ქრისტიანობის ადრე გამომუშავებული უნდა ყოფილიყო და ქრისტიანულ მწიგნობრობას მას მხოლოდ თავის საინტერესო ნაწილში განუვითარებია (ნ. მარი, 1937, გვ. 317).

სიმოკლე ლექსის „აგების“ საფუძველს ქმნის, ძველი ბერძნულისა და ლათინური ენის „მეტრულ წყობას“ განსაზღვრავს)“ (ამის შესახებ: არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 50).

თ. გამყრელიძის მართებული შენიშვნითაც, „...ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება ამა თუ იმ კულტურაში არ იწყება აუცილებლად ენის წერილობით ფიქსაციასთან ერთად, ამ ენაზე დამწერლობის გაჩენასთან ერთად „ლიტერატურული“ ტრადიციები და „ლიტერატურული“ ენა შესაძლებელია არსებობდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზეპირსიტყვიერების („словесность“) სახით ამ ენაზე სპეციალური დამწერლობის არსებობის გარეშეც. წესის შემოდება მხოლოდ გრაფიკულ ფიქსაციას ახდენს ამგვარი ტრადიციებისა და ხელს უწყობს ლიტერატურული ენის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას“ (თ. გამყრელიძე, 1990, გვ. 200-201)⁸.

ლიტერატურა:

1. თ. გამყრელიძე, 1990-თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990
2. კ. დონდუა, 1967- კ. დონდუა, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1967.
3. ჯ. ვათეიშვილი, 1983-არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.
4. ლ. კვანტალიანი, 1990-ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990.
5. გ. კვარაცხელია, 1990- გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.
6. ნ. კიზირია, 1989-ნ. კიზირია, სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები, თბ., 1987.
7. ნ. მარი, 1937- ნ. მარი, ქართულ ენათმეცნიერებაში, თსუ-ის შრომები, VI, ცალკე ამონაბეჭდი, თბ., 1937.
8. მ. ნაჭყებია, 2009- მ. ნაჭყებია, სახელის ბრუნების პარადიგმა მეგრულ-ლაზურში, თბ., 2009.
9. ზ. სარჯველაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 1984.
10. თ. უთურგაძე, 1990-თ. უთურგაძე, ქართული ენის შესწავლა იტალიელ მისიონერთა მიერ და მათი მეცნიერული ნააზრების ურთიერთმიმართება, -იკე, XXIX, თბ., 1990.
11. ალ. დლონტი, 1975- ა. დლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1975.
12. ი. შილაკაძე, 1951- ი. შილაკაძე, ნაწილაკი- ნუ ჭანურში და ნაწილაკი-ნუ ჰამშენურში, თსუ-ის შრომები, ტ. 43, თბ., 1951.
13. არნ. ჩიქობავა, 1965-არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
14. არნ. ჩიქობავა, 1979-არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1979.
15. არნ. ჩიქობავა, 1983-არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები თბ., 1983.
16. ბ. ჯორბენაძე, 1989- ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

რეზიუმე

ქართველურ ენათაგან სამწერლობო მხოლოდ ქართულია, რომელიც თავისი ისტორიის მანძილზე თითქმის არასოდეს მოსწყვეტია ცოცხალ მეტყველებას, მათ შორის ზანურსა და სვანურს როგორც თავის მოძმე ენებს.

ეთნიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს, მაგრამ წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით მართებულად არ გვეჩვენება მეგრულის, ლაზურისა და სვანურის დიალექტით სახელდება.

სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთობის საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია...

⁸ ამის გარდა, „წერილობითი კომუნიკაცია ზეპირისგან ყველაზე მეტად იმით განსხვავდება, რომ იგი მეტ მოფიქრებას, მომზადებას მოითხოვს, ამიტომ ამ პროცესისას ავტორი „სტილისტიკურად“ მოქმედებს... მოქმედების შედეგი კი მის „მწერლურ“ მონაცემებზე დამოკიდებული“ (გ. კვარაცხელია, 1990. გვ. 32).

FOR THE RELATION OF SPOKEN AND LITERARY LANGUAGES

Vianor Akhalaia, Full Professor

RESUME

Only Georgian is the literary among other Kartvelian languages, with has never been aparted from speaking since the history of its existence. Among them there are Zanuri and Svanuri as its relative languages.

They have the same status from the ethnic-political point view of as the dialects, but according to the linguistics we do not consider Megrelian, Lazuri and Svanuri to be named as dialects.

A lot of researches have worked about the question of the relation between literary and spoken languages.

დიალექტის საკითხისათვის თეორიულ ენათმეცნიერებაში

მარიამ კობერიძე, ასოცირებული პროფესორი

როგორც ცნობილია, სოციოლინგვისტიკა სწავლობს ენის არსებობის ფორმებს სოციალურ გარემოში, მის კავშირებს სოციალურ პროცესებთან, გავლენას, რომელსაც სოციალური ფაქტორები ახდენენ ენაზე. ტერმინი სოციოლინგვისტიკა პირველად იხმარეს გასული საუკუნის 50-იან წლებში და იგი კარგა ხანს აღიქმებოდა ნეოლოგიზმად. ენობრივი კვლევის ეს მიმართულება თანდათან განვითარდა და სათანადო ტერმინიც დამკვიდრდა თანამედროვე ენათმეცნიერებაში [1,453].

სოციოლინგვისტიკის ამოცანას შეადგენს იმის გარკვევა, თუ როგორია ურთიერთმიმართება ენობრივ სისტემასა და სოციალურ სტრუქტურას შორის.

XX საუკუნის ლინგვისტიკისათვის დამახასიათებელია ენის სოციალურ მოვლენად განხილვა. ანტუან მეიე თვლიდა, რომ , ენა როგორც მოვლენა, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებით.

ენის განვითარებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორც არის პოლიტიკური საზღვრების დადგენა, ტერიტორიული და რელიგიური გაერთიანებები.

ტერიტორიულ გაერთიანებებში ანტუან მეიე გულისხმობდა დიალექტს.

ანტუან მეიეს, როგორც ინდივიდუალური ფსიქოლოგიზმის წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ სიტყვების მნიშვნელობის ცვლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არა მხოლოდ კონტექსტის შინაგანი ცვლა ან გარკვეული ფსიქოლოგიური პროცესები, არამედ უპირატესად სოციალური ფაქტორები - სიტყვით აღნიშნული რეაქციების ცვლა, სიტყვის ხმარების ისტორიული პირობების ცვლა, რაც, როგორც ცნობილია, უკავშირდება ცივილიზაციის განვითარებას, ინტელექტუალურ პროგრესს.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მაქს მიულერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთობაზე, დიალექტებისა და უმწერლო ენათა მნიშვნელობაზე ენათმეცნიერებისათვის. მისი აზრით, ენის ნამდვილი და ბუნებრივი სიცოცხლე მოცემულია მის დიალექტებში, ენის ზრდა-განვითარება დიალექტებზეა დამოკიდებული [3,59]

ფერდინანდ დე სოსიურმა დასაბამი მისცა ენის შესწავლის ორი ასპექტის - **სტრუქტურული** და **სოციალური** - ერთმანეთისაგან მკვეთრ გამიჯვნას; სტრუქტურული ლინგვისტიკა და სოციალური ლინგვისტიკა იკვლევს ერთსა და იმავე ობიექტს -- ენას, მაგრამ თითოეულ მათგანს ამ საგნისადმი მიდგომის, პრობლემის დასახვისა და შესწავლის თავისი სპეციფიკა აქვს. **სტრუქტურული ლინგვისტიკა თავისი არსით ძირითადად აღწერთი მეცნიერებაა, ხოლო სოციოლინგვისტიკა - უპირატესად ნორმატიული** [1,455].

სოციოლინგვისტიკა იკვლევს მეტყველებას, მის იმ თავისუფალ ვარიანტებს, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა სახის განსხვავებებს საზოგადოებაში. ენის სოციალური დიალექტები წარმოიშობა ენობრივი კოლექტივის სოციალური არაერთგვაროვნების პირობებში და სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების ზემოქმედებით. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს სოციალური დიალექტოლოგია, რომელიც შეისწავლის მიმართებას ენა-- საზოგადოება. ტერმინები დიალექტი, ენის ვარიანტი, აგრეთვე ენის სტილი ვერ განისაზღვრება მხოლოდ შიდაენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით -- აუცილებელია სოციალური და კულტურული გარემოს განსხვავებების მხედველობაში მიღება.

სალიტერატურო და არანორმირებული მეტყველების დაპირისპირების არსებობა არის ურბანისტული კულტურის მახასიათებელი.

ამდენად, ენობრივი თავისებურებების განხილვისათვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს ენის შინაგანი სტრუქტურისა და გარე სოციოლინგვისტური მახასიათებლების ურთიერთმიმართება.

თეორიულ ენათმეცნიერებაში გაარჩევენ ენის ვარიანტების ორ სახეს : 1. დიალექტური ვარიანტები, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ ან ტერიტორიულ ჯგუფებს შორის ირჩენს თავს; 2. პიროვნული ვარიანტები, რომლებიც განპირობებულია საკომუნიკაციო სიტუაციით, კერძოდ, როდესაც ერთი და იგივე მოლაპარაკე დიალექტური ნორმებიდან გადადის ყოველდღიურ სასაუბრო ნორმებზე. მოცემული ენობრივი კოლექტივის ასეთი წევრი არის ერთდროულად სხვადასხვა სოციალური თუ ფუნქციური სტილის გამომხატველი.

დიალექტის, ენისა თუ სტილის დახასიათებისას აუცილებელია სოცილურ-კულტურული ფაქტორების გათვალისწინება. ეს ფაქტორები ენის გამოყენების ტიპსა და მოდელირებას განსაზღვრავს, აგრეთვე ახასიათებს ენის შემეცნებით და ემოციურ ღირებულებას სოციალური თვალსაზრისით. დგას საკითხი- შეიქმნას მეტყველების ეთნოგრაფია- ენის ფორმალურ-გრამატიკულ აღწერასა და კულტურის ეთნოგრაფიულ აღწერას შორის გარდამავალი რგოლი [1,458].

სოციალურ დიალექტებთან ერთად ერთად გამოიყოფა ე. წ. რეგიონალური დიალექტები, რაც საკუთრივ დიალექტოლოგიის საგანს წარმოადგენს.

დიალექტოლოგიის როგორც რეგიონალური დიალექტების შემსწავლელ დიციპლინას, განვითარებას ბიძგი მისცა XIX საუკუნის ბოლოს გავრცელებულმა თვალსაზრისმა, რომლის თანახმად, არასალიტერატურო რეგიონული დიალექტები სალიტერატურო ენასთან შედარებით კონსერვატორულია და მათში სესხება უფრო შეზღუდულია, რის გამოც ამ დიალექტებში უკეთ არის შემონახული არქაული ფორმები.

რეგიონალური დიალექტების შესწავლა შესაძლებელია ორი სხვადასხვა თვალსაზრისით: 1. სალიტერატურო ენის ან მეზობელი დიალექტების მონაცემების დამოუკიდებლად - მეტ-ნაკლებად სრული ფონოლოგიური და გრამატიკული აღწერის მისაღებად; 2. გარკვეული არეალის (რეგიონის) ადგილობრივი დიალექტები შეიძლება ერთმანეთს შევუდაროთ რაღაც ნიშნის მიხედვით მსგავსებისა თუ განსხვავების დასადგენად. ამ სახის კვლევას ხშირად ლინგვისტურ (დიალექტურ) გეოგრაფიას უწოდებენ. მის შედეგებს, ჩვეულებრივ, დიალექტი ატლასის სახე ეძლევა. ამგვარ ატლასში ნაჩვენები უნდა იყოს გარკვეული სიტყვების, ფონოლოგიური ან გრამატიკული ნიშნების განაწილება გეოგრაფიული არეალების მიხედვით. დიალექტურმა გეოგრაფიამ აჩვენა, რომ შეუძლებელია მკაცრი საზღვრების გავლება მომიჯნავე დიალექტებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ენის ათვისებისა და გამოყენების უნარი თანდაყოლილია და მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას, ყოველი ადამიანი ენას ითვისებს როგორც საზოგადოების წევრი თავისი სოციალური ჯგუფის კულტურის სხვა ასპექტებთან ერთად; საზოგადოება და კულტურა ერთმანეთს გულისხმობენ. ენა შეიძლება განვითარდეს ამა თუ იმ სტრუქტურის მქონე სოციალურ ჯგუფებში; ამავე დროს, ადამიანთა საზოგადოების ნებისმიერი ფორმა, რომელიც ოდნავ მაინც ჰგავს დღემდე ცნობილ სოციალურ ფორმებს, შეიძლება შენარჩუნებული იქნეს მხოლოდ საერთო ენის მქონე ადამიანებს შორის.

ენაში რელატიურისა და უნივერსალურის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტის იდეებს, რომლებმაც საგრძნობი გავლენა მოახდინეს XX საუკუნის ენათმეცნიერების განვითარებაზე.

ჰუმბოლტისათვის ენა ხალხის ერთიანი ენერგიაა, იგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტური მოვლენაა. ამდენად, ენობრივი კოლექტივი ჰუმბოლტის მოძღვრებაში ერთდროულად სოციოლოგიურ და ლინგვისტურ ცნებად გვევლინება. ენის შესწავლის დროს აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან და აზროვნების ფილოსოფიასთან სულიერი ცხოვრების მჭიდრო კავშირის გათვალისწინება.

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტის ენის შინა ფორმა დიალექტს უკავშირდება, ენის გარე ფორმა კი -- ბგერითი, გრამატიკული და სხვა საშუალებების რეალიზებას. მისი, როგორც გარე ფორმის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური პროცესის გაგება საფუძვლად დაედო ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ მიმდინარეობას (ჰ. შტაინთალი, ვ. ვუნდდტი). [3,138].

ამრიგად, თეორიულ ენათმეცნიერებაში დიალექტი წარმოადგენს ენის ერთ- ერთ სტრუქტურას.

ლიტერატურა:

1. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003.
2. ფერდინანდ დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2002.
3. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბილისი, 1983.

რეზიუმე

სოციოლინგვისტიკის ამოცანას შეადგენს იმის გარკვევა, თუ როგორია ურთიერთმიმართება ენობრივ სისტემასა და სოციალურ სტრუქტურას შორის.

ანტუან მეიე თვლიდა, რომ, ენა როგორც მოვლენა, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებით.

ენის განვითარებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორც არის პოლიტიკური საზღვრების დადგენა, ტერიტორიული და რელიგიური გაერთიანებები.

ტერიტორიულ გაერთიანებებში ის გულისხმობდა დიალექტს.

ენა შეიძლება განვითარდეს ამა თუ იმ სტრუქტურის მქონე სოციალურ ჯგუფებში; ამავე დროს, ადამიანთა საზოგადოების ნებისმიერი ფორმა, რომელიც ოდნავ მაინც ჰგავს დღემდე ცნობილ სოციალურ ფორმებს, შეიძლება შენარჩუნებული იქნეს მხოლოდ საერთო ენის მქონე ადამიანებს შორის.

FOR THE DIALECT ISSUE IN THEORETICAL LINGUISTICS

Mariam Koberidze, Associate Professor

REZUME

The aim of socio-linguistics is to clarify what is the interrelation between the language system and social structure.

Antoine Mayer considered that the language as a phenomenon can be understood only by considering its social nature.

The factors such as establishing the territorial boundary and territorial and religious unifications can have the influence for the development of the language.

The language can be developed within the groups of different structure; meanwhile any form of the human society similar to the social forms known up to now can be kept only within the people with the common language.

ქართული გვარების ჩამოყალიბება და ზოგიერთი გვარ-სახელის ისტორია

ეკა იორამაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ლინგვისტიკას, ეთნოლოგიასა და ისტორიას ანთროპონიმების მიმართ კვლევის საკუთარი ინტერესი და არეალი აქვს, მაგრამ შედეგი მაშინაა სრულყოფილი, როდესაც მეცნიერი სამივე დასახელებული მეცნიერების კვლევის მეთოდებს ფლობს.

ქართული ანთროპონიმები არაერთი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას გვაძლევს. ესაა უძველესი რწმენა-წარმოდგენები... გარდა ამისა, თითოეულ ადამიანს, და მათ შორის ქართველსაც, თავისი საკუთარი გვარის ისტორია აინტერესებს. (3.213)

როდის წარმოიქმნა ქართული გვარ-სახელები? პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული გვარ-სახელები დიდი ხნის წინ წარმოიქმნა. ჩვენ ვართ იმ ერებს შორის, რომლებშიც საზოგადოების ეს სოციალური ერთეული საუკუნეებს ითვლის. თუმცა ქართველ ავტორთაგან აღმოჩნდა ზოგიერთი, რომელმაც ასეთი დასკვნა შემოგვთავაზა: ქართველებს გვარები საერთოდ არ გვქონდა და სულ ახლახან, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ის რუსებმა დაგვიწესეს და მისი ფორმირება საბოლოოდ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მოხდა. (1.82-89)

დასახელებულ სტატიაში ისიცაა ნათქვამი, რომ მე-16 საუკუნემდე გვარ-სახელების გავრცელების ტალღამ მთელი ევროპა მოიცვა და მხოლოდ ამის შემდეგ მოაღწია საქართველომდე.

ქართული საისტორიო წყაროებიდან, არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, რომელთა მიხედვითაც აშკარაა, რომ ქართული გვარ-სახელები, ისტორიის სიღრმეებშია წარმოდგენილი. მაგალითად, ნიქოზის, ერედვის, ხვითის და სხვა სოფლების ეკლესიების წარწერები.

მე-12 საუკუნის საბუთში, ჟინოვანს მოხსენიებულნი არიან „მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი და მახარაი, ბრაჭი და იოვანე“, ამ საბუთში ოთხი ძმის მახარეს, ბრაჭის, იოვანესა და ოქრაის მამის სახელია დავითი, ხოლო მიხითარაისძე გვარ-სახელია.

ყურადღებას იქცევს „ელ“ სუფიქსით ნაწარმოები ფეოდალური გვარ-სახელების გამოჩენა მე-8, მე-9 საუკუნეებში, რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ ინდივიდის გვარ-სახელი კოლექტივთან ურთიერთობით კი აღარ ხასიათდება, არამედ აზნაურთა მიერ. იმ პუნქტების მფლობელობას უკავშირდება, რომლებიც თავიანთი მხრით შესაბამის ქვეყნებს განასახიერებენ. ამის მკაფიო მოწმობაა გვარ-სახელი ჩორჩანელი. ჩვენთვის ნათელია, რომ ჩორჩანელი დაბა ჩორჩანის სახელიდან იწარმოება. ასეთი გვარების მქონე ფეოდალების მომრავლება, განსაკუთრებით შესამჩნევია მე-10 საუკუნიდან. (ტბელი, ფხვენელი, ჩანჩაელი), ეს სწორედ ასეთი ტიპის გვარებია.

დროთა განმავლობაში საქართველოში ახალი გვარები წარმოიქმნებოდა, ხდებოდა ზოგიერთის აღზევა და ზოგიერთის დამცრობა, ზოგიერთს-კი ახალი შტო-გვარები გამოეყოფოდა.

გვარ-სახელების წარმოქმნა საქართველოში სხვა სოციალური მიზეზით იყო განპირობებული. ქართული ფეოდალური სისტემა მოითხოვდა მემკვიდრეობითი გვარ-სახელის არსებობას. ქართველ ფეოდალს ყმა-გლეხი მამულზე მემკვიდრეობით ეჯდა. მიწაზე მჯდომი გლეხის მამული მემკვიდრეობით გადადიოდა, და ამიტომ საჭირო იყო მემკვიდრეობითი სახელი სოციალური ურთიერთობის გასაადვილებლად. ეს მკვეთრად უშლიდა ხელს ქართველ გლეხს, ერთი ადგილიდან მეორეზე თავისუფლად გადაადგილებაში, ერთი მეზობლისაგან მეორესთან წასვლაში.

ქართულ საისტორიო საბუთებსა და წყაროებში არაერთგზის გვხვდება ტერმინი „გვარი“. ერეკლე მეფეს ერევნის ბრძოლაში აზატხანის წინააღმდეგ თავისი მეგობრებისთვის ასე მიუმართავს: „ასე ყველამ უწყით, რომ სიკვდილის შვილნი ვართ და ჩვენს გვარსა და სახელს ორი დღის სიცოცხლისათვის ნუ მოვაცივებთ“.

გვარი ქართველთა ყოფაში მტკიცედ რომ იყო გამჯდარი, ამას ლექსად თქმული ერთი ბრძნული გამონათქვამი ადასტურებს:

“ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა”.

გავეცნოთ სოფ. ტინისხიდში არსებული ოთხი ყველაზე დიდი გვარის ისტორიას, მათ წარმოშობას, სადაურობას. ერთ-ერთი მათგანი არის ავაზნელი.

ეს გვარი ამ ფორმით ისტორიულ წყაროებში არ გვხვდება, ნაწარმოებია სადაურობის მიხედვით (ავაზნელი, არაგვისპირელი, ალაზნისპირელი და ა.შ.).

ავაზნელი გვარადქცეული სადაურობის სიტყვაა. ჯავახეთში ყოფილა სოფელი ავაზნა. ზოგადი მნიშვნელობით: საქონლისათვის წყლის სასმელად წყაროსთან დადგმული ერთიანი ხისაგან გამოთლილი დიდი გობი.

სულხან-საბა ორბელიანი ავაზანს ასე განმარტავს: “ავაზანი-წყლის სადგური, წყლის საგუბარი”.

სოფ. ავაზანი ორია საქართველოში, ერთი გორის რაიონში, მეორე ჯავახეთში. რომელი ავაზნიდან არიან ტინისხიდელი ავაზნელები გადაჭრით მტკიცება ძნელია და საერთო აზრი არ არსებობს.

ტინისხიდში მცხოვრებ 78 წლის სოგრატ ავაზნელის ცნობით, ავაზნელები ახალციხის რაიონიდან არიან. ყოფილან გოგინაშვილები და ადგილობრივ ბატონთან დაპირისპირების გამო. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ჩამოსახლებულან ტინისხიდში. თუმცა არც მეორე ვარიანტის გამორიცხვა შეიძლება.

თუ გავიხსენებთ, რომ ერეკლე მეორემ რევაზ ამილახვარს 1754 წელს უბოძა ტინისხიდი, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მას ჩამოესახლებინა ავაზნელები ტინისხიდში., დაესახლებინა ერთ რომელიმე უბანში, და გვარიც აქედან მიეღოთ.

ტინისხიდში ერთ-ერთი გავრცელებული გვარია ანიაშვილი, ნაწარმოებია საკუთარი სახელისაგან - ანა, რაც ძველ ებრაულად საამოს, მადლიანს, სანდომიანს ნიშნავს.

ანიაშვილები ისტორიულ წყაროებში მე-18 საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება. ამ გვარის წარმოშობასთან ასეთი რამაა ცნობილი: ანიაშვილები თავდაპირველად ყოფილან რაჭველი მაისურაძეები. (არის მეორე ვერსიაც, რომ ისინი იყვნენ იაშვილები), მამის გარდაცვალების შემდეგ დედა ანია, სამი ვაჟით წამოსულა და დასახლებულა გორიჯვარში. დედის სიკვდილის შემდეგ მის

საპატივსაცემოდ სამივე ძმას გვარად აურჩევია ანიაშვილი. მათგან ორნი დასახლებულან ტინისხიდში, ერთი – კარბში.

იორამაშვილი ყველაზე გავრცელებული გვარია ტინისხიდში.

იორამ ძველ ებრაულად ნიშნავს „ღმერთი მაღალია“.

„იორამაშვილი, გვართ ბერძენნი იორის შვილები, მოსრულნი ძველადვე საბერძნეთით და მუნიტგან იწოდებიან იორამიშვილებად. აზნაურად მიღებულნი საკუთარი სახელი იორამ“.

1766 წლის განჩინებაში დემეტრე ამილახვრიშვილისა და მისი სახლიკაცის გაყრის საქმეში მოხსენიებულია იორამაშვილი მერაბა.

„იორამაშვილი მერაბა - ესენი თავესის (თავიანთი) მამულით ერგო ბატონს“.

რაც შეეხება მე-4 გვარს ყაზარაშვილს, მისი წარმოშობა ცოტა სადაოა. ამ გვარის ფუძის ყაზარას თავდაპირველი ფორმა შეიძლება იყოს ყაისარ, იგივეა რაც კეისარი (მეფე) ან ყაზარ თურქულად ყასაბი.

ეს გვარი სხვადასხვა ფორმით გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებში: ყაზარა-ტერ-ყაზარა. ყაზარაშვილი-ტერ-ყაზაროვი. როგორც ჩანს, ისინი იყვნენ როგორც ქართველები, ისე სომხები. (2.127-128).

ლიტერატურა:

1. ონომასტიკური კრებული, თბ., 1994;
2. ს. ალიმბარაშვილი, ტინისხიდის ისტორია, გორი. 2005;
3. რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, თბ., 2010.

რეზიუმე

ქართული გვარსახელების კვლევა შეუძლებელია თუ ადამიანი სრულყოფილად არ დაეუფლა ისტორიის მძიმე ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემებს.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული გვარსახელები დიდი ხნის წინ არის წარმოქმნილი. ქართული ისტორიული წყაროებიდან არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელთა მიხედვითაც ვგებულობთ, რომ ეს სოციალური ერთეული ისტორიის სიღრმეშია წარმოქმნილი.

ყურადღებას იქცევს –ელ სუფიქსიანი გვარების წარმოქმნა–განვითარება. ეს გვარები ძირითადად ადრეული საუკუნიდან გვხვდება ჩვენში და ტოპონიმიკურ გვარებად არის ცნობილი. ასეთებია: ტბელი, მაჩაბელი, ფხვენელი, ყანჩაელი და სხვები, რომელთა შესახებ წყაროები და ძეგლები მოგვითხრობენ. ეს ძეგლებია: დოდოთი, ბორცვის, ჯვარი, თიხრევი და სხვები.

სოფელ ტინისხიდში ოთხი დიდი გვარია. ესენია: ავაზნელი, იორამაშვილი, ანიაშვილი, ყაზარაშვილი.

FORMATION AND HISTORY OF THE GEORGIAN SURNAMENES

Eka Ioramashvili, The Third Year Student of Bachelor's Degree, Faculty of Humanities

Instructor: Nikoloz Otinashvili, Associate Professor

RESUME

The Georgian names and surnames historical research is impossible without complete study of the ethnic history. The Georgian surnames history was created a long time ago. According to the Georgian historical sources and lots of specific examples, we can easily understand that this social unit was created within the depth of the history. Much attention is paid to the derivation and development of the surnames with the suffix -el-. These kinds of surnames, such as Tbeli, Machabeli, Kancheli, etc. are known as toponymic ones and can be found in early centuries; they are mentioned by various sources and monuments, such as Dodoti, Bortsvi, Jvari, Tikhrevi, etc. There are four large surnames in the village of Tiniskhidi: Avazneli, Ioramashvili, Aniasvili, Kazarashvili.

სახარებასა ამასა შინა ლაზარე ჰქვია
ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ქართულმა ენამ ხალხთან ერთად მეტად გრძელი და საინტერესო გზა განვლო. მან ხელი შეუწყო ქართველ ტომთა გაერთიანებას. მას ემუქრებოდნენ დიდი იმპერიის ენები, მაგრამ ქართული ენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გარეგანმა ზეწოლამ ვერ შეარყია მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. საერთო სამწერლო ენამ კი დიდი როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში. ეროვნული კულტურის შექმნას დიდად შეუწყო ხელი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამაც.

ძველთაგანვე ქართველებს მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან, სპარსელებთან, სომხებთან, სირიელებთან. ამ ხალხთა ენებიდან ქართველ მოღვაწეებს უთარგმნიათ მრავალი ლიტერატურული, რელიგიური და სხვა ხასიათის ძეგლები, რომლებიც დღესაც შემონახულია.

ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ - გელათში, შატბერდში, იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონის მონასტერში, პეტრიწონში და სხვაგან დაარსდა სამწიგნობრო კერები, სადაც ქართველი ბერები თარგმნიდნენ წმინდა წიგნებს, ყალიბდებოდა ძველი და ახალი აღთქმის რედაქციები, იწერებოდა ორიგინალური ხასიათის თხზულებები.

1629 წელს რომში ლათინურ ენაზე დაისტამბა ნიკიფორე ირბახის ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

1643 წელს ისევ ლათინურ ენაზე დაიბეჭდა მაჯოს ქართული ენის გრამატიკა.

1834 წელს პარიზში დაიბეჭდა მარი ბროსეს „ქართული ენის გრამატიკა“. 1837 წელს კი მისი „ელემენტი ქართული ენისა“.

ქართულ ენას მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნა ავსტრიელმა მეცნიერმა ჰუგო შუხარდტმა.

1928 წელს ბერლინში დაიბეჭდა მეკელანის ქართულ-გერმანული ლექსიკონი.

საქართველოს გარეთ ქართველოლოგიური კვლევა წარმოებს მრავალ ქვეყანაში, კერძოდ: გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, აშშ-ში და სხვაგან. ეს იმიტომ, რომ ქართული ენის შესწავლის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ცივილიზაციის ძიება.

დიდმა სწავლულმა ნიკო მარმა შეიმუშავა ე.წ. იაფეტური თეორია, რომლის მიხედვით კაცობრიობის პირველი ენა ადამის ენაა, დედა ენა, რომელზეც მეტყველებდა ნოე, მისი ოჯახი და შეინარჩუნა იაფეტმა. მისი შთამომავალნი არიან: შუმერები, ხეთები, ურარტუელები, ხურიტები, იბერები, ე.ი. ქართველები. სწორედ ქართულ ენაშია შემორჩენილი ენათა ისტორიის თავდაპირველი შრე. მდიდარი ქართული ენა და დიალექტური ლექსიკა ამისი დასტურია.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ძველი ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებები. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“, რომლის პირველი ნაწარმოებია „ცხოვრება ფარნავაზისი“ (რომელიც იყო მეფე ქართლისა, ქართლოსიანი). თხზულება ძვირფას ცნობებს გვაწვდის ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებლის - ფარნავაზის შესახებ. მას შემდეგ, რაც ფარნავაზმა დაამარცხა ქართლის მეფის ძე აზო, თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა, ამის შემდეგ ყველა ქართველი ტომისათვის საერთო და საყოველთაო გახდა ქართული ენა. მემკვიდრე გვაუწყებს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი, ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

„ქება და დიდება ქართულისა ენისა“, ქართული ენის სადიდებელი ჰიმნია. იგი გვამცნობს ქართული მწიგნობრობის აღორძინებას. „ქებას“ მიაკვლია ალექსანდრე ცაგარელმა იმ ხელნაწერებში, რომელიც გადაწერილია იოანე ზოსიმეს მიერ და სწორედ ტრადიციით ამ თხზულების ავტორად ასახელებენ იოანე ზოსიმეს. თხზულების ავტორად იოანე ზოსიმე კორნელი კეკელიძემ მიიჩნია, ხოლო პავლე ინგოროყვამ ლექსთწყობის მიხედვით გაარკვია, რომ „ქება“ არის წარმართული ხანის თხზულება, ხოლო იოანე გადაწერია.

„ქებას“ შინაარსი ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა ბერძნულთან შედარებით დაწუნებულია, ლაზარესავით დამარხული, ის შემკული და კურთხეულია. ქართული ენა ბერძნულის მეგობარია, როგორი მეგობრებიც იყვნენ ნინო და ელენე, რომელთაგან ერთმა ქართველებს, მეორემ კი ბერძნებს უქადაგა სახარება. ისინი დები არიან. მეორედ მოსვლის დროს ქრისტე ქვეყანას განიკითხავს ქართულ ენაზე. ენას ეწოდება ლაზარე, რომელიც (ლაზარე) იყო იესო ნაზარეტელის მეგობარი, ძმა მარიამისა და მართასი. ლაზარე მოკვდა. ოთხი დღის მკვდარი ლაზარე ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა.

ქართული ენა ლაზარეა, ლაზარესთან გაიგივებული.

ჩვენ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა დიდი გზა გაიარა ჩვენმა ენამ მრავალსაუკუნოვან გზაზე. რატომ არის ენა ქართველი კაცის ბუნების, ხასიათის, ფსიქოლოგიის გამომხატველი. ჩვენმა ზეპირი და წერილი მეტყველების კულტურამ (დონემ) ჩრდილი არ უნდა მიაყენოს იმათ, ვინც ქართული ენა ტანჯვისა და სისხლის ფასად დღევანდლამდე მოგვიტანა და დაგვიბარა გავუფრთხილდეთ მას. რაშია ქართული ენის ჯადო? ამ კითხვას პასუხი გასცა დიდმა ნიკო მარმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმის ნებისმიერ ენაზე, იგი თავისი ბუნებით მსოფლიო ენაა“. ენა ცარიელი ბგერა არ გახლავთ, არც სიტყვაა მხოლოდ მისი მნიშვნელობა. ენა სიტყვა და საქმეა, თავდაპირველად განუყოფელი სიტყვა და საგანია ერთად შედნობილი. ასე, რომ სიტყვა თავდაპირველად საქმის გამომხატველია, მისი ცოცხალი სურათია.

ლიტერატურა:

1. ბ. კილანავა, ქართული დამწერლობის სათავეებთან, თბ., 1990.
2. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
3. ზ. სარჯველაძე, ქართლური სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
4. შ. მიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969.
5. ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
6. ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
7. გ. ნარსიძე, „ქება“, ისტორიული პარალელები, „მნათობი“, №4, 1986.
8. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
9. ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983.
10. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.

რეზიუმე

ქართულმა ენამ მეტად გრძელი და საინტერესო გზა განვლო. იგი ძლიერი აღმოჩნდა, ვერ შეარყია გარეგანმა ზეწოლამ მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ძველთაგანვე ქართველებს მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან, სპარსელებთან, სომხებთან, სირიელებთან. ამ ხალხთა ენებიდან ქართველ მოღვაწეებს უთარგმნიათ მრავალი ლიტერატურული, რელიგიური და სხვა ხასიათის ძეგლები, რომლებიც დღესაც შემონახულია.

ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოში და საზღვარგარეთ დაარსდა სამწიგნობრო კერები, სადაც თარგმნიდნენ წმინდა წიგნებს, იწერებოდა ორიგინალური ხასიათის თხზულებები.

1629 წელს რომში დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

1643 წელს დაიბეჭდა მაჯოს ქართული ენის გრამატიკა.

1834 წელს პარიზში დაიბეჭდა მარი ბროსეს „ქართული ენის გრამატიკა“.

ქართული ენისა და ქართველოლოგიური კვლევა წარმოებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მოღწეული მასალების მიხედვით ლექსიკოლოგიური და გრამატიკული მიღწევები ჩვენი ენისა ქრისტემდე უკვე არსებობდა, ხოლო შემდგომ კიდევ უფრო მეტი ბიძგი მიეცა.

„ქება და დიდება ქართულისა ენისა“ არის ჩვენი ერის სადიდებელი ჰიმნი. მისი შინაარსი ასეთია: ქართული ენა ლაზარესავით დამარბულია. ქართული ენა ბერძნულის მეგობარია, როგორც მეგობრებიც იყვნენ ნინო და ელენე, რომლებმაც ქართველებსა და ბერძნებს უქადაგა სახარება. მეორედ მოსვლის დროს ქრისტე ქვეყანას განიკითხავს ქართულ ენაზე. ქართული ენა ლაზარეა. ლაზარე მოკვდა, ოთხი დღის მკვდარი ლაზარე ქრისტემ გააცოცხლა.

ქართული ენა ლაზარეა, ლაზარესთან გაიგივებული.

„TESTAMENT IS NAMED AS LAZARE ITSELF“
The cultural-historical importance of the Georgian language
Nikoloz Otinashvili, Associate Professor
RESUME

The Georgian language has developed a long and interesting way. It proved to be strong and its grammatical structure and main lexicology have been preserved in spite of great pressure.

Since the old times Georgia had a close cultural relations with Greece, Prussian, Armenia and other countries. For centuries many literary, religious and other kinds of documents and works have been translated from these languages into Georgian by our scholars. There were many places in Georgia and where Holy books were written or translated and such unique materials are still retained.

In 1629 „Georgian-Italian dictionary“ was printed in Rome. In 1693 the Grammar of the Georgian language written by Majo was printed. In 1834 the Grammar of the Georgian language by Mari Brose was published in Paris. Today many scientists have been carrying out researches concerning the Georgian language.

According to the given materials the lexicological and grammatical achievements of our language were already existed BC and later they were much more developed.

„In Praise and fame of the Georgian language“ worships the Georgian language. Its plot is like this: The Georgian language is said to be buried as Lazare. It is blessed and immortal. It is as close friend of the Greek language as Nino and Helen were great friends who thought people of Greece and Georgia Testament. It is believed that Jesus Christ will judge and condemn us in Georgian when he will come to our world for the second time.

The Georgian language is identified with Lazare. As we know Lazare was dead and had been buried four days before: But ieszus Christ went to his grave and made him alive. He rose him to death.

Thus the Georgian language is regarded as Lazare, identified with Lazare itself.

ენისა და მეტყველების საკითხი ფერდინანდ დე სოსიურთან

ციცინო ლულუნაძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: მარიამ კობერიძე, ასოცირებული პროფესორი

ფრანგული სოციოლოგიური სკოლა, ყველაზე გავლენიანი მიმდინარეობაა დასავლეთ ევროპის თეორიულ ენათმეცნიერებაში. ამ მიმდინარეობის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია ფერდინანდ დე სოსიური.

ფერდინანდ დე სოსიურის ძირითადი შრომა, სადაც ფრანგული სოციოლოგიური სკოლის თეორიული მრწამსია წარმოდგენილი, არის: „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“, რომელიც დაიბეჭდა 1916 წელს.

ფერდინანდ დე სოსიურის „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“ ავტორის გარდაცვალების შემდეგ არის გამოცემული, მისი მოწაფეების ბალისა და სემეს მიერ; შრომას საფუძვლად დაედო სოსიურის საუნივერსიტეტო ლექციების ჩანაწერები.

როგორც არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, სოსიურის კონცეფციის საკვანძო პუნქტებს (ენის რაობის თვალსაზრისით) ქმნის:

- ა) გარჩევა ცნებისა ენა და მეტყველება;
- ბ) ენობრივი ნიშნის რაობის განსაზღვრა;
- გ) სინქრონული და დიაქრონული ენათმეცნიერების ურთიერთობის თავისებური გაგება.

სოსიური განასხვავებს სამ ცნებას: ა) „სამეტყველო ქმედება“, უფრო ზუსტად, „მეტყველების უნარი“, ბ) „მეტყველება“ ანუ „მეტყველება აქტი“, „თქმის აქტი“, გ) ენა.

იმ ზოგადი ფენომენის შიგნით, რომელსაც მეტყველების უნარი ეწოდება, სოსიური განასხვავებს ორ ფაქტორს: ენას და მეტყველებას (ჩიქობავა, 1983, გვ. 91). თამაზ გამყრელიძე აღნიშნავს, რომ ენათმეცნიერების ობიექტს ორი მხარე აქვს: ყველაფერი რასაც ადამიანები წარმოსთქვამენ, რაც ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მოლაპარაკის ნებაზე, წარმოადგენს მეტყველებას. ეს არის კერძო სამეტყველო აქტების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ფიზიკურ-ფიზიოლოგიური (ბგერათა წარმოთქმა) და ფსიქიკური (გადასვლა აღსანიშნვიდან აღმნიშვნელზე) ხასიათის მოვლენებს.

მოცემული ენობრივი კოლექტივის წევრებს, ე.ი. მოცემულ ენაზე მოლაპარაკე პირებს, აქვთ მეტყველების უნარი, რომლის გამოვლენას, ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ენა. მეტყველება არის ენის რეალიზაცია. ენობრივი სისტემა არსებობს მთელი ენობრივი კოლექტივის ფსიქიკაში შესაძლებლობათა სახით. იგი სამეტყველო აქტის იმ მონაკვეთშია, სადაც აღმნიშვნელი უკავშირდება აღსანიშნვს. სწორედ ამ კავშირის (და ენობრივ ნიშნებს შორის კავშირების) არსებობის გამო თანამოსაუბრეებს დაახლოებით

ერთნაირი ფსიქიკური ხატები უყალიბდებათ. მაშასადამე, ენა ფსიქიკური ფენომენია. იგი ამავე დროს ინდივიდუალურ სფეროსაც ეკუთვნის.

ენა კოლექტივში დამკვიდრებული სავალდებულო კავშირების, წესების ერთობლიობას წარმოადგენს; იგი სოციალური ფენომენია.

ფერდინანდ დე სოსიური ამბობს, რომ მეტყველებისაგან განსხვავებით, ენა სასრული სისტემაა, მისი არსებობა აუცილებელია იმისათვის, რათა მეტყველება გასაგები და კომუნიკაციისათვის გამოსადეგი იყოს. ამავე დროს, მეტყველება ენის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ცნებას ვერ დავაკავშირებთ აკუსტიკურ ხატთან (მაგალითად, სიტყვასთან) თუ ეს კავშირი წინასწარ არ გამოვლინდა სამეტყველო აქტში. ამდენად, ენა მეტყველების საფუძველიც არის და მისი პროდუქტიც.

ამგვარად, თამაზ გამყრელიძის აზრით, ენასა და მეტყველებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ამის შესაბამისად, პროცესს, რომელიც გულისხმობს ენის როგორც სისტემის ცალკეულ სამეტყველო აქტებში-მეტყველებაში რეალიზაციას, შეიძლება ენობრივი აქტივობა ეწოდოს. (გამყრელიძე, კიკნამე, შადური, შენგელაია, 2003, გვ. 27). ფერდინანდ დე სოსიური წერს, რომ სამეტყველო ქმედების შესწავლა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი, ძირითადი საკვლევი ნაწილის ობიექტია ენა, ანუ ისეთი რამ, რომელიც თავისი აზრით სოციალურია და ინდივიდისაგან დამოუკიდებელი. ეს მეცნიერება, წმინდა ფსიქიკური ბუნებისაა; მეორე, მეორეხარისხოვანი ნაწილის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს სამეტყველო ქმედების ინდივიდუალური მხარე, ე.ი. მეტყველება ბგერადობის ჩათვლით.

უეჭველია, ეს ორი საგანი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთის არსებობას გულისხმობს: ენა აუცილებელია იმისათვის რომ მეტყველება გასაგები და ეფექტური იყოს. მეტყველება კი აუცილებელია ენის ჩამოსაყალიბებლად. ისტორიულად, მეტყველება მუდამ უსწრებს ენას. როგორ შეიძლება ცნების სიტყვიერ ხატთან დაკავშირება, თუ ეს კავშირი სამეტყველო აქტში ჯერ არ აღნიშნულა? მეორე მხრივ, მშობლიურ ენას მხოლოდ სხვათა მოსმენით ვითვისებთ, მხოლოდ უთვალავი ცდის შედეგად დაიღეპება იგი ჩვენს გონებაში. მეტყველება განაპირობებს ენის ცვლილებას. ჩვენი ლინგვისტური ჩვევები იცვლება სხვათა მოსმენით მიღებული შთაბეჭდილებების ზეგავლენით. ასე რომ, ენასა და მეტყველებას შორის ურთიერთდამოკიდებულება დგინდება. ენა მეტყველების იარაღიცაა და პროდუქტიც, ყოველივე ეს მათ ხელს არ უშლის ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ რამეს წარმოადგენდნენ.

ფერდინანდ დე სოსიური ამბობს, რომ ენა კოლექტივში არსებობს, როგორც ერთობლიობა იმ ანაბეჭდისა, რომელიც თითოეულ ადამიანს აქვს თავში, მსგავსად ლექსიკონისა, რომლის იდენტური გზემპლიარებით სხვადასხვა ინდივიდი სარგებლობს.

რა სახით ვლინდება ამავე კოლექტივში მეტყველება? მეტყველება არის ჯამი ყველაფრისა, რასაც ხალხი ამბობს. იგი მოიცავს: ა) ინდივიდუალურ კომბინაციებს, დამოკიდებულს მოლაპარაკეთა ნებელობაზე. ბ) ამ კომბინაციათა რეალიზაციისთვის აუცილებელ და მოსაუბრის სურვილით განპირობებულ ბგერადობის აქტებს. (ფერდინანდ დე სოსიური, 2002, გვ.11).

ფერდინანდ დე სოსიურის აზრით, მეტყველებაში არაფერია კოლექტიური. მისი გამოვლენა ინდივიდუალურია და მომენტალურია. იგი მხოლოდ კერძო შემთხვევათა ჯამია.

ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით უაზრო იქნებოდა ერთნაირი დამოკიდებულება ენისა და მეტყველების მიმართ. სამეტყველო ქმედება მთლიანობაში შეუცნობადია, რადგან ის არაერთგვაროვანია, შემოთავაზებული განსხვავება და სუბორდინაცია კი შუქს ჰფენს ყოველივეს. (ფერდინანდ დე სოსიური, 2002, გვ. 23).

სოსიური გვეუბნება, რომ უკიდურეს შემთხვევაში ორივე დისციპლინას შევუწარმოთ სახელი „ლინგვისტიკა“, ოღონდ იგი არ უნდა ავურიოთ საკუთრივ ლინგვისტიკაში, რომლის ერთადერთ ობიექტსაც ენა წარმოადგენს.

ფერდინანდ დე სოსიური „სიტყვას“ და „ენას“ უკავშირებს დიაქრონული და სინქრონული ენათმეცნიერების გარჩევას ერთმანეთისაგან.

მისი აზრით, სინქრონული ენათმეცნიერება შეისწავლის იმ ლოგიკურსა და ფსიქოლოგიურ მიმართებებს, რომლების აკავშირებენ თანაარსებულ ელემენტებს და ქმნიან სისტემას. შეიწავლის რა მათ ისე, როგორც ისინი აღიქმებიან ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერების მიერ.

დიაქრონულ ენათმეცნიერების შესახებ კი სოსიური წერს, რომ იგი შეისწავლის იმ მიმართებებს, რომლებიც აკავშირებს ელემენტებს თანამიმდევრობით, არა როგორც აღქმულს ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერების მიერ, - არამედ ელემენტებს, რომლებიც ერთი მეორეს ცვლიან, მაგრამ არ ქმნიან სისტემას. (ჩიქობავა, 1983, გვ. 97).

რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი დიაქრონული თუ სინქრონული ენათმეცნიერება? სოსიური ამბობს: უპირველეს ყოვლისა ისინი არ არიან ერთნაირი მნიშვნელობის. სრულიად ცხადია,

რომ სინქრონული ასპექტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დიაქრონული, რადგან მოლაპარაკე მასის თვალსაზრისით მხოლოდ ისაა ნამდვილი და ერთადერთი რეალობა. ...თუ ენათმეცნიერება მიიღებს დიაქრონულ პერსპექტივას, დაინახავს არა ენას, არამედ მხოლოდ მოვლენათა რიგს, რომლებიც ენას სახეს უცვლიან. ხშირად ამტკიცებენ, რომ არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე შევიცნოთ გენეზისი მოცემული მდგომარეობისა, ცხადს ქმნიან ჩვენთვის მის ნამდვილ ბუნებას და გვიცავენ ერთგვარი ილუზიებისაგან, მაგრამ ამით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ დიაქრონია არაა თვითმიზანი. (ჩიქობავა, 1983, გვ. 98).

დავსვით კითხვა: რა არის ფასეული სოსიური კონცეფციაში? ყველაზე მნიშვნელოვანია ამ მხრივ ენის სოციალური ბუნების გახაზვა და ენობრივი ნიშნის დახასიათება, როგორც ნებისმიერისა აღსანიშნის მიმართ და არანებისმიერისა მოლაპარაკე ინდივიდის მიმართ, აგრეთვე ენის დახასიათება, როგორც ნიშანთა სისტემა.

ენის ორი ძირითადი ფუნქციიდან-საკომუნიკაციო (ენა-ურთიერთობის საშუალება) და ექსპრესიულიდან (ენა-გამოსახვის საშუალება) სწორედ პირველია წამყვანი. ეს რომ ასეა, ჩანს შემდეგიდან:

ა) ენათმეცნიერება საკომუნიკაციო ფუნქციებს ემყარება, როცა განასხვავებს „ცოცხალს“ და „მკვდარ“ ენებს: თუ ეს ფუნქცია აქვს, ენა „ცოცხალია“; თუ ეს ფუნქცია არ აქვს, ენა „მკვდარად“ მიიჩნევა.

ბ) თვით წარმოშობაც კი ენისა, საკომუნიკაციო მიზნებთანაა დაკავშირებული: ყველაზე გავრცელებული და დასაბუთებული ის აზრია ენის წარმოშობის შესახებ, რომლის თანახმადაც ენა წარმოიქმნა, როგორც ურთიერთობის საშუალება. ძნელი სათქმელია შექმნიდა თუ არა „ადამიანთა“ კოლექტივი ენას, რომ ის საჭირო ყოფილიყო მხოლოდ აზრთა და განცდათა გადმოსაცემად, ე.ი მხოლოდ ექსპრესიული ფუნქციისთვის და არა ურთიერთობის საჭიროებისთვის. (ჩიქობავა, 1983, გვ. 99).

ენა სოსიურისთვის ნიშანთა უბრალო გროვა როდია, არამედ ესაა „ნიშანთა სისტემა“. ეს ცნებაც სოსიურისეული კონცეფციის დადებით მომენტს ქმნის: ამით ხაზი ესმის იმ ფაქტს, რომ ყოველი ენა მთლიანობას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ფერდინანდ დე სოსიურის შრომა „ზოგადი ენათმეცნიერის კურსი“ დამუშავებულია და გამოსული ავტორის სიკვდილის შემდეგ და ავტორს არ ეკუთვნის შრომის საბოლოო რედაქცია, სოსიურის შეხედულებანი ქმნიან თანმიმდევრსა და მთლიან კონცეფციას.

აღნიშნული თემიდან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ თავიდანვე ენის პოზიციაზე უნდა დავდგეთ და მივიჩნიოთ იგი სამეტყველო ქმედების ყოველგვარი გამოვლინების ნორმად. მართლაც, ყოველგვარი ორმხრივი მოვლენებიდან მხოლოდ ენა იძლევა დამოუკიდებელი განსაზღვრის და საიმედო საყრდენის მოცემის საშუალებას.

ლიტერატურა:

1. გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია-თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
2. ფერდინანდ დე სოსიური, 2002 - ფერდინანდ დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2002.
3. ჩიქობავა, 1983 - არნოლდ ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, თბ., 1983.

რეზიუმე

ფრანგული სოციოლოგიური სკოლა, ყველაზე გავლენიანი მიმდინარეობაა დასავლეთ ევროპის თეორიულ ენათმეცნიერებაში. ამ მიმდინარეობის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია ფერდინანდ დე სოსიური.

იმ ზოგადი ფენომენის შიგნით, რომელსაც მეტყველების უნარი ეწოდება, სოსიური განასხვავებს ორ ფაქტორს: ენას და მეტყველებას.

ფერდინანდ დე სოსიური „სიტყვას“ და „ენას“ უკავშირებს დიაქრონული და სინქრონული ენათმეცნიერების გარჩევას ერთმანეთისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ფერდინანდ დე სოსიურის შრომა „ზოგადი ენათმეცნიერის კურსი“ დამუშავებულია და გამოსული ავტორის სიკვდილის შემდეგ და ავტორს არ ეკუთვნის შრომის საბოლოო რედაქცია, სოსიურის შეხედულებანი ქმნიან თანმიმდევრსა და მთლიან კონცეფციას.

THE QUESTION OF THE LANGUAGE AND LITERATURE ACCORDING TO FERDINAND DE SAUSSURE

Tsitsino Ghughunadze, The Third Year Student of Bachelor's Degree, Faculty of Humanities

Instructor: **Mariam Koberidze**, Associated Professor

RESUME

A French sociological school is the most influential course in theoretical linguistics of Western Europe. The most prominent representative of the above mentioned course is Ferdinand de Saussure.

Within the general phenomenon which is called the ability of speech Saussure differs two factors: language and speech.

Ferdinand de Saussure connects "words" and "language" to analysis of diachronic and synchronous linguistics from each other.

Despite the fact that Ferdinand de Saussure's work "The General Linguistics Course" was developed and published after the death of the author and the final edition of the work doesn't belong to the author himself Saussure's views create the consecutive and entire conception.

სექცია „ისტორია“

შიდა ქართლის ისტორიიდან (სოფელი გერი და გერისთობის დღესასწაული)

გიორგი სოსიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

სოფ. გერი მდ. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე მდებარეობს. მას გვერდით პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი გერის ხევი ჩამოედის. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „ხოლო ვანათს ერთვის დასავლეთიდან ლიახვს ხევი გერისა, გამოსდის მსხლების მთას და დის სამხრით, ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს. ხოლო ვანათსა, საცხენისა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, ღრმა კლდიანი ძნად განსავალი, გამოსდის გერის და შუაცხვირის მთას, შუაცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი“ [1; 363]. საინტერესოა სოფლის სახელწოდება. გერის ეტიმოლოგიას მკვლევარი ჯ. გვასალია ზანურის ნიადაგზე ხსნის: „პატარა ლიახვის ხეობის ზოგი ტოპონიმიც შეიძლება აიხსნას ზანურის ნიადაგზე. პატარა ლიახვს მარჯვნიდან გერის ხევი ერთვის, რომლის სათავეში არის ქართლში განთქმული გერის სალოცავი. აქ სალოცავად მოსული მოსახლეობა ხატს საქონლის მფარველობასა და მგლებისაგან თავდაცვას სთხოვდა. „გერი“ მეგრულად მგელს ნიშნავს და შესანიშნავად უდგება სალოცავის შინაარსს. გერი და ლომისა შესაძლოა საერთო წარმოშობისანი გამოდგნენ თუ ლომისაში სვანურ ლომს//ლემ-ს დავინახავთ, რომლის თავანისცემაც გენეტიკურად მგლის (ძაღვის) კულტამდე მიდის [2; 165]. ჯ. გვასალია ასეთივე მსგავსებას ხედავს მეჯუდასა და ზანურ სახელ მეჯუდის (მაჯუდის) შორის. მისი აზრით სვანური წარმოშობისაა ისროლი, სადაც ფუძეა ისრ., რაც სვანურად ისლს ნიშნავს და სხვ. [2; 165]. აღსანიშნავია, რომ დაღესტანში არსებობდა სოფ. გერგებელი [3; 101]. ამ სოფლის სახელწოდების ფუძე (გერ) „გერის“ მსგავსია. ამავე ფუძით საქართველოშიც არსებობდა სოფელი გერმუხა, სადაც პალეოლითის პერიოდის ძეგლებია მიკვლეული [2; 48]. ოსები ამ სალოცავს ჯერ ძუარს უწოდებენ. დოკუმენტურ წყაროებში გერი XVII საუკუნიდან გვხვდება, როგორც ჩანს, ამ ტერიტორიებზე თავიანთი გავლენა არაგვის ერისთავებს ჰქონდათ მოპოვებული, ერთ-ერთი ირკვევა, რომ ნუგზარ არაგვის ერისთავმა გერი რამდენიმე სოფელთან ერთად სვეტიცხოველს შესწირა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. კს: ტე: ესე წიგნი მოგახსენე... სვეტსა ცხოველსაო, მე ერისთავმან **პატრონმან** ნუგზარ(და ძეთა ბაინდურთ და გ-იგ) ასე რომ ჩვენი სამკვიდრო გერი და გერისთავი (ხაზგასმა ჩვენია – გ. ს.) სვეტიცხოველისათვის შეეწირა მეფეთა... კიდევ არბო სვენასმანი სვეტიცხოველისა იყო და ეს ჩუენ მოგართვით ქორდს ჩუენი სამკვიდრო კვამლი სამი ბექნიაშვილი ირემა და სხვ.“ [14; 441]. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, გერის გარდა ყოფილა ასევე გერისთავი. გერი სავარაუდოდ ორად იყო გაყოფილი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ არაგვის ერისთავი მას სამკვიდროს, ანუ მამა-პაპის საკუთრებას უწოდებს. წყაროებიდან არ ჩანს რომელ საუკუნიდან მოიკიდეს პატარა

ლიახვის ხეობის ამ ნაწილზე ფეხი არაგვის ერისთავებმა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მათი გავლენა ამ ტერიტორიაზე სულ მცირე ერთი საუკუნით ადრე მაინც გავრცელდებოდა. გერი მთელს ქართლში თავისი სასწაულდმოქმედი სალოცავით იყო ცნობილი, მაგრამ ძალზე საინტერესოა, სვეტიცხოვლისათვის შეწირულ მამულების ჩამოთვლისას, რატომ არ არის დოკუმენტში ნახსენები გერის წმინდა გიორგის ტაძარი, რომლის დაარსებას გერის ქრონიკა V საუკუნეში მოღვაწე ქართლის მეფეს ფარსმანს მიაწერს (ამაზე ქვემოთ შევხერდებით). გერში შემორჩენილ ტაძარს მეცნიერები განვითარებულ შუასაუკუნეებს მიაწერენ. კრებულში „შიდა ქართლი“, სადაც აღნიშნული რეგიონის არქიტექტურული ძეგლებია შეტანილი, ვკითხულობთ: „გერის წმინდა გიორგის ეკლესია განვითარებული შუასაუკუნეები, მოგვიანებით შეკეთებული. მაღალ მთაზე მდგარი დარბაზული ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის თლილი ქვით. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია ბრტყელი, ნაცრისფერი ქვით, წყობა შერეულია. ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით კოლოფა აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით ერთი ფართო თაღოვანი, ხოლო სამხრეთით ორი სწორკუთხა ნიშა აქვს; აქედან ერთ-ერთი უფრო ღრმაა. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვაა. კონქი ნახევარსფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ერთსაფეხურიანი სოლეაა. ეკლესიის კამარა შეისრულია. ჩრდილოეთ კედელში მაღალი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სამხრეთ კედლის წყობაში რამდენიმე მცირე ნიშაა მოთავსებული. ინტერიერი შებათქაშებულ-შელესილია. იატაკი მოგებულია სწორკუთხა ქვის ფილებით. დასავლეთი შესასვლელი შიგნით თაღოვანია, გარედან – არქიტრავული. კარი ნაოთხალია. სამხრეთის ფართო, თაღოვანი შესასვლელი მინაშენს უკავშირდება. მინაშენი გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთით – შიგნით სწორკუთხედი, გარედან თაღოვანი სარკმელი აქვს. მინაშენში არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა. დასავლეთ ფასადის წყობას ებჯინება ორსართულიანი სამრეკლო. სამრეკლოს თაღები ეყრდნობა მრგვალ კოლონებს, რომლებიც დაგვირგვინებულია მარტივ პროფილიანი კაპიტალებით. აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ, ოდნავ მარცხნივ ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. მინაშენის აღმოსავლეთ სარკმელს კარგად თლილი ქვები აჩარჩობს. ეკლესიის კარნიზი თარო-ლავგარდანია. საბურავად გამოყენებულია თუნუქი. ეკლესიასთან მისასვლელი აღმოსავლეთიდანაა. ფართო კლდეკარი მასიურ ლოდებს ეყრდნობა. გარშემო შეინიშნება გალავნის ფრაგმენტები [15; 43-45]. ტაძრის გალავანი XX საუკუნის 70-იან წლებში სრულყოფილად გამოიყურებოდა. ის ასეთი სახით უნახავს ისტორიკოს სერგი მაკალათიას: „მთაზე ჩანს სოფ. გერი, რომელიც ხუთ უბნად არის გაყოფილი. სოფლის ზემოთ მაღალი კლდეა, სადაც გერის წმინდა გიორგის ეკლესია დგას. ეკლესიის მოედანი მცირეა, მას გალავანი აქვს შემორტყმული. გალავნის კარიბჭე ნაგებია თლილი ქვით და თავზე მოკვეთილია ლომის თავი. ეკლესია ნაგებია ქვაფიქლით. წინათ აქ ძველი კოშკი ყოფილა, ის დაუნგრევიათ და ეკლესიისთვის ეკვდერი მიუშენებიათ 1879 წელს. ეკლესიის დასავლეთ მხარეზე მიშენებულია სამრეკლო. ეკლესია დარბაზულია, მოცულობით პატარა და ცარიელი. ეკლესიის გარშემო რაიმე სხვა სიძველე არ მოიპოვება. არის ორიოდე ქოხი, სადაცა ღამისმთევლები დგებოდნენ. გერის წმ. გიორგი ითვლებოდა სულით დაავადებულთა მკურნალად და, ვისაც მისი მიზეზი გამოუვიდოდა, იქ მიჰყავდათ, გერის წმ. გიორგის მის განკურნებას შესთხოვდნენ. გერის ეკლესიის აშენებაზე არსებობს ასეთი თქმულება: ქართლის მეფეს ფარსმანს (VI) შეურთავს აფხაზეთის მთავრის ასული ხვარაზმა, რომელსაც მოჰყოლია ვაჟი ვარამადასადი. ხვარაზმას მზითევში ჰქონია მოჭედილი ნაწილიანი ხატი წ. გიორგისა. მეფე უშვილო ყოფილა და სიცოცხლეშივე ეს ნაწილიანი ხატი თავისი გერისათვის (ვარამადასადისათვის) უბოძებია. სპარსელების შემოსევისას მეფეს თავისი გერი მთაში გაუხიზნავს, მთის წვერზე აუშენებია ეკლესია და ხატიც იქვე დაუსვენებია, სოფელსაც ამის გამო გერი დარქმევია. რასაკვირველია ეს თქმულება არ გვამღვეს გერის სახელწოდების მეცნიერულ განმარტებას. ოსები მას „ჯგერმუარს“ უწოდებენ. ქართული გერი და მისგან წარმოებული ოსური ჯერან (ჯგერ) იგივეა რაც სვანური ჯგვრან და მეგრული ჯგეგ(ჯგეგე და გეგე). ესეც გიორგის, ანუ ჯგეგ გიორგის (წმ. გიორგის) ნიშნავს. გერის წმ. გიორგის ხატობა ქართლში ორ ადგილს იმართებოდა: სოფელ გერსა და არბოში. გერი იყო ამ ხატის მთის საბრძანისი, არბო კი – ბარისა. გერის შესახებ ასეთი თქმულებაც არსებობს: წმინდა გიორგი რომ უწამებიათ, ასო-ასო აუქნიათ. მისი მკლავი და თავი გერში დაუმარხავთ, ამ ადგილსაც ამის გამო თავგერი ეწოდაო. გერის გიორგის ძმებიც ჰყოლია: არბოს ჯვარი, ატოცის წმინდა გიორგი და სარკის წმ. გიორგი (ხვედურეთშია). გერისთობა იწყებოდა 27 აგვისტოს და გრძელდებოდა სამ კვირას: პირველი – თავგერითობა, მეორე შუაგერითობა და მესამე – გერის ბოლო. გერის ბოლო არბოში იმართებოდა და აქედან მლოცავები პირდაპირ იქ გადადიოდნენ. მლოცავები გერში ღამისთევით დგებოდნენ და იქ სხვადასხვა რიტუალს ასრულებდნენ – ხოხვით შემოუვლიდნენ ეკლესიას, ვისაც შეთქმული ჰქონდა, ისინი ცეკვითა და მუსიკით. მოჰქონდათ მრავალი სახის

შესაწირი: სანთლისაგან გაკეთებული ადამიანის გამოსახულება თეთრებში გამოწყობილი, ბეჭდები, საყურეები და სამაჯურები. ვისაც შეთქმული ჰქონდა კისერზე რკინის ჯაჭვს – „დადიანურს“ დაიდებდა და ასე სამჯერ შემოუვლიდა ეკლესიას. მზის ჩასვლისას მლოცავი შეუდგებოდა ღამის თევის სამზადისს: აბინავებდნენ საქონელს, მორთავდნენ ბინებს და სხვ. დადამებისას ეკლესიაში სანთლებს ანთებდნენ: გაისმოდა ხატის ქადაგის ვედრება [10; 59-62.] როგორც ზემოთ მივუთითებდით, გერის ტაძრის დაარსებას „გერის ქრონიკა VI საუკუნეში მოღვაწე ქართლის მეფეს – ფარსმანს მიაწერს. გერის ქრონიკის შემდგენელია სოფ. არბოს მკვიდრი დეკანოზი იაკობ ლომოური, რომელსაც გერის ტაძარში უმსახურია და ტაძრის ისტორიაც სწორედ იქ შეუდგენია. ქრონიკაში მოთხრობილია სოფელ გერის ისტორია და გერის წმინდა გიორგის ტაძრის დაარსების ამბავი. იაკობ ლომოური ცნობილი ხალხოსანი მწერლის ნიკო ლომოურის წინაპარი იყო. მის მიერ შექმნილი ქრონიკა 1911 წელს ეპისკოპოს კირიონის (მომავალში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II) ხელში მოხვედრილა, რომელსაც ხელნაწერი საქართველოს ეროვნული მუზეუმისათვის შეუწირავს. გერის ქრონიკა ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში [11; 3]; ქრონიკაში ვკითხულობთ: „ჟამთა უკუე საქართველოს მეფე ფარსმან მეოთხის ბაკურ მეფის შემდგენისათა რომელმანცა ცოლად მოიყვანა აფხაზეთის დიდის თავადის თავთორის ასული ხვარამზე, რომელსაცა ჰყვა პირველისთანა ქმრის წული, წოდებული ვარამისად. და ამას ხვარამზედა რა იქორწინა ხსენებულმან ფარსმან მეფემან, მისისა მდიდრულისა მზითვებისა გარდა ის ჰყვაცა შეჭედილი ხატი საღმთოსა გიორგისა რომელი მიუბოძა ახალთა რომის კეისარსა საბერძნეთისასა ნიჭად ერთგულობისა, ესე ვარამი გერი მისი ჰყვა ვითარცა მემკვიდრე თვისი მეფისა ვინათაგან თვით იყო უძეო, და სიცოცხლესა თვისსა, ხატი ესე ნაწილები დიდის გიორგისსა მოუბოძა მეფემან გერსა თვისსა და მიზეზისა გამო სპარსთა მიერ აოხრებასა ესე მეორედ ქართლისა ვერდარა ეძლო ფეხზედ დგომაი, არამედ აღმოუჩინა გერსა თვისსა, და მისცა ხეობაი ესე და მთა იგი, სადაცა ზდეურნი დიგალნი ოვსნი შემოასხნა და დააშენა ვაკესა მას ზედა, ხოლო წვერსა მისსა მთისასა ეკლესიაი, მისსავე სახელსა ზედა აღაშენა შუენიერი და არა დიდი, დიდისა მას სოფელსა უწოდა დიდი გერისა, ხოლო ზდება მისსა სახელსა ზედა ეკლესიასა დიდისა გერისთავი და შემდგომად აღშენებისა ამისა დიდისა სოფლის და მისისა ეკლესიისა, დედოფალი მიიცივალნეს და მერმელა მეფეცა, დაშთა სახელითა ამით ადგილი იგი შემდგომად მეფეთაგან საუფლისწულოდ იწოდებოდა, ვიდრე სახელოვანის მეფის თამარისადმე, ხოლო ამის რა ქართლსა შინა ჰყო სასურველი მშვიდობაი თვით ამისა დედოფლის წარსაგებელი აღშენებულს ვაკეზე ეკლესიისა შინა ბრძანა შთამოყვანება დიდის პატივით სასწაულმოქმედისა მის ნაწილსა და ვიდრე აქამომდე განისვენებს მას შინა, მცველი მეფეთა და ერთა.“ [11; გვ. 3]. გერის მონასტრის ქრონიკაში დაცული ცნობებს იმეორებს ასევე ალექსანდრე გარსევანოვი ჟურნალ ცისკრის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში: „არბოს ანუ გერით ხევის წმინდა გიორგის ეკლესიის აღშენებისათვის“, იგი ქრონიკაში არსებულ ცნობებს ოდნავ განსხვავებული ვარიაციით გადმოგვცემს, მაგ. „ქრონიკაში“ ფარსმანის გერის სახელია ვარამი, ხოლო ალექსანდრე გარსევანოვის წერილში ვარამადსადი. „ქრონიკაში“ დედოფალს ჰქვია ხვარამზე, გარსევანოვთან ხვარაზმშა. გარსევანოვის მიხედვით, „ხოლო ადგილი იგი (გერი – გს.) დაჰშთა სახელითა ამით დღევანდლად დღემდე, რომელიცა შემდგომად მეფეთაგან საუფლისწულოდ იწოდებოდა. ვიდრე სახელოვნისა, და დიდებულისა და ძლევამოსილისა მეფისა თამარისადმდე. განაჩინა რა თამარმან სასურველი მშვიდობა ქართლსა შინა აღაშენა სოფელი არბო, წელსა თრპვსა (1186) და მუნ თვისითა წარსაგებელითა აღშენებულსა ვაკეზედ, ეკლესიასა შინა, ჰბრძანა დიდის პატივითა ჰშთამოყვანებაი საკვირველმოქმედისა და ძლევამოსილისა გიორგის ნაწილსა, თუესა აგვისტოსა. ხატი იგი აქამომდე განისვენებს მას ეკლესიასა შინა. მცველი და დიდი შემწე მეფეთა და ერთა მათთა. ამის მიზეზისათვის განწესებულ არს, იმ დღიდან ქართველ ერისაგან დღეობა 28-სა მარიამობისთვისასა კვირა დღეს, რომელსაცა უწოდებენ გერისთობასა არბობასა, სადაც შეიკრიბებიან სალოცავად მრავალნი ხალხნი, ქართლიდამ, იმერეთიდამ, ტფილისიდამ და კახეთიდამ“ [18; 3-4]. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, გერში მეფე თამარს წმინდა გიორგის ნაწილები დაუსვენებია. განხვავებულ ცნობას გვაწვდის ამის შესახებ ნ. ლომოური, მისი გადმოცემით გერში წმინდა გიორგის თავის სარქველი ესვენა [7; 72]. როგორც ქრონიკის ავტორის ცნობიდან ჩანს გერში დაბრძანებული ყოფილა შეჭედილი წმინდა გიორგის წმინდა ნაწილებიანი ხატი. ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ ასეთი დიდი სიწმინდის მქონე სალოცავი, ვახუშტის თავის აღწერაში ნახსენები არ აქვს. თუმცა გერის მთის მიდამოებზე საუბრისას იგი იხსენიებს სპარსის წმინდა გიორგის: „კეხვის აღმოსავლეთიდან ლიახვს ერთვის ხევი სვერსა და ქემერტს შუა ჩამოვარდების ჩრდილოდამ გამოსდის ამასა და გერის შორის მთას. ამ მთის თხემზედ არს ეკლესია სპარსის წმინდის გიორგისა და არს ხატი დიდი ოქროსი. კვლავად სვერიდამ წარივლის მთა ტყიანი ჩრდილოთ, და სადაცა მოდრკების ლიახვი, მოდრკების მთა ესეცა წარივლის აღმოსავლით და მიადგებისგერის მთასა“ [1;

77]. ვახუშტის მიერ მოხსენიებული სპარსის წმინდა გიორგის ტაძარი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობაში სოფ. ძარწემის ჩრდილოეთით 3-4 კმ-ის დაშორებით. რომელიც ასევე განთქმული სალოცავია მთელს ქართლში [9; 78-80]. საინტერესოა რატომ გამორჩა ვახუშტის ექსპედიციას გერის წმინდა გიორგის სალოცავი და წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატი? ხომ არ გააიგივა მან სპარსის და გერის წმინდა გიორგის ხატები? გერის წმინდა გიორგის ტაძარში დაბრძანებული ყოფილა გერის დიდი ჯვარი, რომელიც შემდეგ XIX საუკუნეში ქსნის ერისთავების მამულში იკორთის წმ. აბოს ეკლესიაში გადაუტანიათ. ჯვარზე ცნობილ ფრანგ ქართველოლოგს მარი ბროსეს ასეთი წარწერა ამოუკითხავს: „შემოგწირე მე თავყელაშვილმა დავით, წმინდასა გიორგის გერისათვის, ჩვენის სულის საოხებოთ, ჩემი შვილის სადღეგრძელოდ. ვინც წაიკითხოთ, შენდობა ბრძანეთ“ [10; 41]. გერის წმინდა გიორგის სახელზე დაწესებული იყო გერისთობის დღესასწაული. გერის სალოცავში დაწყებული დღეობა გრძელდებოდა არბოს წმინდა გიორგის სალოცავში, სადაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ მლოცველები. არბოს წმინდა გიორგი გერის უმცროს ძმად ითვლებოდა. ს. მაკალათიას თავის ნაშრომში მოხსენიებული აქვს მლოცველთათვის ქედზე დასადგამი დადიანური ჯაჭვი, რომელიც დადიანების შეწირული უნდა იყოს გერის სალოცავისათვის. ასეთი ჯაჭვები წმინდა გიორგის სახელობის სხვა ტაძრებშიც ინახებოდა. აკად ივ. ჯავახიშვილი წერს: „ამ საყდარში(იგულისხმება გორიჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი – გ.ს.) ინახება დიდი მძიმე რკინის ჯაჭვი. როცა მლოცველი, რომელსაც წმიდა გიორგისათვის შეთქმული აქვს, ეკლესიის კარზე მივა, ამ რკინის ჯაჭვს კისერზე დაიდებს და სამჯერ გარს შემოუვლის ხოლმე. ამ შემთხვევაშიც შენახულია ძველი ადამიანის მსხვერპლის შეწირვის სიმბოლური ჩვეულება.“ [17; 54]. გერის სალოცავში გერისთობის დღესასწაულზე, ქართული ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. სწორედ ამ სალოცავში უნახავს ცნობილ ხალხოსან მწერალს ეკატერინე გაბაშვილს დიდი ქართველი შექსპიროლოგი ივანე მაჩაბელი, რომელსაც სრულიად მცირე ასაკში სამოციქულოს აკითხებდნენ. ევ. გაბაშვილი იგონებს: „ცხრა თუ ათი წლისა ვიქნებოდი, როდესაც პირველად ვნახე ვანო მაჩაბელი, იმ დროს ციებამ დამიგდო და ბებიაჩემმა მკითხავის რჩევით გერისთავში წამიყვანა. ეკლესიის ეზო სავესე იყო ხალხით და დაჩარდახული ურმებით. აქა-იქ დიდი ღვინები იყო გაჩაღებული და ჩვეულებრივი ჯვარობის ჟრიამულისაგან ყურთასმენა აღარ იყო, მამაჩემს ხელმოკიდებული დავყავდი ერში და მიხსნიდა გერისთობის ბაზრის მნიშვნელობას ზემო ქართლის ცხოვრებაში. ეკლესიაში წირვა იდგა. ხალხი შედიოდა ხატის სამთხვევად და პარაკლისის გადასახდელად, ჩვენც იქითკენ ვიწვევდით, რამდენადაც ხალხის ტალღა ნებას გვაძლევდა. უცებ ხმა გავარდა სამოციქულოს სულ პაწაწინა ბავშვი კითხულობსო და ხალხი უფრო აჩოჩქოლდა და ეკლესიის შესავალს მიაწყდა. მამაჩემმა ფეხს აუჩქარა, ხელი უფრო მაგრად ჩამჭიდა და რამდენიმე წამის შემდეგ ეკლესიაში შემიყვანა. ხატების წინ მრავალი სანთელი ენთო, მაგრამ ეკლესიაში მაინც ბნელოდა, პატარა საყდრის ვიწრო სარკმლებიდან საკმაო სინათლე არ შემოდიოდა და ხალხს ვერ ატანდა. ამ ბინდში მკაფიოდ მოჩანდა მხოლოდ ხელში აყვანილი რვა წლის ბავშვი, რომელსაც მარჯვენა ხელში კელაპტარი ეჭირა და წინ გადაშლილ უშველებელ წიგნს კითხულობდა“ [16; 22-23]. გერისთობის დღესასწაულზე ძვირფასი ცნობებია შემორჩენილი XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესის ფურცლებზე. გაზ. „დროების“ კორესპონდენტი გიორგი ლიახველი (ჩოჩიშვილი) წერდა: „მზე ჩასვლას აპირებდა, როდესაც ჩვენ მივალწიეთ სოფ. გერს. ამ სოფელში ერთ კლდეზე იმყოფება ეკლესია, რომელსაც გერის წმინდა გიორგის ეძახიან. სწორედ ამ ეკლესიის დღეობა იყო, როდესაც ჩვენ იქ ავედით. საყდრის წინ გაშლილა ტრიალი მინდორი; აქ ხშირად იმართება სხვადასხვა თამაში; მარულა, კრივი, ჭიდაობა, და სხვანი. მინდვრის ნაპირას არის ერთი ძველი მუხა, რომლის ქვეშ იმართება ხოლმე ქეიფი. აქ გამოსიმის ოსური სიმღერები ვასჯირჯიზე (წმ. გიორგი), ვაჩილაზე (წმ. ილია) და სხვ. იმ ღამეს იქ მოვისვენეთ. მეორე დილით გავხდით მოწამედ ერთის საზარელის სანახაობისა – კლდიდან ერთი შეშლილი ქალი უნდა ჩაეშვათ. დილაადრიან გამოვედით კლდეზე და ვუცდიდით შეშლილის მოყვანას. დიდხანს აღარ ველოდეთ. ორ შეიარაღებულ ოსს მოჰყვანდათ შვენიერი გასათხოვარი ოსის ქალი. მოიყვანეს თუ არა კლდის პირას გაატიტვლეს შეუკრეს ხელები და თოკებით კლდიდან გადაუშვეს დაჰყვიროდნენ ზემოდან: „მალე სთქვი შენი ეშმაკების სახელები, საწყალ ქალს სახელების დარდი არა ჰქონდა. იგი ჰყვიროდა გულსაკლავად – კლდის აღმასივით ქვებით ტანი ეკაწრებოდა, სისხლში იყო მოსვრილი, მისი ტირილი და ხვეწნა ამოდ რჩებოდა, ქალის ძმა ამ ჟამად აქ იმყოფებოდა და ეუბნებოდა ხალხს თუ არა სთქვა სახელები ეშმაკებისაო, რომ ქალაღზე დავწეროთ და ცეცხლში ჩავაგდოთო.“ როგორც გიორგი ლიახველი გადმოგვცემს საბოლოოდ ქალს ათქმევინეს ეშმაკების სახელები: ცოფრხან, თოყმიზ და ბეთრყან, შემდეგ ეს სახელები ქალაღზე დაწერეს და დაწვეს, თუმცა ნაწამები ქალი მალე გარდაიცვალა [18; 77]. გერისთობის დღესასწაულზე, როგორც აღვნიშნეთ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ

მლოცველები, მოჰყავდათ შესაწირი. გერისთობის დღესასწაული ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო მთელ საქრთველოში. „მწყემსის“ ფურცლებზე დაბეჭდილ გიორგი ლიახველის კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „...ჩვენგან მოხსენიებული გერის ძუარი(ჯერი ძუარ) იმყოფება გორის მაზრის ოსეთში, ერთ მაღალ კლდის წვეროზე. იქვე ძუარის გვერდზე იმყოფება აწ დანგრეული კოშკი. თვით ეკლესიის აღმშენებლად ოსები „თამარ წყნარს“ სთვლიან, მაგრამ იგი დანგრეული კვლავ აღუშენებია „ოსურ სასულიერო კომისიას“ 1818 წელს. ძნელად მოიპოვება გორის მაზრაში და საზოგადოდ მთელ ქართლშიაც (არბოს მეტი) იმისთანა სალოცავი, რომელშიაც მოდიოდეს ამდენი მლოცველები, როგორც გერში. ამ სალოცავს ესტუმრებიან ხოლმე თვით „ოქროს ფოთლიდამაც“ (კახეთიდან), თრიალეთიდან, სოფ. ლილოდამ (თბილისის მაზრაში), სადაც გარდასახლებული ოსები სცხოვრობენ და სხვ. (ლილოში ოსების გადასახლება ჩვენი აზრით დაკავშირებული უნდა იყოს ერთ ფაქტთან, 1777 წელს ერეკლე II-მ დასაჯა სამეფო კარისაგან განდგომილი მამაბლები და გადასახლა ლილოში, მამაბლებმა თავიანთი გლეხებიც (მათ შორის გერში მცხოვრებნი) თან წაიყვანეს [12; 130]. ჩვენ დავესწარიტ მარიამობისთვის 26-ს ამ ძუარის დღეობაზე. უკანასკნელი ოქროს ფეროვანი სხივი-ღა ეალერსებოდა ამ ძუარს, როდესაც მე და ჩემი თანამოგზაური გიტა ცხენებით ავდიოდით ერთ ვიწრო ბილიკზე და დიდი მანძილიც აღარ გვექონდა დასავლელი წმიდა ალაგამდის, გზაზედ შემოგვხვდებოდნენ ხოლმე მრავალნი ქართველნი, რომელნიც წინ მიერეკებოდნენ ბატკნებს სამსხვერპლოდ. სიტყვაზე „გწყალობდეთ“, მათგან გამოისმოდა ჩვეულებრივი გულწრფელი ქართველური სალაში: „თქვენი მწყალობელიც იყოს“ მობინდა, ჩვენ ავედით ძუარში, მყუდრო მკვდარმა ბუნებამ ქართლის ახლო-მახლო სოფლებისამ, აქ სხვა ხასიათი მიიღო: გრილი ლიახვის ქარი გვიბერავდა ხეობიდან და საზამთროდ მოგვაწყო. ღამე იყო მშვენიერი, განიერი მინდორი სალოცავის წინ ერთბაშად აიშო ცეცხლებით; ზურნის, მუზიკა, დაირის ხმა, ლეკური, სუფრული და „წმიდა გიორგო ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“-ს სიმღერა უნებურად მოიყვანდა კაცს აღტაცებაში. შორი ახლოდამ, მთვარით განათებულ ღამეში, ჩვენ გადმოგვეყურებდა ვერცხლის-ფეროვანი მოხუცებული ბრუთ-საბძელი, რომელსაც თითქო ესამოვნებოდა ხალხის პატივისცემა თავის მოძმისადმი(ბრუთი-საბძელიც ძუარია)... გრძელი ბაასის შემდეგ მღ. გრ. და ალ. ქოქოშვილებთან, რომლებმაც ბევრი საინტერესო ცნობები გადმომცეს ამ ეკლესიაზე, მის წარსულზე და სხვ. ჩვენ დავრჩით მეორე დილაამდე. სხვათა შორის, მე უნდა ვაცნობო ის საშუალება, რომელსაც ოსები ხმარობენ შემლილების მორჩენისათვის ამ ძუარში. შემლილს (ქალია თუ კაცი) გაატიტვლებენ ხოლმე სულ მთლად, შეჰკრავენ თოკებით და ჩაუშვებენ ერთ მაღალ კლდეზე, ზევიდამ სცემენ, აგინებენ, ესვრიან ქალადით გატენილ დამბაჩებს და ზევიდამ დასძახიან: „გვითხარი რა ჰქვიან შენს ემბაკებს, თორემ მოგკლავთო“. საწყალი, როდესაც მეტისმეტად შეწუხდება და უფრო შეიშლება ჰკუაზე, ისვრის რაღაც სიტყვებს, რომელთაც ოსები ქალადზე დასწერავენ და ცეცხლში ჩააგდებენ, „ეხლა მორჩებაო“, მაგრამ მორჩენის მაგივრად ზოგჯერ ამისთანა პირნი საუკუნო განსვენებასაც მიეცემიან ხოლმე. ადგილობრივი მღვდელი მ. გრ. ქოქოვეი, რომელიც, პირმოუთვნელად რომ ვსთქვათ, ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ჩაითვლება გორის მაზრის ოსეთის სამღვდელოებისა, ბევრი ებრძოლა და ებრძვის ამ ჩვეულებას და შეამოკლა კიდეც ამისთანა ცრუმორწმუნეობის რიცხვი; ჩემ იქ ყოფნის წინა დღესაც ამოყვანათ ერთი შემლილი ოსი, ჯიბალაშვილი, კლდიდამ გაარდასაშვებლად, მაგრამ მ. ქოქოვეის სიტყვებმა გამოაცვლევინეს განძრახულება და იგი დაბრუნდა შინ. გერის ძუარში რომაელების პონტიფიკებით იმყოფებიან „დეკანოზებიც“, მაგრამ აქ მათ ისეთი მნიშვნელობა და გავლენა არა აქვს, როგორც სხვა ოსეთის ძუარებში [18]. გერისთობის დღესასწაულზე დიდძალი მლოცველები მიდიოდნენ ასევე არბოში, როგორც ვთქვით არბო გერის უმცროს ძმად ითვლებოდა და იმ შემთხვევაში თუ მლოცველები გერში ვერ მოახერხებდნენ ასვლას, ღამის თევით არბოში მიდიოდნენ. გერისთობის დღესასწაული ხშირად იხსენიება 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ქართული ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელთა დაკითხვის ოქმებში. როგორც ჩანს, შეთქმულების ერთ-ერთი მესვეურის ალექსანდრე ორბელიანის საიდუმლო წერილი შეთქმულებმა სწორედ არბოში გერისთობის დღესასწაულზე მიიღეს. შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის ელიზბარ ერისთავის ჩვენებაში აღნიშნულია: „პრაპორშჩიკ ბიძინა ერისთავოს ჩვენებიდან ჩანს, რომ ყოფილ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის მიერ 1831 წელს ქართლში მიწერილი წერილი გიჩვენათ თქვენ (ეს წერილი, რომელიც შეთქმულების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა –ალექსანდრე ორბელიანმა გაგზავნა გერისთობის დღესასწაულზე მყოფმა არისტოკრატის წარმომადგენლებმა არბოში მიიღეს [4; 377]. რომელიც წაიკითხეთ, მერე როგორც აცნობეთ ბიძინა ერისთავს, – ელაპარაკეთ სხვა თავადებს (რომლებიც სოფ. არბოში წმ. გიორგის დღეობაზე იყვნენ [5; 43] გერისთობის დღესასწაულზე შეთქმულთა ყოფნას ადასტურებს გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენებაც: „თუმცა თავად ლევან ერისთავი აჩვენებს, რომ 1831 წელს როცა მე ვიყავი სოფელ ჭალაში

თავად ბარძიმ ამილახვაროვის ოჯახში, სადაც ისიც იყო, აგრეთვე პრაპორშჩიკი თავადი ჯორჯაძე და იქ ჩაის სვამდნენ, ვითომც მე მას იქ გავუმხილე შეთქმულება. მაგრამ ეს მართალი არ არის, რადგან არა თუ მაშინ, არამედ მე მისთვის ამაზე არასოდეს არა მითქვამს. რადგან საგვარეულოებს ურთიერთ მტრობა აქვთ. მართალია ის რომ მე ვიყავი ბარძიმისას სალამოთ, სადაც იყვნენ: ლევან ერისთავი და პრაპორშჩიკი ჯორჯაძე და ჩაის სვამდნენ: მე და თეიმურაზ ამილახვაროვმა ცალკე გავიხმეთ ბარძიმი და გავუმხილეთ შეთქმულება, ლევანი და ჯორჯაძე კი ოთახში ისხდნენ და მერე წავედით არბოს დღეობაზე“. [5; 96]. სოფელ არბოში გერისთობის დღესასწაულს არანაკლები მლოცველი ესწრებოდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „სოფ. არბოში გერისთობა, წმინდა გიორგის ხატობა 14-15 აგვისტოს იცის, ამ დღესასწაულს თავი გერისთობა ჰქვია. შემდეგ 28-29-ს. აქაც აუარებელი ხალხი იკრიბება მთელი ქართლიდან: საღმრთო დეკეულებს, ცხვრებს და მამლებს სწირავენ ხოლმე წმ. გიორგის და ვისაც აღთქმული აქვს, თეთრები აცვია; ზოგს შვილიც ბერად შეყენებული ჰყავს. ზვარაკის დაკვლა მხოლოდ არჩეულ პირს, „ნატს“ შეუძლია. საღმრთობის შეწირვის შემდეგ ფერხულს ჩააბამენ ხოლმე და აქ-იქ წმინდა გიორგის მონა ქალი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებას დაიწყებს ხოლმე.“ [17; 54]. სოფ. არბოში დაბ. ხალხოსანი მწერალი ნიკო ლომოური წერს: „სოფ. არბო. გათენდა „დიდი-გერისთობის“ კვირა დღე, ის დღე, რომელსაც მთელი ქართლი და მომეტებულად ჩვენი პატარა არბო დიდის სიხარულით და ხანგძლივის მზადებით ელის ხოლმე. კვლავაც ამ დროს მთელი სოფელი და სრულიად მისი მიდამო სავსე ყოფილა ათას ნაირის ხალხით. სხვადასხვა საკრავის ხმისა და აუარებელის ხალხის ჟრამულისაგან ყურთა სმენა აღარა ყოფილა. მთა და ბარი, ვაჭარი და მხვნელ-მთესველი აქ მოიყრიდნენ ხოლმე თავსა და გაცხარებულის აღებ-მიცემობის შუამშავლობით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ასე ყოფილა მრავალი საუკუნის განმავლობაში და ამ ამბავს ხალხი შესჩვევია და შესთვისება.“ [6; 134]. გერისთობის დღესასწაულის თვითმხილველი ნიკო ლომოური ვრცლად იგონებს „არბოობის“ ეპიზოდებს. „სოფელი არბო განთქმულია მთელ ქართლში თავისი „გერისთობით“, „არბოობით“, ეს დღეობა ყოველ წლივ აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მოდის ხოლმე. თავგერისთობას აგრე რიგად არავინ არა სწყალობს, მაგრამ მეორე და მესამე სწორზედ კი დიდძალი მლოცავი მოაწყდება ხოლმე აქაურს წმიდის გიორგის ეკლესიას, სადაც აქამომდე ინახებიან ნაწილები მოხსენიებულის მთავარ-მოწამისა. მომეტებულად სახელგანთქმულია მეორე სწორი, ანუ, როგორც ადგილობრივ ეძახიან, „დიდგერისთობა“... სამი ოთხი დღის წინათ დაიძვრის მლოცავი და მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან იკრიფება აქ აუარებელი სხვადასხვა რჯულისა და შთამომავლობის ხალხი. აქა ნახავთ კახელებს, მთიულ ქართველებს, ქალაქელებს, იმერლებს. ბლომად შეგვხვდებიან აქ ვაჭარი სომხები და ურიები, მაგრამ ყველა ამათ ოსების რიცხვი გადააჭარბებს ხოლმე. ახლო მდებარე კავკასიის მთებიდან დაიძვრიან და ჯგუფ-ჯგუფად მრავალი ოსები ჩამოდიან აქ. თან მოაქვთ გასაყიდად ყველი და ერბო, ხის ავეჯეულობა, და თივთიკ-შალები. მთელი სოფლის მიდამო: ახლომდებარე სახნავ-სათესი მიწები მოდებულება ხოლმე ჩარდახიანი ურმებით და ცხენოსანი ხალხითა... აღებ-მიცემობა ორი-სამი დღის განმავლობაში გაცხარებულად სწარმოებს. სამწუხაროდ, ამ სასარგებლო და მოსაწონ მხარეს ხშირად ბევრი მაზარალეული ამბებიც მოჰყვება ხოლმე. თითქმის არ შეიძლება, რომ გერისთობა გათავდეს ისე, რომ ორგან-სამგან მაინც არ მოხდეს საშინელი ჩხუბი: კეტების ტრიალი და თოფ-იარაღის ხმარება. ღმერთს მადლობასა სწირავენ, როდესაც ეს ვაივაგლახი მარტო ძვალისა და რბილის დაჟეჟვით, თავისა და პირის დანტვრევით თავდება. სამწუხაროდ, ხშირად ამათ უფრო დიდი უბედურებაც მოჰყვება ხოლმე, მაგალითად შარშან წინ რევოლუციით მოჰკლეს ორი კაცი და სამიოდ-ოთხიც ხმლებით დაჭრეს მძიმეთა; წელსაც ხანჯლით გამოუფაშვავთ რომელიღაც ახლო სოფლის მამასახლისი... ქურდობა მტაცებლობა ხომ ისეა გახშირებული რომ ბევრჯერ მათ ყურადღებასაც არ აქცევენ... შეიარაღებული ქურდები ხშირად შუადღისას გადადიან აქარ ვენახებში ჰკრეფენ ყურმენსა და ხილს, სჭრიან სიმინდებს, ანტვრევენ და სწვავენ ღობეებს. მაგრამ ყველა ეს არაფერს ნიშნავს იმ დიდ ვნებასთან, რომელიც სოფელს მოსდის შემდეგ დღეობის გათავებისა. კვირას შუა დღის უკან ერი იშლება და მეორე დღეს უცხო კაცს აქ თითქმის ვეღარავის ვეღარ ნახავთ. ხალხს მართალია ვეღარ ხედავთ, მაგრამ მისგან დატოვებულ ათასგვარ უწმინდურობით კი სავსე რჩება სოფელი და მთელი მისი არემარე. ამის გამო მშვენიერი წმინდა ჰაერი იშხამება; ანკარა მდინარე (იგულისხმება პატარა ლიახვი – გს.) საკლავების ფაშვითა და წილებით ივსება... აი, ჩემო ბატონო, ასეთია სახელგანთქმული გერისთობა.“ [6; 119-120]. გერის წმინდა გიორგის ტაძარი დღეისათვის ოკუპირებულ ტერიტორიაზეა მოქცეული, 2008 წლის ომის დაწყებამდე ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლებისაგან, შეკეთდა გერის სალოცავის გზა. ოსებმა ტაძარი მთლიანად გადააკეთეს, რუსული სტილით მოხატეს [13; 5].

ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვახუშტი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1953.
2. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1986.
3. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბ., 1962.
4. გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970.
5. გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, თბ., 1976.
6. ლომოური ნ., პუბლიცისტური წერილები, შემდგენელი ხათუნა მურადაშვილი, თბ., 2002.
7. ლომოური ნ., მოთხრობები, თბ., 1955.
8. მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1986.
9. მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997.
10. მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971.
11. სიდამონიძე ვ., გერის მონასტრის ქრონიკა, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 17 ნოემბერი, 1962.
12. სოსიაშვილი გ., სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005.
13. სოსიაშვილი გ., როგორ ჰგოდებს გერის ტაძარი, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1999, №5.
14. ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, გვ. 441.
15. შიდა ქართლი, ტ. I, თბ., 2002.
16. ჭელიძე ვ., ივანე მაჩაბელი, თბ., 1968.
17. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960
18. „დროება“, 1883, №77.
19. „მწყემსი“, 1884, №19.

რეზიუმე

სოფ. გერი მდ. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე მდებარეობს. მას გვერდით პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი გერის ხევი ჩამოედის. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „ხოლო ვანათს ერთვის დასავლეთიდან ლიახვს ხევი გერისა, გამოსდის მსხლების მთას და დის სამხრით, ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს. ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, ღრმა კლდიანი ძნიად განსავალი, გამოსდის გერის და შუაცხვირის მთას, შუაცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი“. საინტერესოა სოფლის სახელწოდება. გერის ეტიმოლოგიას მკვლევარი ჯ. გვასალია ზანურის ნიადაგზე ხსნის: „პატარა ლიახვის ხეობის ზოგი ტოპონიმიც შეიძლება აიხსნას ზანურის ნიადაგზე. პატარა ლიახვს მარჯვნიდან გერის ხევი ერთვის, რომლის სათავეში არის ქართლში განთქმული გერის სალოცავი. აქ სალოცავად მოსული მოსახლეობა ხატს საქონლის მფარველობასა და მგლებისაგან თავდაცვას სთხოვდა. „გერი“ მეგრულად მგელს ნიშნავს და შესანიშნავად უდგება სალოცავის შინაარსს. გერი და ლომისა შესაძლოა საერთო წარმოშობისანი გამოდგენენ თუ ლომისაში სვანურ ლომს//ლემ-ს დავინახავთ, რომლის თაყვანისცემაც გენეტიკურად მგლის (ძაღლის) კულტამდე მიდის. ჯ. გვასალია ასეთივე მსგავსებას ხედავს მეჯუდასა და ზანურ სახელ მეჯუდის(მაჯუდის) შორის. მისი აზრით სვანური წარმოშობისაა ისროლი, სადაც ფუძეა ისრ., რაც სვანურად ისლს, ნიშნავს და სხვ. აღსანიშნავია, რომ დაღესტანში არსებობდა სოფ. გერგებლი. ამ სოფლის სახელწოდების ფუძე (გერ) „გერის“ მსგავსია.

**FROM SHIDA KARTLI HISTORY
(THE VILLAGE OF GERI AND GERISTOBA CELEBRATION)
Giorgi Sosiashvili, Associate Professor
RÉSUMÉ**

The village of Geri is situated on the upper part of the river Patara Liakhvi. One of the tributaries of the Patara Liakhvi-the ravine of Geri is next to it. According to the description of Vakhtushti Batonishvili: "And the ravine of Geri is connected with the Liakhvi from the west, it flows through the Pear mountains and runs towards the south, and the population living here is Osetians. It is called Savakhtango together with Vanati. But, the deep, rocky Fotrisi ravine is

connected with Vanati, Satskhenisi and Beloti at upper part. It flows through Geri and Shuatskhviri mountain and Osetians live there”.

The title of the village is very interesting itself. A researcher J.Gvasalia explains the etymology of Geri on the bases of Zanuri:”Some toponymies of the Patara Liakhvi ravine may be explained on the bases of Zanuri. Geri ravine is joined the Patara Liakhvi from the right, there is Geri church at the beginning of this ravine which is famous all over Kartli. People visiting this place,asked the icon of St George for protecting their cattle from wolves.”Geri” means a wolf into Megrelian and it is quite appropriate to the meaning of St George’s church. Geri and Lomisa may be turned out having just the same origin if we suppose that Lomisa means lion//lem in Svanuri, which is the thing of worshipping and genetically approaches to the cult of wolf (dog). J. Gvasalia sees the similarity between Mejuda and Zanuri in the title of Mejuda (Majuda). In his opinion, Isoli, where the root is isr, meaning isli in Svanuri, has Svanuri origin and etc. It is worth mentioning that there was the village of Gergebili in Dagestani. The root of the title of this village (“Geri”) is similar to “Geri”.

1873 წელს „სამი იმპერატორის კავშირის“ შექმნის ისტორიისათვის

ვაჟა ჩოჩია, სრული პროფესორი

1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომში გამარჯვების შედეგად, გერმანია გაერთიანდა და ევროპის ცენტრში აღმოცენდა აგრესიული და მილიტარისტული გერმანიის იმპერია, რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მეზობელი სახელმწიფოებისათვის. კანცლერი ბისმარკი შემფოთებული ადევნებდა თვალს დამარცხებული საფრანგეთის აღორძინებას და მიიჩნევდა, რომ ახალი ომის შემთხვევაში, საფრანგეთი ადვილად მონახავდა მოკავშირეებს ინგლისისა და რუსეთის სახით (15, 76). მაშასადამე, საჭირო იყო ისეთი პოლიტიკური კურსის გატარება, როდესაც საფრანგეთს არა მარტო დააშინებდნენ, არამედ იზოლაციაშიც ამყოფებდნენ, რაც მისი სისუსტის წყარო იქნებოდა. 1872 წ. მაისში ბისმარკი, გერმანიის ელჩს პარიზში, გრაფ არნიმს სწერდა, რომ „საფრანგეთის მტრობა, გვავალებულებს ჩვენ იმას, რომ ის იყოს სუსტი“ (12, №95, 159-160). ამასთანავე, ბისმარკის აზრით, „ვიდრე საფრანგეთს არ ეყოლება მოკავშირეები, ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს მისი“ (12, №95, 159-160).

უნდა აღინიშნოს, რომ ბისმარკი მხარს უჭერდა საფრანგეთში რესპუბლიკური წყობილების შენარჩუნებას, რადგან მიაჩნდა ის საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური სისუსტის წყაროდ (6, 104). იმ შემთხვევაში კი, თუ მონარქია აღდგებოდა საფრანგეთში, ეს ხელს შეუწყობდა მას რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის მონარქებთან დაახლოებაში (6, 104). ბისმარკი დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთი რევანშზე ფიქრობდა და მაშასადამე ახალი ომისათვის მოემზადებოდა. ასეთ პირობებში, ბისმარკს უნდა ეზრუნა, რომ საფრანგეთს მოკავშირეები არ მოენახა, პირველ რიგში რუსეთი (5, 9). მართალია, რესპუბლიკური საფრანგეთის დაახლოება მონარქიულ რუსეთთან თითქოსდა რთული ჩანდა, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი იყო არა მმართველობის ფორმა, არამედ ის გარემოება, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შორის არ იყო ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობანი.

ბისმარკი შეუდგა მოქმედებას, რომ განეხორციელებინა თავისი იდეა, რომელიც გულისხმობდა „სამი იმპერატორის კავშირის“ შექმნას გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის მონარქების მონაწილეობით. ასეთი კავშირი ხელს შეუშლიდა, როგორც ძლიერი კოალიციის შექმნას საფრანგეთს, რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის, ისე საფრანგეთ-რუსეთის კავშირის შექმნას. იმავე დროს, ბისმარკს აშფოთებდა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა რუსეთში, რომელიც შეიძლებოდა დასავლეთისკენ გავრცელებულიყო (8, 36). ასეთ შემთხვევაში, მონარქების კავშირი იქნებოდა იარაღი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ რუსეთში, პოლონეთში, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთის სლავურ ოლქებში (4, 224). „სამი იმპერატორის კავშირით“ ბისმარკი ფიქრობდა შესაძლო მოკავშირეები ჩამოეცილებინა საფრანგეთისთვის და იმავე დროს თვალი ედევნებინა თავისი ორი პარტნიორისთვის (14, 49).

ბალკანეთზე მეტოქეობის გამო წინააღმდეგობანი რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის დაძაბული იყო და ორივე მათგანი ცდილობდა გერმანიის გამოყენებას საკუთარი ინტერესებისთვის. რუსეთი ოპტიმისტურად იყო განწყობილი და მცდარად აფასებდა რეალურ სიტუაციას. პეტერბურგში მიაჩნდათ, რომ ბისმარკს არ სურდა ომი რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის, ომის შემთხვევაში კი რუსეთს დაუჭერდა მხარს (14, 49).

1872 წ. დეკემბერში ბერლინში ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის იმპერატორები. მონარქებს თან ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებიც ეწეოდნენ

მოლაპარაკებას. ბისმარკის აზრით, სამი მონარქიული სახელმწიფოს კავშირი მიმართული უნდა ყოფილიყო „მუდმივი რევოლუციების“ წყაროს – რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ (16, 122). ბისმარკი ცდილობდა, რომ შეხვედრა გამოეყენებინა საფრანგეთის შემდგომი იზოლაციისათვის, მაგრამ ეს სახიფათოდ მიაჩნდათ პეტერბურგში, რადგან თვლიდნენ, რომ ეს ხელს შეუწყობდა გერმანიის მმართველი წრეების ჰეგემონისტური მისწრაფებების გაძლიერებას (8, 39). ამან განაპირობა სამი იმპერატორის შეხვედრის უშედეგოდ დამთავრება, თუმცა, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ეს შეხვედრა ბერლინში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ევროპაში ჩამოყალიბებულ ძალთა ახალი შეფარდების პირობებში, რომელიც შეიქმნა 1866 – 1871 წლებს შორის (16, 121). სინამდვილეში, ასე არ იყო, რადგან ბისმარკმა ვერ შეძლო რუსეთის ანტიფრანგულ კამპანიაში ჩათრევა და შეხვედრაზე არავითარი პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ მიუღიათ (1, №38).

რუსეთის პოზიციამ აიძულა ბისმარკი უკან დაეხია და საჯაროდ განაცხადა, რომ სამი იმპერატორის შეხვედრა მიზნად არ ისახავდა „განსაკუთრებულ პოლიტიკურ პროექტებს“ და „უბრალოდ მეგობრულ აქტს“ წარმოადგენდა (5, 12). მიუხედავად ასეთი შედეგისა, პეტერბურგში მაინც უფროთხილდებოდნენ მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებას ბერლინთან, რაც უადვილებდა რუსეთს პოლონეთის ჩაგვრას და ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლას კოლონიურ ასპარეზზე.

1873 წ. მაისის დასაწყისში იმპერატორი ვილჰელმ I ეწვია პეტერბურგს. მას ახლდნენ კანცლერი ბისმარკი და გენერალური შტაბის უფროსი მოლტკე. 6 მაისს ხელი მოაწერეს რუსეთ-გერმანიის სამხედრო კონვენციას, რომელიც სამი მუხლისგან შედგებოდა. პირველ მუხლში ნათქვამი იყო, რომ „თუ რომელიმე ევროპული სახელმწიფო თავს დაესხმის ერთ-ერთს ორი იმპერიიდან, მაშინ მეორე მხარე, რაც შეიძლება მოკლე ვადაში, მიიღებს დახმარებას არმიის სახით 200 ათასი ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცის შემადგენლობით“ (13, 197). მეორე მუხლში აღნიშნული იყო, რომ კონვენცია არ იყო მიმართული სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, რაც შეეხებოდა მესამე მუხლს, იქ მითითებული იყო შეთანხმების დენონსაციის ვადები (10, 124). კონვენციას ხელი მოაწერეს ფელდმარშალმა ბერგმა და მოლტკემ. იმავე დღეს, კონვენცია რატიფიცირებულ იქნა ალექსანდრე II-ის და ვილჰელმ I-ის მიერ (13, 197). უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონვენციას რაიმე არსებითი როლი რუსეთ-გერმანიის შემდგომ ურთიერთობებში არ შეუსრულებია.

ვილჰელმ I კმაყოფილი დაბრუნდა პეტერბურგიდან, რაც თითქოს იმის საფუძველს იძლეოდა, რომ „დღეის შემდეგ ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რუსეთსა და გერმანიას შუა კეთილგანწყობილება და მეგობრობა იქნება“ (2, №20). ბისმარკი უკმაყოფილო იყო რუსეთ-გერმანიის სამხედრო კონვენციით, რადგან კარგად ესმოდა, რომ საფრანგეთთან ომის შემთხვევაში, რუსეთი არ გამოიყვანდა არმიებს საფრანგეთის წინააღმდეგ. ბისმარკი ამ შემთხვევაში მართალი იყო და რეალურად აფასებდა სიტუაციას.

1873 წ. ივნისის დასაწყისში ალექსანდრე II გორჩაკოვის თანხლებით გაემგზავრა ვენაში ფრანც-იოსებთან შესახვედრად, რათა განეხილათ ევროპული და აღმოსავლური პოლიტიკის საკითხები. მეფე და გორჩაკოვი შეეცადნენ ვენის დაყოლიებას შეერთებოდა რუსეთ-გერმანიის სამხედრო კონვენციას, მაგრამ უშედეგოდ. ვენის აზრით ამას შეეძლო გამოეწვია ავსტრიის დაპირისპირება ინგლისთან, რაც არასასურველად მიაჩნდათ (11, 102). სამხედრო კონვენციის ნაცვლად ავსტრიის მხარემ წამოაყენა წინადადება სხვა შეთანხმება დაედოთ, რაც მისაღებად ჩათვალა ალექსანდრე II-მ და 1873 წ. 6 ივნისს შონბრუნის სასახლეში, ვენის მახლობლად ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას. მას გააჩნდა მონარქებს შორის შეთანხმების ფორმა და მას მხოლოდ მონარქებმა მოაწერეს ხელი (10, 126-128).

პრემიულაში ნათქვამი იყო, რომ შეთანხმება ითვალისწინებდა „მშვიდობის განმტკიცებას“. პირველი მუხლის თანახმად, გათვალისწინებული იყო ურთიერთშეთანხმებული მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეებს შორის უთანხმოება იქნებოდა. ეს ემსახურებოდა მიზანს, რომ უთანხმოების შემთხვევაში ხელი არ შეშლოდა მშვიდობის შენარჩუნებას. მეორე მუხლის თანახმად, მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში, სახელმწიფოს მეთაურებმა ივალდებულეს არ დაედოთ ახალი კავშირი და შეთანხმებულიყვნენ ერთობლივი მოქმედების შესახებ (7, 42). მესამე მუხლის თანახმად, სამხედრო მოქმედების აუცილებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებული კონვენცია უნდა დაედოთ (7, 42; 13, 198). მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო შეთანხმების დენონსაციის პირობები.

1873 წ. 6 ივნისის შეთანხმება რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის ძალიან ზოგად და ზედპირულ ხასიათს ატარებდა. მასში არ იყო მითითებული მხარეთა კონკრეტული ვალდებულებანი. შეთანხმებაში არ დაუმალიათ უთანხმოებანი ერთმანეთს შორის და მთავრობებს ევალებოდათ ერთობლივად განეხილათ სადავო საკითხები. კონვენცია ადასტურებდა ორი ქვეყნის მისწრაფებას არ დაეთმოთ ერთმანეთისთვის, განსაკუთრებით აღმოსავლეთის საკითხებში.

ვენაში შეხვედრის შესახებ ალექსანდრე II ატყობინებდა ვილჰელმ I-ს თავისი წერილით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მართალია სირთულეებით, მაგრამ მაინც მიაღწია შედეგებს, რომელიც

ორივე მათგანს სურდა. იქვე ალექსანდრე II აცნობებდა, რომ არც ფრანც-იოსები და არც ანდრაში არ შეუერთდნენ რუსეთ-გერმანიის სამხედრო კონვენციას (12, №128).

1873 წ. 23 ოქტომბერს ვენაში ვიზიტის დროს გერმანიის იმპერატორი, ვილჰელმ I შეუერთდა შონბრუნის შეთანხმებას და მან მიიღო სამი იმპერატორის კავშირის არასწორი სახელწოდება (7, 42). სინამდვილეში, ეს იყო არა სამოკავშირეო ხელშეკრულება, არამედ რაღაც საკონსულტაციო პაქტის მსგავსი რამ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიისათვის ეს შეთანხმება, მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საფუძვლად გადაიქცა.

ბისმარკი ცდილობდა ამ შეთანხმებით მიეღწია არა მარტო საფრანგეთის იზოლაციისათვის, არამედ მოენახა შესაძლებლობა კონტროლი გაეწია პეტერბურგისა და ვენის საგარეო-პოლიტიკური კურსის მიმართ (9, 173-174). ბისმარკი ვარაუდობდა, რომ შეძლებდა სამი იმპერატორის კავშირში გერმანიის ხელმძღვანელი როლის მიღწევას, გამოიყენებდა რა ბალკანეთზე არსებულ წინააღმდეგობებს ვენასა და პეტერბურგს შორის (6, 102). ამას თუ მიაღწევდა ბისმარკი, მაშინ გერმანიას მომავალში გაუადვილებოდა ექსპანსია ბალკანეთსა და თურქეთში (4, 228). შავი ზღვის სრუტეების საკითხში, ამ გეგმას პასუხობდა რუსეთის მხარდაჭერის ბისმარკისეული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის დაპირისპირებას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან (3, 107-108). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ვენაც ისწრაფვოდა დაახლოვებას ბერლინს, რათა ჰყოლოდა საიმედო მოკავშირე რუსეთთან გარდაუვალი შეჯახებისას ბალკანეთის გამო.

სამი იმპერატორის კავშირს რაიმე არსებითი როლი არ შეუსრულებია ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებში და ფაქტიურად, მხოლოდ ქალაქად არსებობდა (11, 102). ზოგიერთი ავტორი, მაგ., ჰ. ვოლტერი აზვიადებს ამ კავშირის როლს და მიიჩნევს, რომ ის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა და ევროპას ანგარიში უნდა გაეწია მისთვის (13, 131). „სამი იმპერატორის კავშირი“, სინამდვილეში კი – სამი მონარქის დინასტიური შეთანხმება რეაქციულ მიზნებს ისახავდა. ის მიმართული იყო, არა მარტო რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, არამედ ცდილობდა მოეწესრიგებინა საკითხი სახელმწიფოთა ჰეგემონიის შესახებ ევროპასა და აღმოსავლეთში.

ლიტერატურა:

1. „დროება“, 1872 წ.
2. „დროება“, 1873 წ.
3. დონაძე ვ. ბოსფორი და დარდანელი თბ., 1983 წ.
4. Бисмарк О. Мысли и воспоминания, Т. II. М., 1941
5. Борисов Ю. В. Уроки истории Франции и современность. М. 1955
6. Ерусалимский А.С. Бисмарк. Дипломатия и милитаризм. М., 1968
7. Зайончковский А.М. Подготовка России к мировой войне в международном отношении. Л., 1926.
8. История дипломатии. Т. II. М., 1963.
9. Пальмер А. Бисмарк. Пер. с англ., Смоленск. 1998.
10. Сборник договоров России с другими государствами. (1856-1917). М., 1952.
11. Born K. Von der Reichsgründung bis zum Ersten Weltkrieg. München, 1978.
12. Die Grosse Politik der Europäischen Kabinette. Sammlung der Diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. Bd. 1-40. Berlin, 1922-1927. – Bd. I.
13. Diplomatie und Kriegspolitik vor und nach der Reichsgründung. Berlin, 1971.
14. Waller B. Bismarck. New York, 1985.
15. Mommsen W. Politische Geschichte von Bismarck bis zur Gegenwart. 1850-1933. Frankfurt a/M., 1935.
16. Wolter H. Bismarcks Außenpolitik. 1871-1881. Berlin, 1983.

რეზიუმე

საფრანგეთ-პრუსიის ომში გამარჯვების შემდეგ შეიქმნა გერმანიის იმპერია, რომელიც თავისი აგრესიული და მილიტარისტული კურსით დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მშვიდობისათვის ევროპაში. გერმანიის გაერთიანების შემდეგ, კანცლერი ბისმარკი თავის დიპლომატიურ საქმიანობას აქტიურად წარმართავდა საფრანგეთის წინააღმდეგ, რომ მას არ ჰქონოდა აღორძინების და რევანშისათვის მზადების საშუალება. ამ მიზნების მისაღწევად საუკეთესო საშუალება იყო საფრანგეთისგან პოტენციური

მოკავშირეების ჩამოცილება სამი მონარქიული სახელმწიფოს დაახლოების გზით, რაც ხელს შეუწყობდა საფრანგეთის შემდგომ იზოლაციას და გერმანიის ბრძოლას ჰეგემონიისათვის ევროპის კონტინენტზე. ბერლინის დიპლომატიური აქტიურობა წარმატებით დასრულდა და 1873 წლის 23 ოქტომბერს შეიქმნა „სამი იმპერატორის კავშირი“ გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის მონარქების შემადგენლობით, რომელიც მომდევნო წლების მანძილზე გერმანიის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საფუძვლად გადაიქცა.

FOR CREATION OF “THE UNION OF THREE EMPERORS” HISTORY IN 1873
Vazha Chochia, Full Professor
RESUME

After the win in France- Prussia war German Empire was created, which with its aggressive and militaristic course presented a great danger for the peace in Europe. After unification of German Chancellor Bismarck actively conducted his diplomatic activities against France, because it would not have any chance preparing for revival and revenge. The best way for achieve these goals was to remove potential allies from France by the mean of close of three monarchy states, what would promote further isolation of France and fighting of German for hegemony on the Europe continent. Diplomatic activity of Berlin ended successfully and on October 23, 1873 “the union of three emperors” was created with membership of Germany, Austria-Hungary and Russian monarchies, which became the basis of foreign-political orientation of Germany during following years.

ქართული მეწარმეობის ისტორიიდან
(ჩაის კულტურა საქართველოში)

მამუკა ჯოღბორდი, სრული პროფესორი
ნინო ლიპარტელიანი, სრული პროფესორი

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ პირველად ჩაი საქართველოში 1770 წელს გამოჩნდა, როცა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ერეკლე II-ს სამოვარი და ჩაის სერვიზი აჩუქა. უფრო კონკრეტულად საქართველოში ჩაის კულტურის შემოტანის თარიღად XIX საუკუნის 30-იან წლებს ასახელებენ, თუმცა იმ პერიოდისათვის მეჩაიეობას მხოლოდ მოყვარულები და ენთუზიასტები მისდევდნენ. ჩაის კულტურა საქართველოში შემოიტანეს ჩინეთიდან და მას ასეთი ისტორია აქვს. თავადმა მიხა ერისთავმა პირველად ნახა ჩაის კულტურა ჩინეთში, დააგემოვნა მისი ნაყენი და რადგან გურიის რეგიონის ჰავა, სადაც იგი ცხოვრობდა (ქ. ოზურგეთის მახლობლად) ძალიან ჰგავდა ჩინეთის სუბტროპიკულ კლიმატს, გადაწყვიტა იგი საქართველოში შემოეტანა და გაემეზებინა. იმ პერიოდისათვის ჩინეთიდან ჩაის თესლის ან ნერგის გატანა სასტიკად იკრძალებოდა, ამიტომ თავადმა ჩაის თესლი გახვერტილ ტროსტში ჩაყარა და ასე გადმოიტანა ჩინეთის საზღვარზე. ამ დროიდან დაედო საფუძველი საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელებას. ცოტა მოგვიანებით, თავადმა ერისთავმა პირველმა წარადგინა ქართული ჩაის ნიმუში 1864 წელს სანქტ-პეტერბურგში რუსეთის საერთაშორისო გამოფენაზე და სწორედ ეს ნიმუში დაედო საფუძვლად მსოფლიოში ქართული ჩაის აღიარებას.

XIX საუკუნის საქართველოში ჩაის გავრცელებით დიდად ყოფილა დაინტერესებულ მამია V გურიელი (1803-1826 წწ.). საქართველოს ისტორიის და ტრადიციების ბრწყინვალედ მცოდნეს შესანიშნავად ესმოდა საქართველოში სამკურნალო, დეკორატიული მცენარეთა ბაღებისა და ყვავილნარების გაშენების აუცილებლობა, რომელიც ანტიკურ ხანაშიც არსებობდა და რომლის მიმანიშნებელია ბერძნულ-რომაულ წყაროებში შემონახული ცნობები მითიური მედეას სამკურნალო მცენარეთა წალკოტის შესახებ.

მამია გურიელმა ჩაის, ციტრუსების და სურნელოვანი ვარდის ნერგები შემოიტანა. 15 წლიანი დაუღალავი შრომის შედეგად მან ფორთოხლის, ლიმონის და ჩაის ბუჩქების ნარგავების შესანიშნავი ბაღნარი მოაწყო თავის მამულში. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ზომიერად ნესტიანი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში ამ კულტურების გაშენება უნიკალური მოვლენა იყო. თითქმის ათი წლის განმავლობაში მსხმოიარობის, მოსავლიანობის შეუფერხებელმა შედეგებმა ჩაის და ციტრუსების კულტივირების სტაბილური შესაძლებლობები დაადასტურა. საქართველოში ჩაის და სუბტროპიკული კულტურების სამრეწველო-ეკონომიკური პერსპექტივა სწორად შეაფასეს იმპერიის

ცენტრშიც. მისი გაშენების არეალის გაფართოების შესაძლებლობების დადგენის მიზნით, რუსეთის მთავრობამ დააფინანსა რამოდენიმე ძვირად ღირებული სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რამოდენიმე რეგიონში. მათი დადებითი დასკვნები საბოლოო ჯამში სოხუმის, ქუთაისის და სალხინოს ბაღების გაშენების საფუძველი გახდა.

სამხრეთ კავკასიაში ჩაის კულტურის მოშენებით მეფისნაცვალ მ.ს.კორონცოვიც იყო დაინტერესებული. სწორედ მისი ინიციატივით XIX საუკუნის 40-იან წლებში იმპერატორის ბალისათვის ჩაის ბუჩქები გამოიწერეს ყირიმიდან. ამ ბუჩქების გარკვეული ნაწილი მან 1847 წელს აკლიმატიზაციისათვის სოხუმის ბოტანიკურ ბაღში და ოზურგეთის სანერგეში გამოგზავნა. ნერგებმა კარგად გაიხარეს და ისინი გადაიტანეს ზუგდიდში და ჩოხატაურის მახლობლად სამეგრელოს მთავრისა და თავად მ. ერისთავის მამულებში ამ კულტურის დასანერგად. XIX საუკუნის 60-იან წლებში თავადმა ერისთავმა სცადა ამ ნარგავების ფოთლებიდან ჩაის დაყენება, მაგრამ იგი დაბალი ხარისხის აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მან არ იცოდა ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგია. სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ თავადმა ჩაის ბუჩქების მოვლას ნაკლები ყურადღება დაუთმო. რაც შეეხება სოხუმის ბოტანიკურ ბაღში არსებულ ნარგავებს, მათი რაოდენობა 1870 წლისათვის 18 აღწევდა, ამასთან ისინი კარგად ხარობდა და იოლად მრავლდებოდა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს სოხუმის ბოტანიკური ბაღი გაიძარცვა და 1906 წლისათვის იქ მხოლოდ ჩაის 3 ბუჩქიღა შემორჩა.

ჩაის კულტურისადმი სერიოზული ყურადღება მეფის მთავრობამ გამოიჩინა 1884 წელს, პეტერბურგში გამართულ ბოტანიკისა და მეზღობის საერთაშორისო კონგრესზე, სადაც მიწათმფლობელებმა ჩაქვიდან ა.ა.სოლოვცოვმა და ნ.კ.ზეიდლიცმა წარადგინეს რეფერატი ჩაის კულტურის შესახებ. მათ კონკრეტული წინადადებით მიმართეს რუსეთის ადმირალს ჩიხაჩოვს, რათა მას გამოეწერა ჩაის ბუჩქები ამ კულტურის განვითარებისათვის ჩაქვში. 1885 წლის ივლისში ჩაის ბუჩქები საქართველოში შემოიტანეს, თუმცა მათი დიდი ნაწილი ძლიერ დაზიანდა საბაჟოზე ჩატარებული სადუნიფექციო სამუშაოების გამო. გადარჩენილი ბუჩქების სათანადო ყურადღებითა და მოვლა-პატრონობით ჩაქვში გაშენდა ჩაის პირველი მცირე პლანტაცია. სოლოვცოვის მიერ ზემლერის მეთოდით მიღებული ქართული ჩაი აღმოჩნდა ძალზედ მაღალი ხარისხის. მოგვიანებით მას მიზამა დიდვაჭარმა პოპოვმა. იგი აჭარაში ფლობდა 300 ჰექტარ მიწას. მან, პროფესორ ტიხომიროვთან ერთად, რამდენჯერმე დააფინანსა აღმოსავლეთის ქვეყნებში გაგზავნილი სამეცნიერო ექსპედიციები (ჩინეთში), ჩამოიტანა ჩაის ბუჩქები, კარგად შეისწავლა ჩაის მოვლა-პატრონობა და გადამუშავება. მოგვიანებით ეს შეძენილი ცოდნა თავის მამულებში მან პრაქტიკულად გამოიყენა და გააშენა ჩაის პლანტაციები სამ ადგილას: ჩაქვთან ახლოს, სოფ.კაპრიშუმთან და სოფ. სალიბაურთან. მან ამ დარგში განახორციელა 2 მლნ მანეთის ინვესტიცია. პოპოვის მეურნეობაში შრომობდა დაახლოებით 400-მდე მეჩაიე. 1893 წელს მის მიერ ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი ჩაის ფაბრიკა ყოველწლიურად უშვებდა 50-60 ათას გირვანქა მზა პროდუქციას, ბაიხისა და დაწნეხილ ჩაის, რაც მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა მეწარმეს. დავით კლდიაშვილი იგონებდა: “პოპოვის ჩაის პლანტაციებს ეკავა სალიბაურში და კაპრიშუმში ორასზე მეტი დესეტინა. პოპოვს აუარებელი ფული ჰქონდა ჩაყრილი ამ ადგილების დასამუშავებლად და გასაწმენდ-დასაშრობად; აგებული ჰქონდა მრავალი შენობა, გაყვანილი ჰქონდა მშვენიერი მოკენჭილი გზები მთების კალთებზე; სალიბაურში ჰქონდა ჩაის ქარხანა; შენობებზე დახარჯული ჰქონდა 200 000 მანეთამდი; მამულების გაწმენდა-გაუმჯობესებაზე – მილიონზე მეტი. პლანტაციებზე მოსამსახურეთა წლიური ხარჯი იყო – 13 500 მანეთი. ყოველდღიურად აქ მუშაობდა 200-მდე ქალი და კაცი. როცა მთელ მამულში მოთავდებოდა ჩაის ბუჩქების დარგვა – ყოველწლიურად მოიწეოდა 400 000-დე გირვანქა ჩაი. ჩაი ძლიერ კარგი თვისებისა კეთდებოდა, კარგი ფერისა, გემოსი, სურნელოვანი და არაფრით ჩამოუვარდებოდა საშუალო ხარისხის ჩინეთის ჩაის. მანეთად რომ გაეყიდნა გირვანქა, წლიური შემოსავალი პოპოვს ამ მამულებიდან ექნებოდა 400 000 მანეთამდი”.

სოლოვცოვისა და პოპოვის ინიციატივით მოეწყო კიდევ ერთი ექსპედიცია ინდოეთში, კუნძულ ცეილონზე ჩაის საქმის შესწავლის მიზნით. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ პროფესორი ა.ნ.კრასნოვი და აგრონომი ი.ნ.კლინგენი. ექსპედიციის წევრებმა ინდოეთიდან, ჩინეთიდან და იაპონიიდან-ჩამოიტანეს იანლოდუნის, ნინჯოუს და კანგრას ჯიშის ჩაის ბუჩქები. 1893 წელს საქართველოში პოპოვის მოწვევით ჩამოდის 23 წლის ჩინელი ახალგაზრდა ლაო ჯონჯაო. მის მიერ გამოყვანილ ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშს ახლაც „ლაო ჩაის“ უწოდებენ. ამ საქმიანობის გამო ლაომ 30 წელი საქართველოში, კერძოდ, ჩაქვში იცხოვრა. პოპოვმა მას საუკეთესო პირობები შესთავაზა, მისი ყოველთვიური შემოსავალი შეადგენდა 500 მანეთს. პოპოვი თავად იხდიდა მგზავრობის საფასურს, აგრეთვე, ჩაქვში მდებარე მის ერთ-ერთ მამულში აშენდა კაპიტალური, კარგად მოწყობილი სახლი სპეციალურად მისი ოჯახისთვის, ზღვიდან 300 მეტრის მოშორებით. ხოლო აგარაკი მწვანე კონცხზე შესთავაზეს, სადაც ოჯახი ზაფხულის პერიოდში ცხოვრობდა. აგრეთვე, ლაო ჯონჯაოს ემსახურებოდა ფაეტონი. მისი 7 შვილიდან, 5 აქ დაიბადა, რომელთაგან ნაბოლარამ ქართველ ქალბატონზე იქორწინა. ლაო ჯონჯაო დიდ ოჯახთან ერთად

დაბრუნდა სამშობლოში (რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, 1958 წელს, თბილისის სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად ჩამოდის ლაოს შვილიშვილი ლიუ კუანგენი, რომელიც ძალიან მალე ქართველ მხატვარ გივი ყანდარელს მიჰყვება ცოლად).

XIX საუკუნის ბოლოს უკვე სახელი გაითქვა სინიციის პლანტაციამ სოფელ ყარადერეში, დიადიუმის, საბაევისა და ნაკაშიძის პლანტაციებს სალიბაურში. ცნობილ აგრონომს, ქართული ამპელოგრაფიისა და მევენახეობის ფუძემდებელს, ერმილე ნაკაშიძეს ოზურგეთშიც ჰქონდა გაშენებული ჩაი და პროდუქციასაც უშვებდა საკუთარი დამლით: “ერმილიტა”.

1900 წელს საქართველოში უკვე 23 საცდელი ნაკვეთი იყო, აქედან ზუგდიდის მაზრაში - 6, ოზურგეთის - 9, სენაკის- 2, ქუთაისის - 2, სოხუმის ოლქში - 4. 1901 წელს სიმონსონმა პირველი პრაქტიკული სახელმძღვანელოც გამოსცა ჩაის კულტურის შესახებ, მთლიანობაში კი 1895 წლიდან მოყოლებული, როცა ჩაი სულ 18 ჰექტარზე იყო საქართველოში გაშენებული, ძალიან გაიზარდა ფართობი და უკვე 1925 წელს 1292 ჰექტარს ითვლიდა.

იმავე წლებში ჩაქვსა და ბათუმის შემოგარენში ჩაის პლანტაციები ჰქონდათ ბ.ა.ვეჩინოს, ა.ი.სტოიანოვს და გ.ბიხოვეცს. მათ კუთვნილებაში არსებული ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი 300 დესეტინას აღემატებოდა. ჩაის გადამამუშავების ადგილობრივმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ 1 დესეტინა ჩაის პლანტაციიდან შესაძლებელი იყო 2 000-დან 4 000 ფუნტამდე მწვანე ფოთლის მიღება, რომლისაგანაც ამზადებდნენ 600-დან 1000 ფუნტამდე მზა, მშრალ ჩაის. აჭარის ტერიტორიაზე მიღებული ჩაის ფოთოლი მუშავდებოდა პოპოვის ფაბრიკაში, სადაც დამონტაჟებული იყო ინგლისური ფირმა დავიდსონის მანქანა-დანადგარები. ფაბრიკის აშენება და საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფა მეწარმეს 40 000 მანეთი დაუჯდა. 1902 წელს ჩაის არსებული პლანტაციებიდან ქარხანაში შემოიტანეს 41 000 ფუთი ჩაის ფოთოლი, 1903 წელს კი 43 000 ფუთი. განსხვავდებოდა ჩაის ფასებიც - იგი მერყეობდა 60 კაპ-დან 2 მან. 40 კაპიკამდე. შედარებით დაბალი ხარისხის ჩაით მარაგდებოდა ჯარის ნაწილები, ხოლო საუკეთესო ჩაი პეტერბურგსა და მოსკოვში იგზავნებოდა. 1895 წელს პოპოვის მიერ ბაიხის ჩაის პირველი პარტია გაიტანეს ბაზარზე, 1889 წლიდან მას მოჰყვა დაწნეხილი ჩაის პირველი პარტიების რეალიზაცია. 1896 წელს პოპოვმა ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით შეძლო ჩაის ერთჯერადი აბები შეექმნა, რომელიც წარადგინა მთელ რიგ გამოფენებზე ჯერ ნოვგოროდში, შემდგომ კი 1897 წელს სტოკჰოლმში, 1899 წელს პეტერბურგში, 1900 წელს პარიზში, 1901 წელს გლაზგოში. პროდუქციამ დიდი მოწონება დაიმსახურა. სწორედ ამიტომ პოპოვმა 1900 წელს ბაზარზე გასატანად 24 000 ცალი ჩაის აბი დაამზადებინა. სამწუხაროდ, საქართველოში დამზადებულ ქართულ ჩაის რუსული ჩაის ეტიკეტი ერტყა.

მომდევნო წლებში, როგორც ჩანს, მხოლოდ პოპოვის ჩაის ფაბრიკა ვეღარ აუდიოდა დიდი რაოდენობით დაგროვილი ჩაის ფოთლის გადამამუშავებას, მაგრამ კონკრეტული მონაცემები ქარხნის მუშაობის დინამიკის შესახებ აღარ მოგვეპოვება.

ლიტერატურა:

1. გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ, 1941.
2. გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. I-V, თბ, 1949-62.
3. გაზეთი „გუთნისდედა“, 1864 წ, #2
4. გაზეთი „გუთნის დედა“, 1864-1865 წლების გამოცემები.
5. გაზეთი „მომავალი“, 1909 წლის #5
6. გაზეთი „თემი“, 1911 წ. 27 ივნისი. ი.ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
7. გრ. ქარჩავა. ჩაის მოხმარების დასაწყისი საქართველოში. თბ.1970
8. გ. შაფაიძე. მეჩაიეობის განვითარება საქართველოში. თბ. 1973
9. ს. დობორჯგინიძე. ჩაის წარმოების განვითარების მიმართულებები საქართველოში. თსუ 2008 (დისერტაცია)
10. Батум и его окрестности (Сборник), Батум 1906.

რეზიუმე

მიჩნეულია, რომ პირველად ჩაი საქართველოში 1770 წელს გამოჩნდა, როცა რუსეთის იმპერატორმა, ეკატერინე II-მ ერეკლე II-ს სამოვარი და ჩაის სერვიზი აჩუქაო. უფრო კონკრეტულად საქართველოში ჩაის შემოსვლის თარიღად XIX საუკუნის 30-იან წლებს ასახელებენ. იმ პერიოდისათვის მეჩაიეობას

მხოლოდ მისი მოყვარულები და ენთუზიასტები მისდევდნენ. ჩაის კულტურა საქართველოში შემოტანილი იქნა ჩინეთიდან. XIX საუკუნის საქართველოში ჩაის გავრცელებით დიდად ყოფილან დაინტერესებული თავადი მიხა ერისთავი, მამია V გურიელი, მეფისნაცვალი მ. ს. ვორონცოვი, დიდგაჭარი პოპოვი, ბ. ა. ვუჩინი, ა. ი. სტოიანოვი და გ. ბიხოვეცი. მათ ჰქონდათ სანიმუშო ჩაის პლანტაციები ჩაქვსა და ბათუმის შემოგარენში. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია იგზავნებოდა მთელ რიგ გამოფენებზე ნოვგოროდში, სტოკჰოლმში, პეტერბურგში, პარიზში, გლაზგოში და დიდ მოწონებას იმსახურებდა.

**FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN ENTREPRENEURSHIP
(TEA CULTURE IN GEORGIA)
Mamuka Jolbordi, Full Professor
Nino Liparteliani, Full Professor
RESUME**

Tea first appeared in Georgia in 1770, when Russian emperor Catherine II had given samovar and tea set to Erekle II as a present. But more concretely the 30-s of XIX century is considered as tea arrival in Georgia. For that period only enthusiasts were focused on tea-growing. Tea arrived in Georgia from China. In the XIX century Duke Mikha Eristavi, Mamia V Gurieli, Deputy M. S. Vorontsov, Merchant Popov, B.A. Vuchini, A.I. Stoianov and G. Bikhovets were greatly interested in tea propagation in Georgia. They had wonderful tea plantations in Batumi and Chakvi surroundings. Tea produced by them was sent to the exhibitions in Novgorod, Stockholm, Petersburg, Paris, Glasgow and had a great success.

ლელა მელაძის ხსოვნას

ვიანორ ახალაია

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს

მე წილად მხვდა ბედნიერება, ორ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ვყოფილიყავი ნიჭიერებითა და ადამიანური თვისებებით გამორჩეულ ლელა მელაძის გვერდით. პიროვნული ხიბლით, ბუნებრივი ტალანტითა და განსწავლულობით გამორჩეული მისი მეცნიერული ნაშრომების მშრალი ნუსხის ერთი უბრალო გადახედვაც გაკვირვებას იწვევს: როდის და როგორ მოასწრო ამდენის გაკეთება? მეცნიერული ინტერესების მრავალფეროვნებაც გაოცებს, თვალსაწიერის სიფართოვეც. ნაწერების გულდასმით წაკითხვა კი სისრულესა სიხარულს აღძრავს თუნდაც იმიტომ, რომ ამ ნაშრომების ავტორი შენი სტუდენტი იყო, შემდეგ კოლეგა და მეგობარიც.

თავაზიანი და თავმდაბალი, არავის შეაწუხებდა, იღვწოდა უჩუმრად და ჰქონდა ხელშესახები მიღწევები, ბუნებრივი ტალანტი და განსწავლულობა. ამასთანავე, გაბედული, თითქმის მოურიდებლად მართლის მთქმელი, მაგრამ უაღრესად კეთილმოსურნე იყო.

დაიბადა 1968 წლის 1 აგვისტოს, 1974 წელს შევიდა სკოლაში, 1985 წელს დაამთავრა ხელთუბნის საშუალო სკოლა. 1987 წელს ჩაირიცხა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და წარჩინებით დაამთავრა იგი 1992 წელს. აბიტურიენტობის დროს გავიცანი. გვაბარებდა ზეპირ გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მოვიხიბლეთ მისი ცოდნითა და განათლებით. დაწყებული აქედან ლელა იყო ერთ-ერთი პირველი სტუდენტი გამორჩეული ნიჭიერებითა და გონიერებით.

1993 წელს გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტი. 1995 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გერონტი ქიქოძე ლიტერატურის კრიტიკოსი“ და მიენიჭა ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1995-1997 წწ. ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელია, შემდეგ კი 2006 წლამდე ხდება დოცენტი. 2006 წელს ხდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

ლელამ მეტად მცირე დროში მოასწრო შეექმნა იმდენად ფასეული შრომები, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში საკუთარი კვალი დატოვა. 9 წიგნი, აქედან 2 მონოგრაფია, 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც სიახლითა და სიღრმითაა აღბეჭდილი. მართლაც ზოგთათვის მიუწვდომელ მეცნიერულ დასკვნა-შედეგებს დღესაც და მომავალშიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ყავლი არ გაუვა, ყოველთვის ანგარიშგასაწევი, გასათვალისწინებელ-გასაზიარებელი იქნება სპეციალისტებისათვის.

ლელა მელამე, როგორც უნივერსიტეტის სრული პროფესორი, უშურველად იხარჯებოდა თავის მოწაფეებთან. ამითაც გვხიბლავდა იგი ჩვენ უფროს კოლეგებს. გრძნობდა ჩვენს ამგვარ განწყობილებას, მაგრამ არასოდეს ცდილა ცოტათი მაინც შეემცირებინა ტაქტიანი დისტანცია გუშინდელ მასწავლებლებთან.

ოჯახისშვილობის შესაშური ხიბლიც ამშვენებდა, რაც მე ყოველთვის მხიბლავდა და პატივისცემით განმაცხოვრებდა მის მიმართ. ტრადიციულ ოჯახში გაზრდილს თავისი ეზოს ცვრიან ბაღის სურნელი არასოდეს დავიწყებია, რასაც ადასტურებს გარდაცვალების წინა პერიოდში დაწერილი ჩანახატები. მათში ლელამ ღრმა ლირიული განცდით ჩაატია განსაკუთრებული უშუალოდ გამხელილი სევდა, სიყვარული, ტკივილი და, რაც აღსანიშნავია, იმედსა და რწმენას გვაზიარა. ჩვენ, მის მეგობრებს, არსოდეს მოგვკლება მისი ოჯახისა და პირადად ლელას შესანიშნავი მასპინძლობა, პატივისცემა, რასაც ჩვენთვის დიდი სიამოვნება მოუგვრია.

დაავადებამდე ცოტა ხნით ადრე დაბადების დღე მივულოცე ტელეფონით, ბათუმში, ზღვაზე იყო წასული, იქ ისვენებდა. ფრიად გაიხარა.

საქართველოში განვითარებული მძიმე მოვლენები მწვავედ შეეხო მას და მის ოჯახს. ომის შედეგად მათ სახლის დატოვება მოუწიათ. „-მამა დარჩა, ვერაფრით წამოვიყვანეთო.“ დარდობდა მასზე.

„- ლელა, როგორ ხარ?“ – ამ კითხვაზე მისი პასუხი გვაიმედებდა მუდამ.

„- ახლა უკეთ ვარ“ – და არ უნდოდა თვალი მოგვერიდებინა მისთვის, შეგვეცოდებოდა. ჩვენსავე უძლურებას თავადვე აქცევდა სიმხნევედ. ჩვენ გვაძხვნივდა თავისი საოცარი სიმტკიცით. სიკვდილის არ სჯეროდა მისგან ადრეულ ასაკში დასჯილს. ტკივილს ამარცხებდა წამდაწამ, ჩვენ კი ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ უიმისოდ გამოწვეული ტკივილის დაამება.

სამწუხაროდ ლელაზე მოსაგონარის დაწერამაც მომიწია, ესეც ბედია ალბათ, ყისმათი.

წუთისოფელს ადრევე განარიდა უფალმა.

დღემდე ერთთავად თვალწინ მიდგას თავისი განუმეორებელი ღიმილით, კეთილი გამომეტყველებით, რბილი უწყინარი იუმორით და გადამდები სიმშვიდით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს.

თამარ გოგოლაძე

სიყვარულით ლელას!

გაზაფხული მოვიდა უშენოდ, ლელა! ხომ ასე გიყვარდა ყვავილები, სიცოცხლე, ადამიანები...

თვალწინ მიდგას შენთან უკანასკნელი (თურმე უკანასკნელი) შეხვედრა. ამაყი იყავი ძველებურად. ამაყი და თბილი, თვალებიდან კი სევდა გამოკრთოდა თითქმის შეუმჩნეველად. არა, არ მეგონა შენი ასე უეცრად წასვლა იქაურ სოფელში... ჩემთვის ასეც დარჩები უნივერსიტეტის კედლებში გედივით ყელაღერებული, უცნაური რონინით მოსიარულე... მეცნიერება, საფუძვლიანი კვლევა იყო შენი ცხოვრების მიზანი. ასე მოჰკიდებდი კიდევაც ხელს საკვლევს, შენეული სტილით გამოკვეთიდი მთავარს და მკითხველს ისე მიაწოდებდი. ჭეშმარიტად მართალი იყავი, როდესაც ამბობდი, ცალკე სტატიებს ერთი კარგი მონოგრაფია მირჩევნიაო... ასეც მოხდა. ბევრი წიგნი, გამოკვლევა შემატე ქართულ საბავშვო ლიტერატურას, რომელიც დარჩება სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის... განსაკუთრებით გაინტერესებდა XX საუკუნის „მწერლობის პრობლემები, შემოქმედთა „ქედმოხრა“ „სოციალიზმის კონიუნქტურული ჩარჩოს“ წინაშე...

სადოქტორო დისერტაცია წლების წინ დაწერე, გამოაქვეყნე კიდევ მისი ნაწილები ცალკე წიგნად. გასურდა ისევ მიბრუნებოდი გერონტი ქიქოძის ნააზრევს, სამეცნიერო საქმიანობის დაწყების წინ ასე რომ შეგაყვარა თავი ახალგაზრდა კრიტიკის ისტორიით დაინტერესებულს... ახლაც მზად გქონდა ახალი წიგნი, ახალი გამოკვლევა. ვაგლახ, წუთისოფელი თურმე ხშირად დალატობს ადამიანს... შენს სტუდენტებს, კოლეგებს არ ემეტებოდი იმ შავეთში გასამგზავრებლად. შენც

იბრძოდი, უცნობ, დაუძლეველ სენს ებრძოდი გასაოცარი გაბედულებით, იმედით, სიცოცხლის იმედით...

როგორ უყვარდი შენიანებს... მახსოვს, ერთხელ ტრანსპორტის ფანჯრიდან შევნიშნე, როგორ შემოგყურებდა საყვარელი დედა უსაყვარლეს ქალიშვილს. მზერაში ყველაფერი იგრძნობოდა: სითბოც, სიხარულიც, აღტაცებაც, დედაშვილობის დიდი მადლი... ისიც იბრძოდა მამასთან, და-მამასთან ერთად შენს გადასარჩენად. ყველაფერი გააკეთეს, ყველაფრით შემოგველნენ თავს, თუმცა უშედეგოდ... სწორედ ეს უკლავს გულს შენს მწუხარე მშობლებს, საყვარელ ძმისშვილს, მასწავლებლებს, მთელ ქალაქს...

როგორ გიყვარდა სახლი, შენი კუთხე, ერთი წუთით არ გინდოდა განშორება... სხვაგან ისე ლაღად ვერ გრძნობდი თავს, როგორც მშობლიურ კუთხეში...

როგორ დაგვეწყვიტე გული ყველას... ბატონი შოთა ქურდაძე თავის ნასტუდენტარს ალალი ცრემლით დასტირის, ბატონი ვიანორ ახალაია ღრმა გულისტკივილით გლოვობს შენს არყოფნას...

ყველას გვიყვარდი... დრო ტკივილს თითქოს აშუშებს, მაგრამ ნაიარევი, სახელად „ლელა“ კვლავაც დაგვრჩება ყველას, ვინც კი გიცნობდა, ჩემო გოგონა!

თამარ მელაძე

ლელა მელაძის ტკივილიანი მონატრება

პირველი გაზაფხული მოვიდა უშენოდ, ლელა, ლამაზი და ხალისიანი გაზაფხული, მაგრამ ის ლამაზი ყველასთვის როდია, ჩვენთვის ტკივილით არის სავსე. ყოველი დღე ტირილით თენდება და ღამდება ჩვენთვის. ტირის შენი სახლი, შენი ეზო, სახლში მხოლოდ დედის შემზარავი ტირილი ისმის. რით ვანუგეშო დედა და მამა, მათ ლელა აღარ ჰყავთ, შენმა სიკვდილმა სიცოცხლის ხალისი დააკარგვინა. რა ხანმოკლე ყოფილა შენი სიცოცხლე ლელა, ჩვენო სიამაყე. ზნეკეთილობა და სიყვარულის ნიჭი დაგანათლა უფალმა და ასეთი გზით განვლე შენი ხანმოკლე სიცოცხლე. ვერ ვპოულობ ვერანაირ სანუგეშო სიტყვას, რითაც შეიძლება მშობლების ნუგეში. იშვიათია შენებრ ერთგული, კეთილშობილი და სამაგალითო შვილი ჰყავდეს დედას.

ლელა! სულ სხვაა შვილის სიკვდილი, დაბადებიდან გამორჩეულო, პატარაობაშიც დიდო, ყველაფრით განსხვავებულო, სიკეთით, სითბოთი, სიყვარულით აღვსილო. ვერასოდეს დავივიწყებთ ასე ნაადრევად წასულ შენს ლამაზ სიცოცხლეს. რისთვის და რატომ გერგო ასეთი ბედი? იმიტომ, რომ მშობლების კარგი შვილი იყავი? იმიტომ, რომ კარგი მეგობარი იყავი? სიკვდილის მოლოდინში ერთხელაც არ გითქვამს, მიშველეთო. ძალიან, ძალიან გვენატრები. ტკივილამდე გვენატრები. არაფერი ყოფილა სიკვდილზე საშინელი და მონატრებაზე ძნელი. ტკივილი, ცრემლი და მონატრება -აი, ეს არის ჩვენი საჩუქარი. ჩვენო ლელა, შენი სულისთვის ვილოცებთ. უფალი ცათა სასუფეველს დაგიმკვიდრებს და ჩვენი ანთებული სანთლები გზას გაგინათებენ მარადიულ სასუფეველში.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

უმძიმესი დანაკლისი

შეუბრალებელმა სიკვდილმა კიდევ ერთხელ იზეიმა. ქართველ მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა გამორჩეული პიროვნება, პროფესორი ლელა მელაძე.

იგი ფილოლოგიური მეცნიერების იმედისმომცემი სიამაყე იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ ლ. მელაძემ სწავლა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა. მუყაითი, ნიჭიერი გოგონა პროფესორ-მასწავლებლების ყურადღების ცენტრში მოექცა. იმთავითვე გამოიკვეთა, რომ მისი სახით იმედისმომცემი მეცნიერი ყალიბდებოდა.

ღვთისაგან მომადლებული ჰქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი, მაგრამ მარტო ნიჭით ფონს ვერავინ გავა, თუ მას სათანადო პირობებმა არ შეუწყო ხელი. ლელა მელამეს ამ მხრივ ბედი სწყალობდა. როცა ის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ასპირანტურის კურსს გადიოდა, მისი ხელმძღვანელი იყო ცნობილი მეცნიერი დავით თევზაძე. ახალგაზრდა მკვლევარი წარმატებით დაეუფლა ძველ, ახალ და უახლეს ქართულ ლიტერატურას, ასევე მომიჯნავე დარგებს. აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ცნობილ მოაზროვნე გერონტი ქიქოძეზე. მონაწილეობდა არაერთ კონფერენციაში. მისი გამოსვლები ყოველთვის გამორჩეული იყო სიახლის ძიებისა და საკითხის გადაწყვეტით.

ლელა მელამის ცხოვრების გზა განუყრელად არის დაკავშირებული ცხინვალისა და გორის უნივერსიტეტებთან, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრებთან, შემდგომ კი ფაკულტეტებთან, სადაც მან გაიარა გზა მასწავლებლობიდან პროფესორობამდე. მონაწილეობდა ჩვენი უნივერსიტეტის მართვაში, იყო წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი და ღირსეულად უძღვებოდა ამ საპატიო თანამდებობას.

ბოლო ხანს ლელამ გამოსცა მონოგრაფია საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე და ამ სფეროში შეავსო არსებული ვაკუუმი.

ძველთაგანვე ასე ყოფილა – ადამიანი მიდის, ამქვეყნად რჩება სახელი. ლელა მელამე ეკუთვნის იმათ რიცხვს, ვისი სახელიც და საქმე არ დაგვავიწყდება. ეს მან დაიმსახურა დიდი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით.

დასანანია, რომ ლელა მელამე მაშინ წავიდა, როცა თავისი ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში იყო. ბევრი წამოწყება და მეცნიერული ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, მაგრამ რაც დარჩა თავისი ადამიანობიდან, მეცნიერული ნაღვაწიდან, ყოველთვის საამაყო იქნება.

ლელა მელამის მოსაგონარი

რამ უნდა ასულდგმულოს ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში თუ არა თავისი არჩეული საქმიანობის სიყვარულმა?! ესაა ყველაზე სასიამოვნო და გამტანი თვისება. ეს საქმეა, რომ გადაგვატანინებს ხოლმე ცხოვრებისეულ განსაცდელებს, ბედის უკუღმართობას, მავანთა ქედმაღლობას. ეს სიტყვები ზედმიწევნით მიესადაგება უდროოდ გარდაცვლილ გორის უნივერსიტეტის პროფესორს, ლელა მელამეს, რომელმაც ასე დასწყვიტა გული მეგობრებს, თანამშრომლებს და თავის დიდებულ ოჯახს.

ლელა მელამემ მცირე ხანს იცხოვრა, მაგრამ სადაც კი სწავლობდა და მუშაობდა – ცხინვალისა და გორის უნივერსიტეტებში, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია, ყველაგან გამორჩეული იყო თავისი ადამიანური თვისებებით. მან თავისი პირველივე შრომებით მიიქცია ქართველოლოგთა ყურადღება, თავიდანვე სწორი ალღო აუღო მეცნიერების უძირითადეს პრინციპს – გაეშუქებინა ყველაფერი ორიგინალურად, არ ევლო გატკეპნილი გზით. სწორედ ამან გაუთქვა მას სახელი და მოუტანა დიდება. მისი შრომები არის ბრწყინვალე გამოკვლევები, რომლებიც ყველა ოჯახისათვის ძვირფას საჩუქრად დარჩება.

ლელას მოღვაწეობას დიდად აფასებდნენ გორის უნივერსიტეტში, მისი ნიჭის დამფასებელი იყო ქართველ ფილოლოგთა დიდი კორპუსი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ყველაზე ძვირფასი იყო მათთვის, ვისთან ერთადაც ცხოვრების საუკეთესო წლები გაატარა. ჩვენ უფროსი კოლეგები უხერხულობას სულაც არ ვგრძნობდით, როცა მას მივმართავდით და რჩევას ვკითხავდით, ეს კი რეალობაა და ლელასგან სამუდამო სახსოვარია.

ლელამ ბრწყინვალედ იცოდა ქართული პოეზია, ფოლკლორი, პროზა, ძველი და ახალი ქართული მწერლობა. ძნელი ასახსნელი არ არის, საიდან მოდიოდა მისი ხიბლი – ეს იყო დიდი ზნეობა, ღირსების გრძნობა, კაცთმოყვარეობა, მუდმივი შინაგანი წონასწორობა, დარბაისლური მსჯელობა თუ სიტყვა-პასუხი. ვინც კი ერთხელ მაინც შეხვდებოდა ამ დიდებულ ადამიანს, ვერასოდეს დაივიწყებდა.

არ არსებობენ გამჭვირვალე ადამიანები, მაგრამ ლელა მელამე გამჭვირვალეობის ილუზიასაც გაგიჩენდათ, რადგან მას არ ჰქონდა ორმაგი სახე ან გადამალული ბრაზი ვინმეზე, რაც ჰქონდა, ყველაფერი ჩანდა.

როცა ავადმყოფობამ თავი ვეღარ დამალა, ის უნივერსიტეტში შემოდიოდა, როგორც გაზაფხული და სნეულების ჩრდილი ოდნავადაც არ სცემდა სახეზე. ეს იმიტომ, რომ თავის

ხანმოკლე ცხოვრებაში ჩრდილისათვის ადგილი არ დაუტოვებია. ყველაფერი მისხალ-მისხალ ჰქონდა შევსებული, ძალაც დიდი ჰქონდა და ამ ძალამ ატარა ბოლომდე.

ლელას ჰქონდა სიცოცხლის უდიდესი სიყვარული, სავსე ყოველდღიური მოძრაობის მძაფრი განცდით. მის წასვლით გაუფერულდა ადამიანური ურთიერთობაც. მისნაირი ადამიანები წარუშლელ კვალს ტოვებენ თანამედროვეთა ხსოვნასა და ცნობიერებაში.

ღმერთმა სასუფეველი გაგიმკვიდროს.

თანამშრომელთა სახელით **ნიკოლოზ ოთინაშვილი**

თამარ სიღამონიძე

იყავ ნათელში!..

სიტყვები არ მყოფნის იმ გულისტკივილის გამოსახატავად, რომელიც შენმა თავზარდამცემმა აღსასრულმა განმაცდევინა...

ნეტავ... ნეტავ...

ამეშლებიან ფიქრები და გამახსენდება, რომ დარაბებს მიღმა გაზაფხულია, ყვავის ბუნება... კვირტებად ამოხეთქეს მოგონებებმა...

ულმობელია წუთისოფელი!

ირგვლივ მყოფებში მუდამ პატივისცემას იმსახურებდი. სათნოება და ზნეკეთილობა სუფევდა შენში, ღიმილის მიღმა კი მძიმე სევდა იმალებოდა თურმე...

ძალიან სამწუხაროა, რომ უკვე წარსულში ვსაუბრობ შენზე, ლელა. ტკივილიანი მონატრება დამიტოვა ამ სიახლოვემ. თითქოს ახალ წიგნს ვკითხულობდი შენსას, რომელიც უნდა დაგებეჭდა და მოულოდნელად საშინელმა სინამდვილემ მწარედ ჩაიქირქილა - ვედარ ამოვიკითხე ბოლო სტრიქონები, გაურკვეველი დამრჩა უკანასკნელი ფრაზები, ბურუსში გაეხვია ის, რისი თქმაც გასურდა...

არადა ყოველთვის პირდაპირი მიუკერძოებელი იყავი: მტერს მტრის სახელს არქმევდი, მეგობარს – მეგობრისას. მოკრძალებული და უწყინარი ცდილობდი, მარადიული ფასეულობები არ გაგეხუნებინა და ყველაფერს მაღალი პროფესიონალიზმით უდგებოდი. წერდი შეუვალად, კრიტიკული პათოსით და ახლის ძიების სურვილით. მიზანსწრაფული და გაწონასწორებული შესანიშნავად აფასებდი ლიტერატურულ და ცხოვრებისეულ მოვლენებსა და დეტალებს.

უკვე ძალიან გვენატრები...

ბევრი მინდა დაწერო შენზე, მაგრამ ცრემლები ხელს მიშლის. მკვიდრი ხარ, „სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი!“

გიორგი სოსიაშვილი

დროის საზომთა გარეშე...

ბევრჯერ ვცადე, მაგრამ მასზე წერა ვერ შევძელი. პირველი წერილი, მისი პიროვნების შესახებ, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოვაქვეყნე, რომელშიც მისი გაცნობის შემდეგ ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებები აისახა. იმ პატარა წერილში, რომელიც გაზეთ „გორის მოამბის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა საზოგადოებას ახალგაზრდა ლექტორის პორტრეტი წარუვუდგინე და ახლაც მახსოვს წერილის გაცნობის შემდეგ მის სახეზე აღბეჭდილი ალალი ღიმილი. მაშინ ყველა ვგრძნობდით, მეც და ჩემი თანატოლებიც, რომ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტს უადრესად დახვეწილი, რაფინირებული ლექტორი შეემატა, რომლის თითოეული ლექცია, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე, მაგრამ ლექციისას მიღებული შთაბეჭდილება, მისი

პიროვნების მხოლოდ ერთი პაწია წახნაგი იყო. მაშინ ვერც კი ვიგუჟანებდი იმას, რომ გავიდოდა მცირე ჟამი და ჩემი ლექტორი, რომელიც მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის კურსს მიკითხავდა, ჩემი დიდი მეგობარი გახდებოდა და ისეთი მეგობარი, რომელიც გარდაცვალების მერეც არ მიმატოვებდა. იმ ციციქნა წერილს რამდენიმე წლის მერე, როდესაც საზოგადოებამ კარგად გაიცნო სალიტერატურო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, სხვა წერილიც მოჰყვა, ოღონდ ეს ბევრად ვრცელი იყო და ჩემს ერთ-ერთ წიგნშიც შევიტანე, რომლის გადაფურცვლაც ყოველთვის ენით აუწერელ ტკივილს მგვრის ხოლმე და ეს არის მონატრების ტკივილი. ასე მგონია, ის ისევ აქ არის ჩვენს გვერდით, ყოველდღე მნახულობს, მეგობრულ რჩევებს მაძლევს, ისეთ რჩევებს, რომელიც მას ეკადრება, მის ნათელ გონებას. ასე მგონია, სადღაც აქვე დგას და ჩვეული სიდინჯით აკვირდება ადამიანებს, მათ ქცევებს. ბევრისთვის დღემდე შეუცნობლად რჩება, ერთი შეხედვით თითქოსდა რთული ხასიათის გამო, რასაც სხვები, უფრო სწორად ზოგიერთები აღიქვამდნენ მასთან ურთიერთობის დროს თვითონაც გრძნობდა და არაერთხელ უთქვამს ჩემთვისაც, მაგრამ ის სხვა ადამიანი იყო, ის ლელა მელაძე იყო. მან კარგად იცოდა თავისი თავის ფასი და იმასაც ხვდებოდა, რომ წუთისოფლის სცენაზე, ვერასოდეს ითამაშებდა, მისთვის ბუნებრივად დაეკისრებინა ასეთი როლი მამაზეციერს და ამბობდა კიდევ, რომ სხვებივით თამაშს და ყალბი ღიმილის მორგებას ვერასოდეს ვერ შეძლებდა. ამიტომაც იყო მისი ხანდახან მიუკარებლობაც განუმეორებელი. მან იცოდა ალალი ადამიანების ფასი, ნამდვილი მაგობრების ფასი. ვერასოდეს ეგუებოდა სიყალბეს და როლში ყოფნას და ამის გამო არათუ სუსტი სქესისანი, არამედ მამაკაცებიც გაუკილავს. მის ხასიათში წააწყდებოდა რაინდულ თვისებებს, ქართველი ვაჟკაცისათვის დამახასიათებელს, რომელიც წარმოსახვაში უფრო მეტად არის ვიდრე რეალურ ყოფიერებაში. ამიტომაც იყო მასთან ურთიერთობა საინტერესო, რადგან არასოდეს დაიღლებოდი, იგი არასოდეს სცდებოდა ბუნებრივ ჩარჩოებს. რა უნდა ვთქვა მის საოცარ ნიჭზე, ფართო აზროვნებაზე. ქართულმა მეცნიერებამ დიდი მკვლევარი დაკარგა. ისე არ ეგონოს მკითხველს, ვალდებულების მოხდის მიზნით ვამბობდე, ამას გულწრფელად ვამბობ, რადგან ლელა მელაძემ მიუხედავად ძალიან ხანმოკლე ცხოვრებისა დიდი მემკვიდრეობა დატოვა, მრავალრიცხოვანი ნაშრომების, მონოგრაფიების, უაღრესად საინტერესო ესეების სახით და რომ წარმოვიდგინოთ მისი პროდუქტიულობა, იმის ნახევარი რომ ეჩუქებინა გამჩენს, რაც იცოცხლა, მართლა შეუდარებელი იქნებოდა მისი სახელი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ლელა მელაძე იყო განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი და ეს განსაკუთრებულობა იგრძნობა მის ნაწერებში. არაფერს ვამბობ წერის მისეულ მანერაზე. რა აკადემიზმი, რა რაფინირება ახლავს თითოეულ სტრიქონს, როგორ უფრთხილდება ქართულ სიტყვას და როგორ ოსტატურად მერწავს აზრს. ბევრი კრიტიკოსის ნაზრევი წამიკითხავს და არ ვაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ძნელად მოიძებნება ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მკვლევარი, ვისაც ისეთი ოსტატობით, მისწერი უნარით შეეძლოს მწერლის სულში შეღწევა როგორც ამას ლელა მელაძე ახერხებდა. ამის შესახებ მისთვის არაერთხელ მითქვამს. მისი ხასიათისათვის დამახასიათებელი ბუნებრიობა, მთელს მის ნაწერებში იგრძნობა. ამ წერილში ალბად ზედმეტი გამომივა მის წიგნების ღირსებებზე ვესაუბრო მკითხველს. ეს ცალკე თემაა და ამას უსათუოდ მივუბრუნდები. ეს ალბად რექვიემით, დატირებასავით გამომდის იმ ადამიანზე, რომელიც განსაკუთრებულად დამაკლდა როგორც ღირსეული მეგობარი. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი გასაოცარი ოპტიმიზმი. უკანასკნელ დღეებშიც კი არ კარგავდა იმედს იმისას, რომ უსათუოდ გამოჯანმრთელდებოდა, უფლის იმედით სუნთქავდა. იმიტომ რომ ძალიან ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი. ქართული მწერლობის ცოცხალი კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი ერთ-ერთ წერილში იხსენებს, თუ როგორ იყო მძიმე სენით სარეცელს მიჯაჭვული, ამის მიუხედავად მჯეროდა, რომ გადავჩებოდი, იმიტომ რომ ნაწარმოები მქონდა დასამთავრებელი და ღმერთი ასე არ გამწირავდაო, დაახლოებით ასე ამბობს „დათა თუთაშხიას“ ავტორი. ლელას არაერთი წიგნი ჰქონდა დასაწერი, რომლითაც ასე უნდა ეამაყა გორის უნივერსიტეტს და, ზოგადად, ქართულ საზოგადოებას, მაგრამ არ დასცალდა. ადამიანი, რომელსაც ცხოვრების უკეთურებამ ვერანაირი სიყალბით ვერ შეურყვნა ხასიათი, უფალმა მალე მიიხმო თავისთან და დარჩა დიდი სიცარიელე, ლელას ადგილს ვერავინ დაიკავებს, ის იყო ჩვენთვის ლამაზი სიზმარივით, მოვიდა, იცხოვრა, წერა და ბევრი ჩაგვაფიქრა ბევრ რამეზე. დრო... დრო ყველაფრის მკურნალიაო, ხალხური სიბრძნე ამბობს, მაგრამ თუკი არ არსებობს პიროვნებისათვის დრო და მისი საზომები, რა მკურნალობასა და დასტაქრობაზეა საუბარი?

* * *

მირკანის სუსხიანი ქარი უბერავდა, მწარე ქარი, რომელიც ისედაც მგლოვიარე სახეებზე, გამეტებით ურტყამდა უხილავ შოლტებს ჭირისუფლებს. თითქო სუნთქვა შეგუბებოდა გაზაფხულს. იები? სად იყვნენ იები, დედის დღესაც გაეკლო, მანდილოსანთა დღეც მომდგარიყო, მაგრამ თითქო უარი ეთქვათ იებს ამოსვლაზე. მერე წამოვიდა მირკანის ლედმა. უარესად წამოუბერა. ციოდა, ციოდა...

8 მარტს (მირკანს) დაემთხვა მისი დაკრძალვა და გამიკვირდებოდა რო ყოფილიყო, მზიანი დღე, ლუნგი დღე. შემთხვევით არაფერი ხდება ამქვეყნად.

შოთა ქურდაძე

დაუვიწყარი პროფესორი ლელა მელაძე⁹

ქალბატონებო და ბატონებო, მეტად მძიმე სათქმელის სამოტივაციოდ „ვეფხისტყაოსნიდან“ რუსთაველის ჰუმანური შეგონებით გამთბარი აფორიზმი შევარჩიე: „არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსაო“. ეს არჩევანი, ვფიქრობ, გამოდგება დღევანდელ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე: პირველი-სამეცნიერო სესია ტარდება ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდა რექტორის პროფესორ გიორგი სოსიაშვილის ინიციატივით, ეს ფაქტი დიდ ჰუმანურ გადაწყვეტილებად მიმაჩნია...

მეორე – ათასობით წლების განმავლობაში ქართველი ხალხი ამ ჰუმანური იდეებით ხელმძღვანელობდა და დღესაც ახალი ისტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და კულტურულ პირობებში სამომავლოდ ჭეშმარიტად ამ ჰუმანური იდეებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ჩვენი დღევანდელი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო სესიის მიზანია განსვენებულის ღირსეული გახსენება, და, განსაკუთრებით, საოჯახო ჭირისუფალთა გულის მოოხება... რაც შეეხება მისი დამსახურების სრულყოფილ შეფასებას ეს უფრო მომავლის საქმეა...

და როცა ეს ჟამი დადგება, სასურველად მიმაჩნია მისი ორიგინალური ნიჭიერება დაახლოებით ამგვარი სააზროვნო ველის მიხედვით ჩამოყალიბდეს:

1. ლელას სააზროვნო და სახასიათო მახასიათებელი საკითხები.
2. მისი აზროვნებისა და ზნეობრივი ქცევის საოჯახო და ოჯახგარეთ დაწესებულებანი.
3. სამეგობრო და პროფესორ-მასწავლებელთა შთაბეჭდილებანი.
4. ლელას პიროვნული უნიკალური ხასიათების მაჩვენებლები.
5. მისი ინტელექტუალური და ესთეტიკურ-ეთიკური მოწოდებები და სხვა.

ამჯერად, ორიოდ სიტყვით შემოვიფარგლები. პროფესორი ლელა მელაძის ზოგადადამიანური და კერძოდ პიროვნული სააზროვნო-სახასიათო იმ შთაბეჭდილებებით, რაც მასთან უშუალოდ მუშაობით ჩამოყალიბდა ჯერ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შემდეგ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

ლელას ზოგადადამიანური თვისებებისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ იყო. ამ თვალსაზრისით განსვენებულისათვის სახელმძღვანელოდ მოსჩანდა მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილი საანდერძო შეგონება თავის ქალიშვილის ქეთევანს, რომ დაუტოვა:

არაფერი ადამიანური არ იუცხოვო... ჩემი დაკვირვებით ლელასათვისაც მართლაც ზნეობრივად გამართლებული არაფერი ადამიანური უცხო არ იყო... თუმცა ამ მახასიათებელთა შტრიხებთან ერთად მის ხასიათში, ჩემი აზრით, კოლორიტულად დომინანტობდა პიროვნული ნიშან-თვისებანი. ასე, რომ, მის ზოგადადამიანურობას და ინდივიდუალურ მანერას შორის საერთო განმაპირობებელი ბალანსი არ იყო დარღვეული...

სხვათა შორის, ლელას ხასიათის ამ თვისებებზე თაობაზე სანდო ინფორმაცია თვითონ მისგან მაქვს მოსმენილი: როგორც ავლნიშნე კათედრაზე ერთობ გავშინაურდით... ერთხელ, სიტყვამ მოიტანა და მან თავისი ხასიათის შესახებ მიაშბო. დედამისს მეტად საყურადღებო დაკვირვება ჰქონია; თურმე ლელას ბავშვებთან თამაში არ ჰყვარებია, მარტოობა სჩვევია. დედას უთქვამს, როცა ბავშვებთან იყავი, ხშირად შორიდან თვალს გადევნებდი, შენ კი ბევრჯერ

⁹ მოხსენება წაკითხულია ლელა მელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე 2011 წლის 30 მაისს.

გამოეყოფოდი ხოლმე ბავშვებისაგან და შენს თავს თვითონვე ართობდიო. ან ირგვლივ სხვადასხვა საგნებს აკვირდებოდიო....

მშობელს ისიც უთქვამს, რომ შენი ამგვარი საქციელი ძალიან მაკვირვებდაო, შეშინებული ვიყავი და ვნერვიულობდიო.

დედამისის ეს მეტად საყურადღებო ფსიქოლოგიური სურათის დაკვირვება ჩამრჩა სულიერებაში. გამოვტყდები, ნამბობმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და შემდეგ როგორღაც წერილობითაც სალექსოდაც ჩემ ნაწერებში გადამიტანია მოსმენილი...

როდესაც ძვირფასი კოლეგის გარდაცვალებისას უნივერსიტეტის გაზეთისათვის მის უდროოდ გარდაცვალების გამო იძულებითი სათქმელი უნდა მეთქვა, ჩემს ნაწერებში ვიპოვე და ჟურნალისათვის გავამხილე. (იხ. გაზეთი „გორის უნივერსიტეტი,“ N29, 2011 წ.) ახლა კი კონფერენციაზე ეს დაკვირვება ძვირფასი ლელას ხასიათის წარმოსაჩენად, საჭიროდ ჩავთვალე, კონფერენციას განმეორებით გავაცნო:

„თურმე პატარა
სულ მუდამ,
შენთვის იყავი მყუდროდ,
დედა ნაღვლობდა -
ეს ბაღი
რას ბუტიაობს,
ურჩობს...
რად არ ტლიკინებს,
არ დახტის,
როგორც მეზობლის
ბავშვნი?!
რა ვქნა
მე ბეჩავს,
რა მომდის,
გულს რად დამემჩნა
დარდი?!

განსვენებულის პირადული ხასიათის უფრო ღრმად გავცვანი კათედრაზე, იგი ბრძანდებოდა უაღრესად ზრდილი, თავაზიანი, შრომისმოყვარე, კოლეგიალური, ფართო ნიჭიერებით აღსავსე პიროვნება. მას გამჭვირვალედ ჰქონდა ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორცაა: უპრეტენზიოება, ადამიანთა შორის გაწონასწორებული დამოკიდებულება, პრინციპულობა, ღრმა პატივისცემა და სიყვარული მშობლების, დიდედისა და პაპის, და-მმისა და განსაკუთრებით პატარა ძმისშვილისა, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა. ხშირად იტყოდა ხოლმე, ბავშვი სულ მე მიყურებს, თვალს არ მამორებსო... სძულდა უმადურობა...

ასე, რომ, შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ პროფესორ ლელას მელაძის ზოგადადამიანური სააზროვნო მახასიათებლები და მისი პიროვნული ქცევანი ურთიერთბუნებრივ კავშირში გვესახება და ეს იყო მისი გაუხუნარი ხიზლი...

ცალკე ხაზგასასმელია ქართულ ფილოლოგიაში მისი ინტერესები და მოპოვებული შედეგები. საასპირანტო კურსი პროფ. დ. თევზაძის ხელმძღვანელობით მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში მოისმინა. აქვე დაიცვა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ქართულ ფილოლოგიაში. მისი სადისერტაციო თემა იყო გერონტი ქიქოძე, როგორც კრიტიკოსი.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ლელა მელაძე მუშაობას იწყებს ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში ჩვენს მიერ შერჩეული თემის დასამტკიცებლად რექტორმა მოგვისმინა, მოწონებით შეხვდა ჩვენს თხოვნას. ლიტერატურის ინსტიტუტში ლელას გამოუყვეს კონსულტანტად პროფ. მ. კვაჭანტირაძე, რომლის აკადემიური დახმარებით და სათანადო გამოცდილების საფუძველზე, ლელას ნაშრომმა, როგორც განსვენებული აღნიშნავს „თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის საერთო ფონისა და ბავშვის ფსიქოლოგიის თანამედროვე თეორიების გათვალისწინებით“ („მეოცე საუკუნის ქართული საბავშვო ლიტერატურა“ გვ. 2. 2009 წ.) მისმა სადოქტორო ნაშრომმა სოლიდური სახე მიიღო...

ლელა მელაძეს დაევალა კათედრის მიერ ლიტერატურათმცოდნეობისა და ქართულ სალიტერატურო კრიტიკის კურსების წაკითხვა. განსვენებული ამ კურსებს წარმატებით კითხულობდა მძიმე ავადმყოფობამდე. თითქმის წელიწადნახევარი მკურნალობდა... ერთ ხანს

თითქოს გამოკეთდა კიდეც. უნივერსიტეტს დაუბრუნდა... განაგრძო ლექციების კითხვა და უნივერსიტეტის სპიკერის მოვალეობასაც ასრულებდა... ყველას გვიხაროდა მისი უმაღლეს სასწავლებელში დაბრუნება...

ცხადია, ლელაც იმედიანად იყო, მეტიც; მითხრა თავისი დედის თანდასწრებით მისთვის სრულიად განსხვავებულ ჟანრში, მცირე პროზაში დაწყების შესახებაც. გარდაცვალებამდე მოასწრო სამიოდე მოთხრობის დაწერა. აქედან ერთი მიემდვნა მის ერთ-ერთ მკურნალს, რომელსაც ოპერაციების შემდეგ ემადლიერებოდა. მეორე მოთხრობაში დახატულია დედისა და მამის ტრაგიკული სახეები, ხოლო მესამე მოთხრობა მიმდევნილია მისი სკოლის ერთ-ერთი ღირსეული პედაგოგის ელილა კოპაძისადმი.

ამ მცირე მოთხრობებში ნიჭიერად დახატულია მისთვის საყვარელი ადამიანების კონკრეტული გრძნობადი დაუვიწყარი ტრაგიკული სახეები. ხოლო მესამე მოთხრობაში სკოლის პედაგოგს ქალბატონ ელილას დიდ ამაგსა და სიყვარულს რომ ეხება. აქვე ეხება სიცოცხლისა და სიკვდილის მარადიულ თემასაც და ოდნავადაც არ ჩანს მის აზროვნებაში რაიმე შინაგანი შიში იმისა, რომ დაუძლეველია მისი ავადმყოფობა. კვლავაც მხნედ გრძნობდა თავს. დავაკვირდეთ მის მაშინდელ ნათქვამში გამჭვირვალედ მოკაიფე სასიცოცხლო ტრფიალს: „წერილის დასაწყისში სინათლისა და სიბნელის ჭიდილზე ვსაუბრობდი და როცა ამ ჭიდილმა ჩემთან ახლოს დაივანა, მივხვდი, რომ სინათლის სხივი, რომელმაც ბნელი უნდა გაანათოს, სიკეთის ძალა, რომელმაც ბოროტება უნდა დაამარცხოს, ასეთი ადამიანები თითქოს ბანალურად ყოველდღიურობისათვის ნამდვილად თანამდევია, ამიტომ არასოდეს დაირღვევა სამყაროს კანონზომიერება და სიკეთე ყოველთვის იზიარებს ბოროტებაზე“ (იხ. ლ. მელაძე, „სულის აღმზრდელი“. ჩვენი უნივერსიტეტი, №3, 2011წ.)

სამწუხაროდ ლელასეული სასიკეთო იმედი სიცოცხლისა არ გამართლდა... თუმცა მისი პიროვნება, ხასიათი, ცოდნა და ზნეკეთილობა ნიადაგ ცოცხლად, გაუხუნრად დარჩება ჩვენს ხსოვნაში...

ელენე ხოჯევანიშვილი

სიცოცხლე მხოლოდ წლებით არ იზომება

ძალიან მძიმე მისიად მეჩვენება მოსაგონებელი სიტყვა დაწერო უდროოდ გარდაცვლილ, ახალგაზრდა, გულისხმიერ კოლეგაზე, რომლის მოულოდნელმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი მიაყენა ყველას - ოჯახს, მშობლებს, მეგობრებსა და თანამშრომლებს.

ხანმოკლე აღმოჩნდა ლელა მელაძის სიცოცხლე... ადამიანებს დრო სჭირდებათ თავის გამოსაჩენი საქმეების საკეთებლად, ლელა კი თითქოს ჩქარობდა და მაქსიმალურად შესძლო დროის გამოყენება, ამიტომ მოასწრო ბევრის გაკეთება, თუმცა იოლი გზით არ უვლია, ადვილად არაფერი მოუპოვებია. მხოლოდ საქმის სიყვარულით, დიდი შრომისმოყვარეობის ფასად შეძლო საკანდიდატო დისერტაციის დაცვა, მონოგრაფიებისა და ნაშრომების გამოქვეყნება, უნივერსიტეტში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობა, ავტორიტეტის და პატივისცემის მოპოვება.

მახსოვს, თავისი პირველი მონოგრაფია რომ მაჩუქა, მითხრა, კიდეც ბევრი გეგმები მაქვსო. სამწუხაროდ ვერ მოასწრო თავისი წილი საქმის აღსრულება, განუხორციელებელი დარჩა ბევრი ოცნება, მგონია, რომ რაღაც განსაკუთრებულზე, დიდზე ოცნებობდა, თუმცა ამ ოცნებას ყველას როდი გაანდობდა...

საყვარელი საქმის სამსახური მისი ცხოვრების იმპულსი იყო. ჯერ კიდეც სტუდენტობის პერიოდში დაისახა ქართული სიტყვის მსახურება ლელა მელაძემ თავისი მეცნიერული კვლევის სამიზნედ და ქართული ლიტერატურის განსაკუთრებით ფაქიზი სფეროს - საბავშვო ლიტერატურის პრობლემების კვლევას და შესწავლას უძღვნა თავისი შრომები. მუდამ დინჯი, საქმიანად მოფუსფუსე, ერთგულად დასტრიალებდა საყვარელ საქმეს, გამორჩეული მუშაკი იყო, პრინციპული და აკადემიური, მომთხოვნი და სამართლიანი, რადგანაირად უხმოდ იცოდა გვერდში ამოდგომა. სიცოცხლის უკანასკნელი დღეებიც, მძიმე ავადმყოფმა, თავის საყვარელ უნივერსიტეტში, კოლეგებსა და სტუდენტებს შორის გაატარა, საქმეს ვერ დალატობდა, სიცოცხლისადმი ლტოლვა იგრძნობოდა მის ყოველ მოქმედებაში და ბოლო წუთამდე სიცოცხლის იმედით იყო სავსე, არ ნებდებოდა უცნაურ სენს.

ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ სამსახურში დაბრუნებულისთვის მინდოდა რაღაც თბილი და სანუგეშო მეთქვა, თითქოს მიმიხვდა, რომ სიტყვებს ვეძებდი და დამასწრო თქმა, გამამხნევა, ახლა კარგად ვარო...

მართლაც უძლურია სიტყვა, ანუგეშო სამაგალითო შვილის დამკარგავი მშობლები, თუმცა ისიც რეალობაა, რომ სიცოცხლე მხოლოდ წლებით არ იზომება, მას გაწეული საქმიანობითაც ზომავენ, ლელამ კი ღირსეულად განვლო თავისი ხანმოკლე ცხოვრების გზა... ყველას წინაშე პირნათელი წავიდა ამ სოფლიდან, წავიდა და დაგვიტოვა მაგალითი მტკიცე ნებისყოფის და სულიერი სიძლიერისა.

დავით ჩოჩიშვილი

მეგობრის გახსენება

როგორ არ ვეცადე, ისე გამომეხატა ჩემი მეგობრის ამ ქვეყნიდან წასვლა, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის გასაგები ყოფილიყო ჩემი ტკივილი, ჩვეულებრივ სტრიქონებს ვერ გავცდი და მეც შევეგუე იმ აზრს, რომ ძვირფასი ადამიანები, რომლებიც გვაკლდებიან, მხოლოდ ენით გამოუთქმელ ტკივილს გვიტოვებენ, სხვა ყველაფერი ჩვეულებრივი სიტყვებით გამოიხატება და შენი დანაკლისის სიმძაფრეც თითოეულისთვის გასაგებია მხოლოდ საკუთარი განცდებიდან გამომდინარე.

გორის უნივერსიტეტს მართლაც ბრწყინვალე პედაგოგი გამოაკლდა. ქალბატონი ლელა მელამე არა მხოლოდ ჩვენი საუნივერსიტეტო, არამედ ზოგადად ქართული საზოგადოების დიდი დანაკლისია. როდესაც საუბრობ ადამიანზე, რომელმაც გარკვეული „კვალი ნათელი“ დატოვა შენს ცხოვრებაში, ცდილობ, ისე შეკრიბო წინადადებები შენს მოკრძალებულ წერილში, რომ მასში შენი საკუთარი განცდაც ჩატიო და იმ ადამიანის ის მაღლიანი თვისებებიც, რომლის გამოც შენს არსებას მისი დავიწყების უფლება არ მიეცემა. მაინც ყველაფერი ზემოთ წყდება და არსთგამრიგემაც მისი ლამაზი სიცოცხლის კრიალოსანი ისე სწრაფად ჩამარცვლა, რომ მისი ახლობლებისა და ოჯახის წევრებისთვის ყველაზე მოულოდნელი ზარი მისი გარდაცვალება კი არა, უმისოდ ყოფნა აღმოჩნდა – ცხოვრება ლელას გარეშე. ეს მისი ოჯახისთვის ცხოვრების ახალი განზომილება აღმოჩნდა, უფერული, უხალისო, იმ ყვავილოვანი ფარადოვნების გარეშე, რომლებიც ასე უყვარდა ლელას, მისი საქმიანი და იმედიანი შემომახილი მოაკლდათ თანამშრომლებს, მეგობრებს, იმ ორბიტას, რომელსაც თვითოეული ჩვენთაგანი ვქმნით ჩვენს გარშემო და ყველაზე დიდ სიმიდირედ მიგვაჩნია. ადამიანური ურთიერთობების დიდოსტატი, ლამაზი, საქმიანი, გულგია და კეთილშობილი მეგობარი დამაკლდა მეც. ჩვენი ურთიერთობები ამ რამოდენიმე წლის წინ დაიწყო და კოლეგიალურ ურთიერთობას მეგობრული ურთიერთობაც დაემატა. ჩვენ არასოდეს ვისხედით ერთმანეთთან უბრად ან ბანალურ თემებზე სასაუბროდ, არამედ ყოველთვის ვართმევდით ერთმანეთს სიტყვას და ვსაუბრობდით სამსახურზე, სასწავლო გარემოზე, ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე... ეს უკანასკნელი ლელასთვის ყველაზე ძვირფასი იყო და თავის ცხოვრებას სწორედ ამ ფასეულობებზე აგებდა.

ყველას ქომაგი, მეგობრული, თავაზიანი და ფუტკარივით საქმიანი ლელა, ბევრისთვის მართლაც გაჭირვების ტალკვესი იყო. შემართული ქალბატონი, რომლისთვისაც თითქოს ამქვეყნიდან არ არსებობდა არანაირი სირთულეები, ავადმყოფობამაც ვერ გატეხა ბოლომდე, სულ ეგონა, რომ მისი ჯანმრთელობის პრობლემა დროებითი მოვლენა იყო და თავისი განსაცვიფრებელი ოპტიმიზმით ყველას იმედს გვინერგავდა, რომ აუცილებლად გაიმარჯვებდა სიცოცხლე სიკვდილზე. ბოლომდე უცვლელი დარჩა ლელას მომხიბვლელი ღიმილი და წყლიანი, ოდნავ ნადვლიანი თვალები. მისი ქალური მომხიბვლელობა ავადმყოფობამაც დაინდო და სიცოცხლის ბოლომდე არ ჩამქრალა. ლელა ისეთივე მშვენიერი წავიდა იმქვეყნიდან, როგორი მშვენიერებითაც ცხოვრობდა, შრომობდა, წერდა, ზრდიდა მომავალ თაობას... დარჩა მისი წიგნები, მისი ნათელი გონების შემოქმედება. მე ვიყავი მოწმე, როგორი რუდუნებით წერდა ერთ-ერთ წიგნს, როგორი სკრუპულოზური, გულიანი მიდგომა იცოდა საქმისადმი. მას შეუყვარდა მეცნიერება და იქორწინა მასზე. ის იყო მისი ცხოვრების მეგზური.

ასე ლამაზი, ქალური, განათლებული, შესანიშნავი პედაგოგი, საქმისა და ადამიანების ერთგული შეუერთდა მარადისობას, „სადა არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი...“

და ჩვენც ვილოცოთ მისი სულის საოხად, ანდა მეტი რა დაგვრჩენია, უნდა გვტკიოდეს, გვახსოვდეს და გვენატრებოდეს ეს ძვირფასი ადამიანი.

ტკივილით ჩამოვმარცვლავთ შენს სახელს „ლე ლა“

ტკივილით ჩამოვმარცვლავთ შენს სახელს „ლე ლა“...

წუთი წუთს მისდევს, საათი საათს, ილევა ფურცლები კალენდრის უშენოდ და შენზე ფიქრში, ჩემო ლელა, მერე ჩემი ფიქრები დედას, მამას, თამრიკოს და ნუკრის... სწვდება, შენი მონატრება ყოველ წუთს ტირის მათში, ამ წუთებში წერილობით გესაუბრები და შენამდე მანძილი უშორესია, მომდევნო წუთში შესაძლოა გაქრეს მანძილი ჩვენს შორის, ამიტომაც არავინ არ ვიცით, შენამდე მანძილი უშორესია თუ უმოკლესი.


შენ გაფრინდი ჩვენგან და დაგვიტოვე: ტკივილი, მონატრება და წიგნებად ქცეული ნაფიქრი შენი, მოჩურჩულე და მარად ცოცხალი სტრიქონები.

შენი მშობლები ღმერთს ევედრებიან შენთან მოსვლის წამების მოახლოებას, თამრიკო ფიქრობს, რომ არასოდეს „გაელიმება“, ნუკრი ტკივილისგან დამუნჯებულა, შენ მათ ეხლა იმაზე უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე ოდესმე და მოგიწევს ხშირად ეწვიო სიზმრად, დააჯერო რომ ბუნება კანონზომიერია, ადამიანიც ბუნების შვილია და არ უნდა წავიდეს დინების აღმა, სიცოცხლე კი, სიყვარულის დიდი ზეიმია და დედამიწაზე სანამ ამ რესურსს ბოლომდე არ ამოწურავ მანამდე ვერ აღმოჩნდები უკვდავების „ცისფერ მხარეში“...

კრძალვითა და სიყვარულით დარეჯანი ჯანიაშვილი









გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge